852 ~ 16232

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 2 მარტი, 2009 №10 (3503) | ფასი 1 ლარი


# არველაძე რეალში?!

## ვან გაალი მადრიდელებს უახლოვდება



ევროპული სააგენტოები უკვე თამამად წერენ, მადრიდის „რეალის" ახალი მწვრთნელი ლუის ვან გაალი იქნებაო. ეგ კი არა, „ალკმაარის" სახელოვანმა თავკაცმა თავადაც განუცხადა ჟურნალისტებს, თუ „რეალი" მიმიწვევს, სიამოვნებით დავთანხმდებიო და, აბა, ამ ხმებს ახლა რა დაასრულებს... ჩვენთვის კი ეს ამბავი იმდაა საინტერესო, რომ ვან გაალის მარჯვენა ხელი შოთა არველაძეა. 36 წლის ახალბედა ქართველი მწვრთნელი გაზაფხულზე ლიცენზიას აიღებს და... ვითომ უმალ „რეალში" ამოჰყოფს თავს? ყოველ შემთხვევაში, საქმე აქეთ მიდის და ვნახოთ — იმედია, ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარს სურს...



თემურ ქეცბაია

# ნაცვლიშვილმა ქეცბაიას კუნძულზე ჩააკითხა!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი კვიპროსზე ჩავიდა, სადაც – თემურ ქეცბაიას შეხვდა.

დიახ, ნაცვლიშვილ-ქეცბაიას არაოფიციალური შეხვედრა დამაინტრიგებლად და ძალიან საინტერესოდ მოჩანს.

სამწუხაროდ, ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, რაზე ისაუბრეს ნაცვლიშვილმა და „ანორთოსისის" ქართველმა მწვრთნელმა, თუმცა ის კი შევიტყვეთ, რომ სეოკ-ის პრეზიდენტი ქეცბაიას თანამშრომლობას შესთავაზებს — გია ნაცვლიშვილს სურს, რომ თემურ ქეცბაია მისი მრჩეველი გახდეს.



გია ნაცვლიშვილი

# კახა კალაძე: ეს სეზონი ჩემთვის დამთავრებულია



# 21-წლამდელები: აპრილის დასაწყისში ბელარუსთან

## ცხადაძეს ინალიშვილი დაეხმარება



სარბიელის არქივიდან

კახა ცხადაძე

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრები 1 აპრილს ბელარუს თანატოლებს გაეჯიბრება.

ამ გუნდებს ერთხელ უკვე უთამაშიათ — 1994 წელს მინსკში 0:1 დავმარცხდით.

მხარეების შეთანხმებით ეს მატჩი თბილისში გაიმართება. თუმც, როგორც შევიტყვეთ, თარიღი ზუსტი არაა — შესაძლოა, ერთი ან ორი დღით გვიან შედგეს შეხვედრა.

მშვენიერი სპარინგი გამოვა კახა ცხადაძის გუნდისთვის: ბელარუსი ძალიან ძლიერია ამ ასაკში და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეცაა გასული, სადაც 8 გუნდი ითამაშებს.

ერთიც: გადაწყდა, რომ ცხადაძის თანაშემწედ ვეტერანი ფეხბურთელი, გელა ინალიშვილი იმუშავებს.

**ილია ნანობაშვილი**

# აზერბაიჯანის ქართული თავი

**გიორგი ადამიას**, ამირან მუჯირის და გიორგი დემეტრაძის „ბაკი" აზერბაიჯანის ჩემპიონატში გალიდერდა.

დედაქალაქელებმა სტუმრად 1:0 დაამარცხეს კონკურენტი „ინტერი" და ცხრილს სათავეში მოექცნენ.

ადამიამ სრულად ითამაშა, მუჯირი მეორე ტაიმში შეცვალეს, დემეტრაძე კი განაცხადში არ იყო.

**ოთარ მხეიძე**

# ყურადღებით, მეგობრებო!

## ეს შეცდომა არ არის. ეს ტყუილია




**მედიაკომპანია** „კოლხიდა" მეორე სეზონია, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს აშუქებს და ავად თუ კარგად, თავის საქმეს აკეთებს.

ვერავინ იტყვის, რომ ეს პროექტი ცუდია, თუმც რაღაც-რაღაც ხარვეზები კი ჩანს...

ამჯერად „კოლხიდაზე" არაფერს ვამბობთ, ლაპარაკი მის შვილობილ www.goli.ge-ზე გვაქვს.

ეს ვებგვერდი საქართველოს ჩემპიონატის პოპულარიზაციას ემსახურება და ბევრი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ინფორმაციის გარდა ერთი მეტად საინტერესო რუბრიკა აქვს, სადაც ტურების ვიდეომიმოხილვის ნახვა შეგიძლიათ, თუმც არც ამაზე ვაპირებთ თქვენი ყურადღების გამახვილებას.

საქმე ტყუილთან გვაქვს. ამ ვებგვერდის ცნობით, საქართველოს თასის ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ლოკომოტივი" — „ოლიმპი" და „დინამო" — „ვიტ ჯორჯია".

შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის შეცდომა, რადგან თასის წილისყრა ჯერ არ ჩატარებულა და ჩემპიონატის პარტნიორ კომპანიას ასეთი ლაფსუსი არ უნდა მოსდიოდეს.

პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის უფროს ნოდარ კაკულიას ცნობით, წილისყრა ალბათ მარტში ჩატარდება და ეს წყვილები მართლა ასე რომ შედგეს, მერე მიდი და, ამტკიცე, ყველაფერი წინასწარ არ იყო ცნობილიო...

GEORGIAN SPORT GROUP
ოფიციალური დილერი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში
hummel
სპორტული ეკიპირება და აქსესუარები
arena
საწყლოსნო სახეობების ინვენტარი
EPSAN
POOL SPORTS & TECHNICS
ინდივიდუალური სკამები სტადიონებისთვის
polytan
ხელოვნური საფარი კორტებისთვის და ფეხბურთის მოედნებისთვის, „სარბენი ბილიკები
daplast
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა მე-3 სართული,
899 92 46 76, tagi85@mail.ru

# ქართველები უცხოეთში



ლევან კობიაშვილი

# გოლები კი არა, თამაშიც სანატრელია

**ინგლისი**: „ბლექბერნმა" ბოლო დროს ფერდაკარგულ „ჰალს" სტუმრად 2:1 მოუგო და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღო, თუმც ისევ საშიშ ზონაშია. **ზურაბ ხიზანიშვილი** „ვეფხვებთან" განაცხადშიც კი არ ყოფილა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩვენიანი „ბლექბერნში" საერთოდ აღარ ახსოვთ.

**იტალია**: „მილანმა" მოახერხა და, „სამპდორიასთან" წააგო (1:2), რითაც საჩემპიონთალიგო ოთხეულში გასვლაც ბუნდოვანი გაიხადა, რაკილა „ფიორენტინა", „რომა" და „ჯენოა" მისდევენ. **კახა კალაძე** ამ წაგებაში უბრალო იყო — ამ სეზონში ველარ ითამაშებს.

**გერმანია**: „შალკეს" სტუმრად მოგებაც სცოდნია: „ხუმარებმა" „აინტრახტს" აჯობეს და ცოტა მიუახლოვდნენ უეფას თასზე გასასვლელ ადგილებს. **ლევან კობიაშვილმა** მარცხენა მცველად შეუცვლელად ითამაშა და სტაბილურად გაირჯა, **ლევან ყენიას** კი კვლავაც ბარძაყი აწუხებს და ამ კვირაში დაიწყებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.

ალექსანდრე იაშვილმა კი სათადარიგოთა სკამიდან უყურა „კარლსრუეს" „შტუტგარტთან" წაგებას — 0:1. „იაშის" გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში მათე ღვინიანიძეს „მიუნხენ 1860" — „ზანკტ პაულის" მატჩში (5:1) არ უთამაშია, რაკილა ტრავმა აქვს. არც **ოთარ ხიზანეიშვილი** გამოჩენილა „აუგსბურგში", ისევე, როგორც **დავით თარგამაძე**, რომლის „ფრაიბურგმა" სტუმრად 1:0 აჯობა **ლევან ცქიტიშვილის** „ვეენს". თარგამაძე განაცხადშიც ვერ მოხვდა, „ცქიტომ" კი სრულად ჩაათამაშა შეხვედრა.

სათქმელია, რომ „ვეენი" ბოლო ადგილზეა, „ფრაიბურგი" კი ლიდერობს.

**უკრაინა**: ერთადერთი ქართველი, რომელიც თავისი გუნდის ძირითადში მუდმივად თამაშობს, **სანდრო გურულია**. მისმა „კარპატიმ" შინ 3:0 გაანადგურა ოდესის „ჩერნომორეცი". ჩვენიანმა 79 წუთი ითამაშა და მეორე ტაიმის შუაში ოდესელ ფეხბურთელს წითელი ბარათი „აჰკიდა". სამიდან ერთი გოლი გურულის პასით გავიდა.

ამ მოგებით ლვოველები მეთერთმეტედან მერვე საფეხურამდე ავიდნენ.

„დნიპროში" **ბექა გოცირიძის** ოფიციალური დებიუტი გადაიდო. 20 წლის ფორვარდი „ლვოვთან" საშინაო მატჩში (1:1) სათადარიგოთა სკამზე იჯდა, **ჯაბა კანკავამ** კი ძირითადში დაიწყო თამაში და 41-ე წუთზე შეცვალეს. ამ უცნაურ დროს შეცვლა ტრავმის ბრალი არ ყოფილა, უბრალოდ, ჯაბას ნაცვლად შემტევი ფეხბურთელი შეიყვანეს, რადგან „დნიპრო" აგებდა.

კიდევ ერთი დნიპროელი სანდრო კობახიძე განაცხადს მიღმა დარჩა.

დნეპრისპირელები მათთვის უჩვეულო მეშვიდე ადგილზე არიან.

კიევის „არსენალმა" 1:0 აჯობა „ხარკოვს" და „მეთოფეთა" ახალწვეულმა ლაშა ჯაკობიამ ოღონ სამი წუთი ითამაშა.

„ზარიას" გიორგი ციმაკურიძე მეორე ნახევრის შუაში შევიდა მინდორზე. მისიანებმა 1:2 დათმეს ზაპოროჟიეს „მეტალურგთან".

„ტავრიას" ქართველები, ვასილ გიგიაძე და ლადო ბურდული სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარან. მისიანებმა კი 0:1 წააგეს „ვორსკლასთან" და გასავარდნ ზონასთან ახლოს არიან.

**ჩეხეთი**: დიმიტრი ტატანაშვილის „პლზენმა" შინ 0:2 დათმო „ლიბერეცთან" და ცხრილის შუაში დარჩა. „ტატანამ" ტესტ-მატჩებში ბლომად გოლები გაიტანა, მაგრამ პლზენელთა თავკაცის გული მაინც ვერ მოიგო — ჩვენიანი წინა ტურში საერთოდ არ ათამაშა, „ლიბერეცთან" კი ბოლო 13 წუთი დაუთმო.

**სერბეთი**: „ვოივოდინაში" პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა **მიხეილ ხუციშვილმა** — ის პირველი ქართველია, რომელმაც სერბეთის ჩემპიონატს „მიუკაკუნა". ქართველის გუნდმა სტუმრად მოულოდნელად წააგო „ნაპრედაკთან" (1:2) და კვლავაც მეორე ადგილზეა, „პარტიზანთან" კი ოთხ ქულას აგებს. ხუციშვილი ძირითადში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს.

**დანია**: ხუციშვილი სერბეთში, **დავით დევდარიანი** კი დანიაში. დევდარიანს სასლიგაში, დებიუტი ჰქონდა, „ორჰუსის" ძირითადში დააყენეს და 70 წუთი ათამაშეს. მისიანებმა შინ 1:2 დათმეს „რანდერსთან" და გასავარდნ ზონასთან ახლოს ტრიალებენ.

ონლაინ-რეპორტაჟის მიხედვით, დავითს აქტიურად უთამაშია, ერთხელ კი სტუმართა მეკარეს მისთვის მკვდარი ბურთი აუღია.

ჩვენიანი მარცხენა ნახევარმცველი იყო.

**ავსტრია**: გიორგი შაშიაშვილი-ილია კანდელაკის „შტურმმა" მოულოდნელად შინ 1:3 დათმო „კაპფენბერგთან", თუმც ცხრილში მესამე ადგილი შეინარჩუნა და პლუს, პოტენციურად მეორეზეა.

შაშიაშვილი 83-ე წუთზე შეცვალეს, კანდელაკმა კი სრულად ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართული მოდი მიდის გარეშე



დავით სირაძე

**იყო** დრო, ზაალ ელიავა საქართველოს ნაკრებში საუკეთესო მარცხენა მცველი იყო, შარშანწინ რამდენიმე კარგი მატჩიც ჩაატარა — თურქეთთან, შოტლანდიასთან... თუმც მერე ზაალს ტრავმების გამო კარიერა აერია, რიგის „სკონტოდან" თბილისის „დინამოში" გაანათხოვრეს, სადაც თავი ვერაფრით გამოიჩინა, ახლა კი ისევ ლატვიური კლუბიდან იჯარით გადავიდა თბილისის „ლოკომოტივში".

გიორგი კიკნაძე-ზაზა ზამთარაძის გუნდს მამუკა ლომიძეც შეუერთდა, რომელიც კიშინოვის „ზიმბრუში" თამაშობდა. ლომიძე რამდენიმე წლის წინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი გახლდათ და კაპიტნის სამკლავურიც ეკეთა.

ყველაზე მყვირალა კი, თუ გამოვიდა, დავით სირაძის გალოკომოტიველება იქნება. 27 წლის ფორვარდი ბოლოს ნალჩიკის „სპარტაკში" გახლდათ, ორიოდ კვირის წინ გროზნოს „ტერეკში" თითქმის გამზადებული ტრანსფერი ჩაეშალა და ახლა „ლოკომოტივში" ვარჯიშობს. თუ დავითი ვაკის გუნდში დარჩა, ეს მისი მესამე დაბრუნება იქნება — პირველად თურქული „ერზურუმსპორიდან" გადავიდა „ლოკომოტივში", მეორედ კი გერმანული „ტრირიდან".

მოკლედ, ისე არ ქუხს, როგორც წვიმსო — „ლოკომოტივი" ბევრმა ჩამოწერა, ლიდერები დაკარგა, ახლა კი აგერ, არანაკლებ სახელიანებმა მიაკითხეს.

ახალციხის „მესხეთმა" ორი გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა: გიორგი გაბიდაური („ოლიმპიდან") და გიორგი კრასოვსკი (უზბეკეთიდან).

ცხინვალის „სპარტაკს" ზურაბ შველიძე შეემატა. ეს ფეხბურთელი ცოტა ხნის წინ თბილისის „მერანში" თამაშობდა. ბოლოს კი ქუვეითის ჩემპიონატში იყო.

„მესხეთისა" და „სპარტაკის" ფონზე გაცილებით კარგი ნამატი მიიღო „გაგრამ" — პაატა დათუნაიშვილი. „ვიტ ჯორჯიაში" გაზრდილმა დათუნაიშვილმა გასულ ზაფხულს ლატვიურ „დინაბურგს" მიაშურა, სადაც მხოლოდ რამდენიმე თვე გაჩერდა და ახლა „გაგრას" შეეშველება გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევაში, თუმცა გაგრელთა საქმე ტურიდან ტურამდე რთულდება.

**ილია ნანობაშვილი**

# ალეკო ამისულაშვილი მცირე თანხამ ჩაშალა

**ნალჩიკის** „სპარტაკის" მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა გააცხადა, თუ რატომ ვერ გადავიდა ალექსანდრე ამისულაშვილი გროზნოს „ტერეკში".

„ამისულაშვილს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და კიდევ ორი წელი ჩვენ გვეკუთვნის. შესაძლოა, თავად ფეხბურთელს კი შესთავაზეს გროზნოელებმა უკეთესი პირობები, მაგრამ ჩვენთვის მათი წინადადება მიუღებელი იყო. მართალია, ამისულაშვილის გაშვებაზე თანახმანი ვიყავით, მაგრამ მიხარია, რომ ასეთი დონის მცველი მაინც „სპარტაკში" დარჩა. ასე რომ, ზაფხულამდე მის წასვლაზე ლაპარაკი აღარ იქნება" — უთხრა კრასნოჟანმა რუს ჟურნალისტებს.

**კახა შალამბერიძე**

# გიგიაძე ვიცეა



**სიმფეროპოლის** „ტავრიას" ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე გუნდის ვიცე-კაპიტნად აირჩიეს.

კაპიტანი ალექსანდრ კოვპაკი იქნება, გიგიაძის გარდა კი მას კიდევ სამი ვიცე-კაპიტანი ეყოლება.

„ისინი ჩემთვის თანაშემწეებივით არიან და იმედი მაქვს, თანაგუნდელების ნდობასაც გაამართლებენ" — განაცხადა „ტავრიას" თავკაცმა სერგეი პუჩკოვმა.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში კიდევ ერთი ქართველი, ლადო ბურდული თამაშობს.

**კახა შალამბერიძე**

# ჩვენი კაცი უეფაში...

## აღმასკომს 25 მარტს აირჩევენ



**25 მარტს** დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში უეფას კონგრესი გაიმართება და სწორედ იქ აირჩევენ აღმასკომის ახალ წევრებს.

კანდიდატურის წარდგენის ბოლო ვადა 26 იანვარი იყო და გეცოდინებათ, რომ უეფას აღმასკომის წევრობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც სურს.

ამჟამად უეფას აღმასკომის წევრობა 12 პირს სურს, თუმცა ადგილი 9 არის.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის მაისის გადაწყვეტილებით, უეფას აღმასკომის წევრთა რაოდენობა ორით გაიზარდა და დღეს მისი შემადგენლობა ასეთია — პრეზიდენტი და 15 წევრი.

2009 წლის ბოლოს ვადა უმთავრდებათ მარიოს ლეფკარიტისს (კვიპროსი), ჯეფრი ტომპსონს (ინგლისი), გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს (გერმანია), ფრანკო კარაროს (იტალია), მეტიუ სპრენგერსს (ჰოლანდია), პერ-რავნ ომდალს (ნორვეგია) და ვიაჩესლავ კოლოსკოვს (რუსეთი).

ამათგან ჯეფრი ტომსონმა და მარიოს ლეფკარიტისმა მეორე ვადაზე წააყენეს თავიანთი კანდიდატურები. დანარჩენი ათი კანდიდატი კი ესენი არიან: ტომას ჰეა (ანდორა), ალან ჰანსენი (დანია), ნოდარ ახალკაცი (საქართველო), თეო ცვანციგერი (გერმანია), აბრაჰამ ლუზონი (ისრაელი), ჯანკარლო აბეტე (იტალია), მიხაელ ვან პრააგი (ჰოლანდია), ფრანტიშეკ ლაურინეცი (სლოვაკეთი), ლიუტაურას ვარანავიჩიუსი (ლიტვა) და პიტერ რისი (უელსი).

ვნახოთ, გვეყოლება თუ არა უეფას აღმასკომში ჩვენი კაცი.

**კახა შალამბერიძე**

# მჟავანაძე მაინც გაუშვეს



**ცოტა** არ იყოს, დაუჯერებელია, მაგრამ რუსულმა „როსტოვმა" კახა მჟავანაძე აღარ დაიტოვა.

დაუჯერებელი იმიტომ ვახსენეთ, რომ ისრაელური შეკრების დასრულების შემდეგ როსტოველებმა საჯაროდ განაცხადეს, ქართველი ახალწვეული გუნდში რჩება და დღე-დღეზე მასთან კონტრაქტს გავაფორმებთო.

რა და როგორ მოხდა ამის შემდეგ, ვერ გეტყვით, ის კი ფაქტია, რომ „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, მჟავანაძე „როსტოვიდან" აიბარგა.

როგორც შევიტყვეთ, ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველი ან უკრაინის პირველლიგელ „დნესტრში" გააგრძელებს კარიერას, ან მოლდოვურ „დაჩიაში".

**კახა შალამბერიძე**

# ლაშა ჯაკობია მეთოფეა



**ლაშა ჯაკობიამ** კიევის „არსენალთან" წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

28 წლის ქართველი ალექსანდრ ზავაროვის გუნდში სამი კვირის წინ გასინჯვაზე მივიდა და თურქულ შეკრებაზე რამდენიმე ტესტ-მატჩშიც ითამაშა.

ცნობილია, რომ ზავაროვს ჯაკობია მოსწონს და ხელშეკრულების გაფორმება მოსალოდნელიც იყო.

ვნახოთ, რამდენად აალაპარაკებს ლაშა უკრაინულ პრესას ხელახლა — იყო დრო, ის ხარკოვის „მეტალისტის" ლიდერი და კაპიტანი გახლდათ, მას შემდეგ კი ერთი პერიოდი იმავ „არსენალში" იყო, სადაც ბევრი გოლი არ გაუტანია, თუმც ერთი ისეთი შეაგდო... დონეცკის „შახტართან" მაკრატელა უკრაინელებს დღემდე არ ავიწყდებათ...

**ილია ნანობაშვილი**

# რატის დუბლი ეტოში

**რატი ალექსიძემ** უნგრულ „დიორ ეტოში" გოლების გატანა დაიწყო. „დიპოტთან" ამხანაგურ მატჩში ჩვენიანმა დუბლი შეასრულა — შეხვედრა 5:1 დასრულდა.

„დიპოტთან" არ უთამაშია დავით ოდიკაძეს...

და კიდევ, „დიორ ეტომ" სამეორეწრეოდ ახალწვეულები დანომრა — რატი ალექსიძეს პრესტიჟული 10 ნომერი ერგო, დავით ოდიკაძემ კი 49 აარჩია, რაც თბილისის „დინამოში" ეცვა.

**ილია ნანობაშვილი**

# ყაზანურ-ესპანური ქართული ამბები



ნუკრი რევიშვილი

**ყაზანის** „რუბინი" ისევ ესპანეთშია შეკრებაზე და ნორვეგიულ კლუბებს ეთამაშება. „სანდერფიორდი" ზედიზედ მესამე ნორვეგიული კლუბი იყო, რუსეთის ჩემპიონი რომ შეხვდა. „რუბინმა" 1:0 მოიგო.

ყაზანელთაგან ოდენ ლაშა სალუქვაძემ ითამაშა (სრულად), ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია კი მინდორზე არ გასულან.

კვირკველიას ვიზა დაუმთავრდა და ყაზანში ნაადრევად გაბრუნებულა.

რაც შეეხება რევიშვილს, „რუბინი" სამშობლოში რომ დაბრუნდება, მაშინ გააფორმებს ახალ კონტრაქტს კლუბთან — სავარაუდოდ, ერთწლიანს.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — 21 ტური



„დინამოს" დონალდ ჯიუსმა მოაგებინა

# რაინერ ცობელი: ასე სუსტად ჯერ არ გვითამაშია...

**„რაც** „დინამოში" ვარ, ჩემს გუნდს ასე სუსტად არასოდეს უთამაშია" — ეს სიტყვები ნამატჩევს გვითხრა თბილისელთა თავკაცმა რაინერ ცობელმა და მართლაც, დონალდ ჯიუსის იღბლიანი თავური რომ არა, დინამოელები ოქროს ქულებს გაფანტავდნენ.

კამერუნელი ფორვარდი სულ რამდენიმე წუთის შესული იყო მინდორზე, გადამწყვეტი რომ შეაგდო.

სხვათა შორის, ბევრი მწვრთნელი კი დაიტრაბახებდა, აი, ნახეთ, რა შეცვლა გავაკეთე, თამაში ჩემმა გამჭრიახობამ მოიგოო.

და რატომ იყო „დინამო" ასე მოლაყლაყებული? ცობელის სიტყვებით, ბიჭები „ზესტაფონთან" მოგებისა და „ვიტ ჯორჯიასთან" ფრის შემდეგ მოეშვნენ და „მგლები" იოლ ლუკმად ჩათვალეს.

„მოდუნება ვარჯიშებზეც ეტყობოდათ ჩემს ფეხბურთელებს და შესაბამისად, მატჩზეც გადაჰყვათ. პირველ ტაიმში ყველა ორთაბრძოლა წავაგეთ. იმაზე ნერვებმოსაშლელი რა არის, როცა უყურებ, როგორ მიფრინავს ბურთი და როგორ უყურებენ შენი მცველები, როგორ ერიდებიან ბრძოლაში შესვლას. ასე იყო გაშვებული გოლის მომენტშიც. დღეს კონცენტრაცია ძალიან გვაკლდა. ისიცაა, რომ ძალიან ძნელია, როცა იცი, მოგების შემთხვევაში ლიდერთან სხვაობას ერთ ქულამდე ამცირებ. ძნელია ფსიქოლოგიურად".

ჰო, ცობელს პირველად არ დაუჩივლია ფეხბურთელთა ზერელე თამაშზე. არადა, „დინამო" ჯერჯერობით ნამდვილად არ არის იმ დონის გუნდი, სხვებზე ზემოდან ყურების უფლებას რომ აძლევენ საკუთარ თავს — ეროვნულ ჩემპიონატშიც კი.

ეს არ არის 90-იანი წლების „დინამო", ცალი ფეხით რომ უგებდა პერიფერიის გუნდებს. ამიტომაც, ცობელის შეგირდებს მეტი კონცენტრაცია მართებთ.

„მგლების" მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ კი თავისი ბიჭების შეცდომები აღნიშნა...

„ეს ბავშვური შეცდომები იყო. ორივე გოლი არგასაშვებ სიტუაციაში გავუშვით. „დინამოს" საწინააღმდეგოდ გარკვეული სამუშაოები ჩავატარეთ და თავადაც ნახეთ, ფავორიტი მაგრად ვანერვიულეთ. ვფიქრობ, „დინამომ" ბრძოლაში მოიგო. „მგლები" გასავარდნი გუნდი არ არის. ჩვენ შენების პროცესში ვართ, წინსვლას უკვე ვგრძნობთ და კალენდარიც ხელს გვიწყობს, რათა საშიშ ზონას ავცდეთ".

ცობელმა ილია სპასოევიჩს და დანილო ტომიჩს „ზესტაფონთან" კარგი თამაში დაუფასა, ორივეს ანდო ადგილი ძირითადში, თუმც ჩერნოგორიელები ძალიან უმარილოდ თამაშობდნენ. სპასოევიჩმა 0:0-ზე ისეთი მომენტი გააცუდა, ათასპროცენტიანი რომ ეთქმის — ხუთიოდ მეტრიდან მეკარე გიორგი სომხიშვილს გაარტყა ბურთი.

„დინამოს" გერმანელმა მწვრთნელმა კაპიტანი ლევან ხმალაძე მარცხენა მცველად დააყენა, რითაც ძირითადში საყრდენ ნახევარმცველად ადგილი გაუთავისუფლა გია ნერგაძეს.

მათე ვაწაძე განაცხადშიც არ იყო, რისი მიზეზიც ლავიწის ძველი ტრავმაა.

„ვაწაძე ჩვენთვის დიდი ძალაა. სანამ ბოლომდე არ გამოჯანმრთელდება, სჯობს, დაისვენოს" — თქვა რაინერ ცობელმა.

შეუხედავ პირველ ტაიმში ერთადერთი საგოლე შანსი გიორგი მერებაშვილს ჰქონდა, როცა საჯარიმო დაარტყა და სომხიშვილმა მოიგერია. თუმც ჩემპიონატის ბომბარდირმა თავისი მაინც გაიტანა, რაშიც „მგლების" მცველი დავით ჭითინავა დაეხმარა. ზუგდიდელმა თავის საჯარიმოში ზედმეტი მონდომა, ნერგაძემ წაართვა და მერებაშვილს უპასა, ვინაც ერთი შეხებით შეაცურა ბურთი შორეულ კუთხეში — 1:0.

სტუმრებმა მალევე გაათანაბრეს. ვალტერ გუჩუამ ჯარიმა ჩააბზრიალა, დინამოელთა მცველები დაიბნენ და დიდიე ოვონოს ძლივს მოგერიებულ ბურთს როინ ონიანმა თავით ცარიელ კარში დაამატა — 66-ე წუთზე 1:1 გახდა.

ეს გოლი და ჯიუსის გამოსვლა ერთი იყო. კამერუნელმა კიდევ ერთი შეცვლაზე შესულის, ოლეგ გველესიანის ფლანგური პასის შემდეგ აძგერა თავური და „დინამო" საბოლოოდ დააწინაურა.

აღსანიშნავია მერებაშვილის გამჭრიახი პასი, რომელსაც მოჰყვა კიდეც გველესიანის საგოლე გადაცემა.

დარჩენილ წუთებში „მგლებმა" გასატანად გაიწია და მართალია, ოვონოს კართან ღირსშესანიშნავი არაფერი შეუქმნია, მაგრამ მონდომება და ლიდერთან ქულის აღების სწრაფვა მაინც უნდა დავუფასოთ — ყველა გუნდი როდი ახერხებს „დინამოსთან" ასე გათამამებას.

და ერთიც, ცობელმა ნამატჩევს შეროზიას გუნდი შეუქო და „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ დარაზმა — დღევანდელივით თუ გაირჯებით, არ არის გამორიცხული, სძლიოთ კიდეცო...

**ილია ნანობაშვილი**

---

28 თებერვალი. 14 საათი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — სიონი ბოლნისი 1:1**

გორი. "თ. ბურჯანაძე". 600 მაყურებელი

0:1 სანიკიძე (17პ), 1:1 ლომაია (37)

*რაზმაძემ ვერ გაიტანა პენალტი (62, ძელი)*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ა. კვახაძე, ხურცილავა, ბექვაია, დ. ლომაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, ბერიაშვილი (ზაქრაძე 59), გ. მელქაძე, კლიმიაშვილი (კვალინიძე 70), ვ. კვარაცხელია

*სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე; მაისაშვილი, ხურცილავა, ბერიაშვილი*

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

სიონი: გ. ქანტურია, ორბელაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ი. ვამაკიძე, დიდავა, მიკუჩაძე (ი. შენგელია 81), შალამბერიძე (კაკაშვილი 90), ლ. სანიკიძე, ზ. ქელიძე, რ. გოცირიძე (ბობოხიძე 65)

*სათადარიგონი: ლორია; კაკუბავა, ნერგაძე, ლომია, ჯიუსი*

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

გაფრთხილება: ბედიაშვილი (17), ქემოკლიძე (57), ვამაკიძე (67)

მსაჯები: მ. ურუშაძე; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ერქვანია; ლ. კვარაცხელია

---

28 თებერვალი. 14 საათი

**ოლიმპი რუსთავი — ლოკომოტივი თბილისი 0:0**

რუსთავი. "ფოლადი". 300 მაყურებელი

ოლიმპი: მ. ალავიძე, თ. ლონლაძე, გ. ონიანი, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე (რეხვიაშვილი 82), დობროვოლსკი, გ. სეთურიძე, ფიფია (გ. ნოდ. ქელიძე 46), ბაბუნაშვილი, გ. ჩხეტიანი (დეკანოსიძე 64), მეგრელაძე

*სათადარიგო: გორდეზიანი*

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

ლოკომოტივი: გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა, კ. მახარაძე (სოსელია 90), ჩირიკაშვილი, დიაკვნიშვილი, ი. გილაური, შ. კვანტალიანი (გ. მოდებაძე 87), დ. ჩაგელიშვილი (ბებუა 62)

*სათადარიგონი: ბელელური; მებალიშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ა. კობიაშვილი*

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

გაფრთხილება: დიაკვნიშვილი (28), მეგრელაძე (30), ონიანი (89)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე, ჯ. ხოჯავა

---

1 მარტი. 14 საათი

**დინამო თბილისი — მგლები ზუგდიდი 2:1**

თბილისი. "ეროვნული". 200 მაყურებელი

1:0 მერებაშვილი (64), 1:1 ონიანი (66), 2:1 ჯიუსი (73)

დინამო: ოვონო, თომაშვილი, კრმკო, გ. კაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი, ნერგაძე, ტომიჩი (გველესიანი 61), კოშკაძე, სპასოევიჩი (ჯიუსი 67), გ. მერებაშვილი

*სათადარიგონი: გ. ლორია; გეთიაშვილი, ქანთარია, ნემსაძე, ლომია*

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

მგლები: სომხიშვილი, ჭითინავა (ჯოჯუა 81), აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი, გუჩუა (ინჯგია 69), ა. ბაჯელიძე, გულორდავა, გ. თოდუა, ქირია (ხურციძე 78), ქედია

*სათადარიგონი: ქალდანი; ხუხია, ბაკარანძე, ი. ჯიშკარიანი*

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: გუჩუა (17), კრმკო (31), ონიანი (62), ხმალაძე (66)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, გ. ყრუაშვილი, ს. სპიცინი, ო. ხეცაძე

---

1 მარტი. 15 საათი

**სკ ზესტაფონი — სპარტაკი ცხინვალი 4:1**

ზესტაფონი. "ცენტრალური". 50 მაყურებელი

1:0 ხიდეშელი (11), 1:1 სახოკია (44), 2:1 იონანიძე (54), 3:1, 4:1 მელქაძე (89, 90)

ზესტაფონი: მამალაძე, კვესიეშვილი, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, გორგიაშვილი (შ. გრიგალაშვილი 68), ძარია, გ. ნუგ. ქელიძე, დაუშვილი, ბენაშვილი (იონანიძე 53), კაკალაძე (ნ. კვასხვაძე 46), ლ. მელქაძე

*სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, კაქაჭიშვილი, ბერუაშვილი, ქანკოტაძე*

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

სპარტაკი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, გ. კვახაძე, გ. ოქროპირიძე, ქორიძე, მგალობლიშვილი (ზ. მეტრეველი 70), ჩივაძე, გ. თურმანიძე (ჯანგიძე 63), სახოკია (კ. ავალიანი 66), ნ. მაისურაძე, სირბილაძე

*სათადარიგონი: კოდალაევი, ბ. ხაჭიპერაძე, ა. ჯანელიძე, გ. გაბელაია*

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ბ. ქიქინაძე, ი. უკლება, პ. დოგრაშვილი

---

1 მარტი. 15 საათი

**მესხეთი ახალციხე — სკ გაგრა 2:0**

ბორჯომი. "ჯ. ზეინკლიშვილი". 400 მაყურებელი

1:0, 2:0 სამადაშვილი (72, 78)

მესხეთი: ბათიაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, ვ. ხორგუაშვილი, ლ. ვამაკიძე (პ. ხორგუაშვილი 60), ლ. თედიაშვილი, გაბიდაური, ლეკიშვილი, ლ. ქებაძე (გ. მიქაბერიძე 60), სუდაძე (სამადაშვილი 46)

*სათადარიგონი: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, ბეჟანიშვილი, გვირჯიშვილი*

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაგრა: თევდორაძე, კუპრეიშვილი, კოზლენკო, ტყეშელაშვილი, გაბუნია, გაბედავა, ჩარგეიშვილი, ცხადაია, შარიქაძე, აბაშიძე (ქაავა 65), ძაგანია

*სათადარიგონი: ხომერიკი, გედენიძე, ჯარმელაშვილი*

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: ჩხეტიანი, გაბიდაური

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, ზვ. ასკაროლლი

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — 21 ტური

# რას ერჩოდა რემბო გია მეგრელაძეს?

**ოქროს** ოთხი ქულა დაკარგა რუსთავის „ოლიმპა" ბოლო ორ მატჩში. ჯერ იყო და, ცხინვალის „სპარტაკს" ვერ მოერია, ახლა კი თბილისის „ლოკომოტივთანაც" გოლმშრალი დარჩა.

რაღას არ ეცადა რუსთაველთა მწვრთნელი ვარლამ კილასონია, მაგრამ შეცვლებით და ტაქტიკური გადაადგილებებითაც ვერაფერი დააკლო სტუმარს.

ზოგი მსაჯისკენ გაიშვერს ხელს და ძნელია, ისინი გაამტყუნო: ალექსანდრე კრიჭაშვილი 30-ე წუთზე უხეშად შეცდა, როცა „ლოკომოტივის" კარში პენალტი არ დანიშნა. იმ მომენტში მეკარე გიორგი ლომაიამ რუსთაველი გია მეგრელაძე აშკარად წააქცია — კონტაქტი თვალსაჩინო იყო და „რემბოს" ეს უნდა დაენახა.

მსაჯს მანამდეც უნდა დაენახა, მეგრელაძე თითქმის პირისპირ რომ გადიოდა ლომაიასთან და მამუკა ლომიძემ რომ მოცელა — არც ჯარიმა, არც არაფერი...

ეს მომენტები კი ჩამოვთვალეთ, მაგრამ კალამი როგორ წაგვიცდება, სტუმართა აღებული ქულა მხოლოდ კრიჭაშვილს „დავაბრალოთ". არა, „ლოკომოტივმა" მოსალოდნელზე კარგად ითამაშა და ცოტა რომ გამართლებოდა, ან უფრო სწორად, უფრო გამოცდილი შემტევები რომ ჰყოლოდა, სამ ქულასაც წაავლებდა ხელს — მეორე ტაიმში შალვა კვანტალიანს, ირაკლი ჩირიკაშვილსა და გიორგი დიაკვნიშვილს კარგი მომენტები გაუფუჭდათ.

განსაკუთრებით კარგი იყო ზაალ ელიავა-გიორგი ბებუა-ირაკლი ჩირიკაშვილის სწრაფი კონტრშეტევა, რომელიც ოლიმპელთა მეკარე მიხეილ ალავიძემ თავგანწირვით მოაშთო.

ელიავაზე ცალკე ვთქვათ: საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატმა არცთუ ცუდი მატჩი ჩაატარა, თუმც ორი-სამი წლის წინანდელ ელიავასთან რა შედარებაა, ხშირი უთამაშებლობა ამ მართლაც ნიჭიერ ცაციას დაღს ასვამს.

იგივეს ვიტყვით „ოლიმპის" ახალწვეულ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეზე, ვინაც შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და საწყისი 10-15 წუთი ბევრი იაქტიურა, მაგრამ მერე ჩრდილში მოექცა.

ელიავასაც და ჭელიძესაც გაცილებით მეტი შეუძლიათ — ოღონდ, ვფიქრობთ, თუ კლუბების ხშირ ცვლას თავს დაანებებენ, ეს სასიკეთოდ წაადგებათ.

მთლიანობაში, „ფოლადზე" გამართულ თამაშს შეეხედებოდა: არც ტემპი იყო დაბალი და არც ბრძოლა განელებულა.

„ოლიმპი" თავიდანვე ეცადა მეტოქის ნახევარზე დასახლებას და საწყის წუთებში მეგრელაძეს შეეძლო გატანა, რთული მდგომარეობიდან დაწოლილმა დაარტყა და ძლს შეაწყვიტა ბურთი, მერე კი ულომაიო კარში გზავნიდა ბურთს, მაგრამ ელიავას მოარტყა — ეს გაგა ჩხეტიანის მარცხიდან შეჭრას და პასს მოჰყვა.

მეორე ნახევარშიც, რაც კი „ოლიმპს" შანსი შეექმნა, სულ მეგრელაძის მონაწილეობით: გიამ ერთხელ ჯარიმა გაისროლა და ლომაიამ ძლივს მოიგერია, მეორედ კი აქტიური შოთა ბაბუნაშვილის პასი ვერ შეიშნო და ააცილა.

ერთი აშკარაა, რუსთაველებს უფრო სხვანაირი თავდამსხმელიც სჭირდებათ: მეგრელაძეს გოლის ალღო კი აქვს, მაგრამ სწრაფი ვერა. ჩხეტიანი კი უფრო მებრძოლი ფორვარდია, მცველების შეწუხება ეხერხება, თუმც დამაგვირგვინებელ ფაზაში ძალიან მოისუსტებს და ფანტაზიაშიც მოიკოჭლებს.

ვნახოთ, „პაჭელო" (ჭელიძე) როგორ ამუშავდება...

მაგრამ ქვემოქართლელებს კიდევ რა უჭირთ, თავდამსხმელების ნაკლებობაზე „ლოკომოტივმა" უნდა დაიჩივლოს — ამიტომაც, დავით სირაძე თუ ზაფხულამდე გუნდში დარჩება, ეს მართლაც მისწრება იქნება. ჯერჯერობით მისი საკითხი გაურკვეველია... ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მთავარფორვარდი „ლოკომოტივში" ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს.

**ილია ნანობაშვილი**



ლევან სანიკიძემ (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიას" პენალტი გაუტანა

# სიონმა დინამოს საქმე გააკეთა

**ყველაფერს** შნო-ლაზათი უნდა — გოლების გატანასაც და გოლების ლამაზად გატანასაც. ზურაბ იონანიძემ ერთიც იცის და მეორეც. ცხინვალის „სპარტაკთან" ისეთი შეაგდო, თქვენი მოწონებული. „ზესტაფონის" სტადიონის დიქტორი იონანიძის მინდორზე გამოსვლას აუწყებდა ქომაგებს, როცა 36 წლის ფორვარდმა საჯარიმოში ზურგით მდგომმა ამოჰკრა ბურთს და თავზე გადაუგდო „სპარტაკის" მეკარე გიგა იაშვილს.

ასე დააწინაურა „იონამ" თავისიანები, თუმც მანამდეც ფეროელები უკვე წინ იყვნენ, როცა გიორგი ხიდეშელმა თავურით გაიტანა, ოღონდ ტაიმის ბოლოს ცხინვალელთა ზაზა სახოკიამ ეფექტური დარტყმით გაქვითა. იონანიძის ლამაზ გოლს ლევან მელქაძემ დაამატა ბოლო წუთების დუბლი და იმერლებმა 4:1 იმარჯვეს.

გია გეგუჩაძის ხელში სხვანაირ, უფრო შედეგიან „ზესტაფონს" ვხედავთ — ბოლო სამ ტურში ფეროელებმა 7 გოლი შეაგდეს, როცა მანამდე 16 შეხვედრაში ოდენ 17-ჯერ იხეირეს.

რაც შეეხება ცხინვალის „სპარტაკს", მათი მთავარი იმედი „გაგრა", უფრო სწორად, „გაგრას" უსუსურობაა. ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა „მესხეთთან" სტუმრად 0:2 დათმო, რითაც კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშანი შეგვიძლია დავსვათ — რისთვისაც იყვნენ ისინი თურქეთში შეკრებაზე?

აი, მესხებმა კი ამ მოგებით მეშვიდე ადგილზე აინაცვლეს და ამ ეტაპზე გავარდნა არ ემუქრებათ, თუმც ჩემპიონატის დასრულებამდე მესამედზე მეტია დარჩენილი.

კარგი თამაში გამოვიდა გორში, სადაც „ვიტ ჯორჯიამ" „სიონს" ვერ აჯობა და „დინამო" მიიახლოვა.

თავიდან სულაც ბოლნისელები დაწინაურდნენ — ვიტელთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილმა სტუმართა შემტევი კოკა მიკუჩაძე წააქცია და ლევან სანიკიძემ პენალტით სენსაციის სუნი დააყენა.

ჩემპიონატის ყოჩებმა პირველივე ტაიმში დავით ლომაიას გოლით გაათანაბრეს, ხოლო 62-ე წუთზე პენალტი „სიონის" კარისკენაც დაიდო: ვახტანგ კვარაცხელია წააქციეს, თუმც მისი ნაჯაფი ლუკა რაზმაძემ წყალში ჩაყარა, რაკილა თეთრი ნიშნულიდან ძელს გაარტყა ბურთი.

1:1 — „სიონმა" თვითონ ხომ გაიხარა, მაგრამ „დინამო" უფრო გაახარა. ახლა ლიდერსა და მოქმედ ჩემპიონს შორის სხვაობა ქულაღა დარჩა.

ცხრილიდან გამომდინარე, რეალურად „ზესტაფონსაც" შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა, თუმც საამისოდ პრინციპულ მეტოქესთან მოგება უნდა ისწავლოს.

ბომბარდირთა დავაში კი გიორგი მერებაშვილი კვლავ ხელუხლებელია, და მეტიც, დინამოელმა მდევრებთან უპირატესობა ერთი ბურთით გაზარდა.

**ილია ნანობაშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 6 | 1 | 32:12 | 20 | 42 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 21 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 41:15 | 26 | 41 | 10 | 9 | 1 | 0 | 30:7 | 23 | 28 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:8 | 3 | 13 |
| 3 ზესტაფონი | 19 | 11 | 3 | 5 | 24:13 | 11 | 36 | 10 | 7 | 0 | 3 | 15:6 | 9 | 21 | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 15 |
| 4 ოლიმპი | 19 | 8 | 9 | 2 | 22:11 | 11 | 33 | 10 | 5 | 5 | 0 | 12:2 | 10 | 20 | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 1 | 13 |
| 5 სიონი | 19 | 7 | 8 | 4 | 22:16 | 6 | 29 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 10 | 4 | 4 | 2 | 10:7 | 3 | 16 |
| 6 ლოკომოტივი | 19 | 8 | 3 | 8 | 23:19 | 4 | 27 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:6 | 5 | 15 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 |
| 7 მესხეთი | 19 | 5 | 6 | 8 | 14:24 | -10 | 21 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 4:14 | -10 | 8 |
| 8 მგლები | 19 | 5 | 4 | 10 | 17:25 | -8 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:7 | 3 | 13 | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 6 |
| 9 გაგრა | 20 | 4 | 4 | 12 | 14:34 | -20 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 15 | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | -19 | 1 |
| 10 სპარტაკი | 19 | 3 | 3 | 13 | 17:44 | -17 | 12 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 5 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 7 |
| 11 ბორჯომი | 19 | 2 | 6 | 11 | 16:39 | -23 | 12 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 7 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:26 | -18 | 5 |

### XXII ტური

6 მარტი. პარასკევი
სპარტაკი – მესხეთი
მგლები – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – დინამო

7 მარტი. შაბათი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
სიონი – ოლიმპი
გაგრა ისვენებს

### ბომბარდირები

11 — გიორგი მერებაშვილი — დინამო
9 — ნიკა გელაშვილი — ზესტაფონი
ილია საასოევიჩი — დინამო
8 — მათე ვაწაძე — დინამო
ვახტანგ კვარაცხელია — ვიტ ჯორჯია

# მარტ-აპრილის მატჩების შემდეგ კუპერთან დავილაპარაკებთ

ხუთშაბათის „სარბიელში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან საუბრის პირველი ნაწილი შემოგთავაზეთ, დღეს კი დასასრული შეგიძლიათ წაიკითხოთ. შეგახსენებთ, რომ ნოდარ ახალკაცი რედაქციაში თავად გვესტუმრა და მასთან საუბარს რამდენიმე სარბიელელი წარმართავდა...



## ნოდარ ახალკაცი: გავიხსენოთ ფეიენოორდი და...

**გიორგი დარჯანია:** გარიგებული თამაშების თემაზე რამე სიახლე ხომ არ არის? წინა სეზონის მიწურულს ამაზე იყო ლაპარაკი და პროკურატურაც ჩართ-ეთ საქმეში...

**ნოდარ ახალკაცი:** მუშაობა მიდის. როცა ეროვნული ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის, დაძაბულობა მატულობს და სერიოზული მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს ყველა კლუბი, ყველა ფეხბურთელი. ამ პროცესის გაკონტროლება მთელ მსოფლიოში ძალიან რთულია.

**ილია ნანობაშვილი:** ირლანდიასთან მსაჯობასაც შევეხოთ. მართალია, ამ მატჩს არავინ გადაგვათამაშებს, მაგრამ მსაჯის დასჯის მექანიზმი თუ არსებობს?

**ნოდარ ახალკაცი:** დასჯის მექანიზმი არსებობს. მაგალითად, რაილი, რომელმაც გასულ შესარჩევ ციკლში თბილისში იტალიასთან გვიმსაჯა და ჯაბა კანკავა ისე გააძევა რომ, პირლოსთან შეხებაც არ ჰქონია. ამ მსაჯმა ცუდი შეფასება მიიღო და კარგა ხანია, აღარ უმსაჯია საერთაშორისო დონეზე. არ არის გამორიცხული, ირლანდიასთან მატჩის დელეგატმაც იგივენაირად შეაფასოს მსაჯის გარჯა. თუმცა ჩვენი მხრიდან შედეგი, ცხადია, არანაირ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ძალიან მტკივნეული იყო მსაჯის ის გადაწყვეტილება, მაგრამ ვერაფერს შევცვლით. ფიფა გეუბნება, რომ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტება შენი საქმე არ არის. ეს არ პროტესტდება. თუ ის დასასჯელია, თავადვე მივხედავო.

სხვათა შორის, მატჩის მეორე დღეს ირლანდიურმა სპორტულმა არხმა პენალტის თაობაზე თქვა, რომ ხიზანიშვილმა დოილი საჯარიმოს გარეთ წააქცია და გასაკვირია, მსაჯმა პენალტი რატომ დანიშნაო. ირლანდიელებმა ისიც ვერ დაუშვეს, რომ ლობჟანიძეს ბურთი ხელზე მოხვდა. ძალიან ძნელია, ამდენი შრომა ერთი ხელის მოსმით რომ ჩაგეყრება წყალში.

**გიორგი დარჯანია:** ძალიან ხშირად გვიწევს ქართველებს თქმა, რომ არ გაგვიმართლა. ხომ შეიძლება, ასეთი პენალტით ჩვენც მოვიგოთ ხოლმე. ასეთი რამ კი, სამწუხაროდ, არ ხდება...

**ნოდარ ახალკაცი:** რუსებს აქვთ ასეთი გამონათქვამი, უძლიერესს უმართლებსო. სხვათა შორის, გერმანელები ამბობენ, რომ ბედი სწყალობს მას, ვინც მეტს შრომობს.

ცივ გონებაზე ჩვენი დასკვნა, ასეთია: მეტი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ, რაც შეიძლება, მეტად მდგრადები ვიყოთ, რათა ასეთი პრობლემები ავიტანოთ და მაინც შევძლოთ, თამაში საჩვენოდ შემოვატრიალოთ.

წარმოიდგინეთ, ირლანდიასთან მატჩამდე მხოლოდ ორი სრულყოფილი ვარჯიში ჩაატარა კუპერმა. ბოლო შეხვედრა კი ნოემბერში ჰქონდა. აბსოლუტურად მომზადებული უნდა იყოს თითოეული ფეხბურთელი როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად. წარმოიდგინეთ, 23 ირლანდიელი ფეხბურთელი ინგლისის პრემიერლიგაში გამოდის, თებერვალში პრემიერლიგა გახურებულია, შენს ფეხბურთელთა უმრავლესობას კი სათამაშო პრაქტიკაც არ აქვს. ამის მიუხედავად, ის თამაში 73-ე წუთამდე მიგვყავდა. მაგრამ რომ ვიხსენებ, თავის დროზე თბილისის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატში რა მსაჯობა ჰქონდა...

მამაჩემი მიყვებოდა, როგორ უწევდა მაშინდელ მსაჯებთან მუშაობა. კანონის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებდით, ცოტა რომ გვესიამოვნებინა მსაჯებისთვის და მერე ობიექტურად ემსაჯათო.

საერთაშორისო დონეზე შეგვიძლია გავიხსენოთ „ფეიენოორდთან" გასვლითი მატჩი. წარმოუდგენელი მსაჯობა იყო, მამაჩემისგანაც მახსოვს და მაშინდელი ფეხბურთელებისგანაც, რომ ბოლო ნახევარ საათში რომელიმე ჰოლანდიელი ფეხბურთელი საჯარიმოში რომ წაქცეულიყო, პენალტი დაიდებოდა. მწვრთნელის მითითება იყო, რომ ამ ნახევარი საათის განმავლობაში ჰოლანდიელები საჯარიმოში ვერ უნდა შესულიყვნენ და გუნდმა ეს დავალება განახორციელა. ამით იმის თქმა მინდა, რომ დიდ წარმატებამდე „დინამომ" ასეთ სირთულეებსაც გაუძლო...

ქვეცნობიერად მსაჯი, ალბათ, იტალიელს უფრო მიემხრობა, ვიდრე ქართველს. სახეზე იცნობს, ვთქვათ, კალაძეს, კობიაშვილს... იტალიელებს კი, შესაძლოა, ერთ სეზონში რამდენჯერმე შეხვდეს. ეს ბევრს ნიშნავს. ამიტომაც არის ახალგაზრდებისთვის ბევრი საერთაშორისო თამაში საჭირო. ბევრი მატჩი რომ აქვს ჩატარებული, რამდენიმე მაინც იქნება ისეთი, მსაჯმა შეცდომა რომ დაუშვა. მერე კი, ის ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში როცა მოვა, უკვე ეცოდინება, რომ მსაჯის შეცდომა მოსალოდნელია, უკვე ფსიქოლოგიურად მომზადებული იქნება და აღარ გატყდება. დაუმსახურებული პენალტის შემდეგ იტყვის, არა უშავსო და ბრძოლას გააგრძელებს...

წარმოუდგენელია კარგი შედეგის მიღწევა, თუ ფეხბურთელების საკმარისი რაოდენობა არ გყავს. კახა კალაძის შეცვლა „მილანსაც" უჭირს, მაგრამ შენ მაინც უნდა შეეცადო მის ადგილზე ვინმეს მოძებნას. რითი აღწევენ დიდი ევროპული გუნდები შედეგს? იმით, რომ ერთ პოზიციაზე 4-5 ფეხბურთელი ჰყავთ. შენ შეიძლება ვიღაცას ერთი თამაში მოუგო, მაგრამ სტაბილურად ამ შედეგის მიღება გაგიჭირდება. თუ არჩევანის საშუალება არ გაქნა, წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ეს არის ის, რაზეც ჩვენ უნდა ვიმუშაოთ.

**ილია ნანობაშვილი:** თაობებს შორის ჩავარდნაზე ისაუბრეთ და კერძოდ, რომელ წლებში დაბადებულებს გულისხმობთ?

**ნოდარ ახალკაცი:** 1981 წლის დაბადებულებიდან 1988 წლამდე. მოდი, დავთვალოთ — ჯაბა კანკავა 1986 წელსაა დაბადებული, 1981 წელს დაიბადნენ ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი. მეტი მათი თაობის აღარავინაა, ვინც ნაკრებს გამოადგებოდა. როგორ შეიძლება, შვიდი წლის განმავლობაში ნაკრებმა ფეხბურთელების ასეთი ცოტა რაოდენობა მიიღოს?! აი, უკვე კარგია, როცა 1990 წელს დაბადებულები, მაკარიძე, ყენია, მჭედლიძე გვყავს, თითო თაობამ სულ მცირე სამი ფეხბურთელი რომ მისცეს ნაკრებს, საქმე, რა თქმა უნდა, უკეთ გვექნება.

**ილია ნანობაშვილი:** ექტორ რაულ კუპერის თაობაზე რას იტყვით?

**ნოდარ ახალკაცი:** მუშაობის სტილით და საქმისადმი მიდგომით ძალიან კმაყოფილები ვართ. ეს ადამიანი ძალიან ბევრს შრომობს და მარტ-აპრილის მატჩების შემდეგ, შესაძლოა, სამომავლო თანამშრომლობაზეც ვისაუბროთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ დადებითი შედეგებიც ექნება. ძნელია მოკლე დროში გუნდის შენება, მაგრამ ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზულ ნაბიჯებს დგამს და ალბათ, ამაში თქვენც დამეთანხმებით. მისი საქმისადმი მიდგომა მართლაც სამაგალითოა. ჩვენი დიდი სურვილია, რომ თანამშრომლობა გაგრძელდეს. იმ სამიკვლეს, რაც ამ შესარჩევ ციკლში იყრება, შესაბამისი გაგრძელებაც უნდა მოჰყვეს. კარგი შედეგი ჩვენი სურვილია, მაგრამ სხვა არის რეალობა. შედეგის მომწიფებას თავისი დრო სჭირდება. მთავარია, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები, როგორ მივდივართ შედეგისკენ. ჯერჯერობით კუპერის მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ.

**ილია ნანობაშვილი:** საფეხბურთო სკოლებზე მინდა გკითხოთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყეს ლიცენზირებული სკოლების 10 000 დოლარით დახმარება. პირველი დახმარება „ნორჩმა დინამოელმა" მიიღო. გრძელდება ეს პროცესი?

**ნოდარ ახალკაცი:** კარგია, რომ ბავშვთა ფეხბურთსაც შევეხეთ. ბავშვთა ფეხბურთი ჩვენი მომავალი განვითარების ქვაკუთხედია. ამას მგონი, დიდი დისკუსია არ სჭირდება. როცა სტაბილური შედეგის მიღწევაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია შევსების მიღება.

სამწელიწადნახევრის წინ საერთოდ არ არსებობდა მონაცემთა ბაზა, სად რა ხდებოდა... დღეს კი ყოველდღიურად ხდება ამის სრულყოფა.

დღეისთვის საქართველოში არის 186 მოქმედი საფეხბურთო სკოლა. ამათგან 150 სკოლა რეგიონებშია, 36 კი დედაქალაქში. ჩვენ ვცდილობთ, ამ სკოლების მუშაობის დონე გავზარდოთ. უეფას საკლუბო ლიცენზირების პროგრამის საფუძველზე შევქმენით ბავშვთა საფეხბურთო ლიცენზირების პროგრამა. რაც შეეხება ჭაბუკთა ლიგას, სადაც უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბების ბავშვთა გუნდები თამაშობენ, მათი ლიცენზირება ავტომატურად ხდება.

საკლუბო ლიცენზირების პროგრამა ყველა სკოლისთვის მიმზიდველი უნდა გახდეს. ერთი ის, რომ ლიცენზირებით მათი იმიჯი იცვლება, მათი პრესტიჟი სულ სხვანაირი ხდება და გარდა ამისა, ჩვენ გვინდა, ამას მივაბათ კომპენსაციის საკითხი. თუ შენ ლიცენზირება საუკეთესოდ გაქნება გავლილი, მაშინ მოგეცემა საშუალება, რომ აღზრდილ ფეხბურთელებში მეტი კომპენსაცია მიიღო, ვიდრე იმ სკოლამ, რომელსაც ლიცენზირების პროცესი ასეთი წარმატებით არ გაუვლია. სკოლის ინტერესიც ეს უნდა იყოს, რათა შემდეგ გაწეული შრომა კარგად დაუფასდეს. ამისთვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია ლიცენზირებული მწვრთნელების არსებობა. ერთი ძალიან სასიხარულო ფაქტი მოხდა: ჩვენ მოგვივიდა უკვე ამის დამადასტურებელი საბუთი — გაგვაერთიანეს უეფას სამწვრთნელო კონვენციაში. დღევანდელი მონაცემებით 68 მწვრთნელი გვყავს, რომელსაც A ლიცენზია აქვს, 250-მდე მწვრთნელი გვყავს, რომელთაც B ლიცენზია გააჩნიათ და საერთო ჯამში 350 მწვრთნელია; რომლებსაც C ლიცენზია აქვთ. ეს არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს და ყოველ წელს ლიცენზირებულ მწვრთნელთა რაოდენობა გაიზრდება. ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ლიცენზირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება ის არის, რომ სავალდებულოა, სკოლამ მინიმუმ C ლიცენზიის მქონე მწვრთნელი დაასაქმოს.

ლიცენზირებულ მწვრთნელთა რაოდენობა რომ საკმარისი არ არის, ცხადია. 25 ათასამდე ფეხბურთელია საქართველოში. აქედან 20 ათასი ბავშვია და გადათვალეთ, რამდენი მწვრთნელი სჭირდება მათ აღზრდას. ამას წლები დასჭირდება და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს.

რა თქმა უნდა, სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენ აღნიშნეთ, რომ თბილისის 27 საფეხბურთო სკოლას, უეფას ინფრასტრუქტურული დახმარების პროგრამის ფარგლებში შესაბამის დახმარებას ვუწევთ. თბილისის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობენ ამ საკითხზე ამ კლუბებთან ერთად და შესაბამისი პროგრამის წარდგენის შემდეგ სკოლა დახმარებას მიიღებს. ყველა სკოლამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მისთვის რა არის პრიორიტეტი. ზოგს, შესაძლოა, საშხაპის კეთილმოწყობა უნდა, ზოგს, შესაძლოა, სავარჯიშო ინვენტარი ესაჭიროება. მთავარია, ეს იყოს ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ტალანტების აღმოჩენის პროგრამა. ყოველწლიურად სამი ათას ბავშვს ნახულობენ საქმეში სპეციალისტები. ნაკრების მწვრთნელები მიდიან რაიონებში და იქ შერჩევითი მატჩები ტარდება. ამ ბავშვებმა იციან, რომ ისინი ნაკრების მწვრთნელთა თვალთახედვის არეში არიან და არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც თბილისის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდეს. მან უნდა იცოდეს, რომ თუ თავს გამოიჩენს, ასაკობრივ ნაკრებში მოხვედრის შანსი ექნება. 17-წლამდელთა ნაკრებმა უკვე რამდენიმე რეგიონიდან მიიღო შევსება. რამდენიმე წლის წინ კი მხოლოდ თბილისელი ბავშვებით იყო დაკომპლექტებული. როგორც ხედავთ, რეგიონებშიც არიან კარგი ფეხბურთელები და მათ განვითარებას საშუალება უნდა მივცეთ.

ქართული სიტყვა უცხო პრესაში...

# ეს სეზონი ჩემთვის დამთავრებულია

27 თებერვალს კახა კალაძე 31 წლის გახდა, რასაც „სარბიელი“ სულით და გულით ულოცავს და კარიერის კიდევ უფრო წარმატებულ სვლას ვუსურვებთ!
თუმც კახას, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ კარგი პერიოდი უდგას — მუხლის ტრავმამ არ მოასვენა და გადაწყვეტილია, რომ ამ სეზონში ველარ ითამაშებს.
ეს კი დიდი დარტყმაა პირველ რიგში საქართველოს ნაკრებისთვის.
მუნდიალ-2010-ის შესარჩევის რამდენიმე მატჩი მის გარეშე ჩაივლის.
ახლა კი ინტერვიუ, რომელიც „ჯვაროსნების“ კაპიტანს უკრაინულმა ვებგვერდმა WWW.FOOTBAAL.UA-მ ჩამოართვა...



## კახა კალაძე: მალე ძველებურად ავთამაშდები

— კახა, გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ბედნიერებას, სიყვარულს, ჯანმრთელობას და ბრწყინვალე კარიერაში კიდევ უფრო მეტ წარმატებას! აი, „მილანმა“ კი ვერ მოგილოცათ — უეფას თასიდან გამოეთიშა. არადა, ამბობდით, „მილანი“ ყველანაირად ეცდება, მოუპოვებელი უეფას თასი მოიგოსო. ძალიან გაწბილდით?

— სამწუხაროდ, უეფას თასზე ბრძოლას ველარ ვაგრძელებთ. „ინტერთან“ დერბიში მარცხის შემდეგ საჭიროც კი იყო „ვერდერთან“ წარმატებით თამაში, თუმც არ გამოვიდა. სიმართლე გითხრათ, 2:0-ის შემდეგ მოვლენების ასეთ განვითარებას არ ველოდი. კარლო ანჩელოტიმ შესვენებაზე უთხრა გუნდს, „ვერდერი“ ძალიან აგრესიულად თამაშობს და ანგარიში უნდა შევინარჩუნოთო. ჩვენ ძალიან გვინდოდა უეფას თასის მოგება, მაგრამ ამ სეზონში ძალიან ბევრი ტრავმირებული გვყავს და ალბათ, ამიტომაც ვერ მოხერხდა გეგმის განხორციელება. ახლა მთავარია, ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ გასასვლელი ადგილი დავიკავოთ. თავის ჩაქინდვრის დრო არ არის, წინ მნიშვნელოვანი მატჩებია.

— შენი ხედვით, რატომ ჩაჯდა „მილანი“ დაცვაში და რატომ დაუთმო უპირატესობა „ვერდერს“?

— ჩვენ არ დაგვითმია უპირატესობა, უბრალოდ, „ვერდერმა“ წაგვართვა. ცენტრში ჩვენს ნახევარმცველებს აჯობეს. ვერც პირველ ტაიმში გვიადვილდებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მთლად გატყდა „მილანი“, კონტრშეტევებიც არ გამოგვდიოდა. კლარენს ზეედორფმა ტრავმის გამო რომ ნაადრევად დატოვა მინდორი, ამანაც იმოქმედა. ჩვენ ხომ ისედაც დეფიციტი გვაქვს ამინდის შემქმნელი ფეხბურთელებისა. შეხედეთ, თითქმის ყველანი ტრავმირებულნი არიან.

— როგორ ფიქრობთ, კაკა და რონალდინიო რომ გყოლოდათ, მეორე ტაიმი საინტერესო იქნებოდა?

— გამოცანებს არ დავიწყებ. რაც მოხდა, ეს იყო — წავაგეთ.

— „ვერდერთან“ განაცხადში იყავი, მაგრამ ანჩელოტიმ მინდორზე არ შეგიყვანა. „ინტერთან“ წარუმატებელი თამაშის მერე, უკვე მეორე მატჩია, აღარ ჩანხარ მოედანზე. ტრავმის შემდეგ ანჩელოტიმ ეგრევე „ინტერთან“ გათამაშა. არ სჯობდა, ცოტა მოეცადა?

— საქმე ისაა, რომ მწვრთნელის თხოვნით ვარ განაცხადში. 16 ფეხბურთელი ვერ მოგროვდა და ამიტომ შემიყვანა სიაში. „ვერდერთან“ მინდორზე ჩემი შესვლა მხოლოდ ბოლო მომენტში თუ შეიძლებოდა. თავი და თავი ტრავმაა, რომლის გამოც თვეზე მეტი გამიცდა. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, „ინტერთანაც“ არ ვითამაშებდი, მაგრამ ანჩელოტიმ მთხოვა, მჭირდებიო და მეც ვალდებული ვიყავი, სამუშაო შემესრულებინა. „ინტერამდე“ სამი დღით ადრე 90 წუთი ვითამაშე საქართველოს ნაკრებში და მუხლის ტკივილი ისევ ვიგრძენი. არადა, ვარჯიში სულ 10 დღის დაწყებული მქონდა. ტკივილი ახლაც არ მასვენებს: გამაყუჩებლების გარეშე ვერ ვთამაშობ.

— დერბის დროს გტკიოდათ?

— ტკივილი არსად მიდის, მუხლი სულ ასეთ დღეში მაქვს. მენისკის ოპერაციისას ხრტილი მომაცილეს, რის შემდეგაც ჯოჯოხეთურ ტკივილს ვგრძნობ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვარჯიშიც არ შემიძლია გამაყუჩებლების გარეშე. შესაბამისად, სასურველ დონეზე ვერ ვთამაშობ. მოკლედ, მუხლზე სერიოზული პრობლემა მაქვს, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ უნდა გამეკეთებინა ოპერაცია, მაგრამ ექიმებმა გადადება მირჩიეს. „მილანს“ უნდა დავხმარებოდი, ისედაც ხომ ბევრი ტრავმირებული გვყავს. ახლა კი დადგა მომენტი: ალბათ ხუთშაბათს ბელგიაში ოპერაციას გავიკეთებ. უფრო სწორად, ორშაბათს გაირკვევა, როდის გავიკეთებ.

— და ექიმების პროგნოზით, რამდენი ხანი გაგიცდებათ?

— ოთხი-ხუთი თვე. ასე რომ, ეს სეზონი ჩემთვის დამთავრებულია.

— დავუბრუნდეთ „ინტერ“ — „მილანის“ მატჩს და ორი მომენტი გავიხსენოთ: ერთხელ ზლატან იბრაჰიმოვიჩმა საჰაერო ბრძოლა მოგიგოთ და დეიან სტანკოვიჩს საგოლე პასი მისცა, მეორედ კი ადრიანო გაგექცათ, როცა ფეხი დაგიცურდათ, თუმც ბრაზილიელმა ეს შანსი გააცუდა. რატომ დაუშვით ეს შეცდომები?

— ამჟამად იბრაჰიმოვიჩი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და მასთან ბრძოლა ძნელია, მით უმეტეს, როცა საქმე საჰაერო ბრძოლას ეხება. ამ დროს როცა შენზე მაღალ ფეხბურთელს ებრძვი, იმის ალბათობაცაა, რომ წააგებ. შეიძლება, მოიგო ეს დუელი, შეიძლება, წააგო, მაგრამ ჩემი აზრით, პრობლემა ის უფრო იყო, რომ „მილანის“ სხვა მცველებმა სტანკოვიჩი უყურადღებოდ დატოვეს. არ მახსოვს, ეს მცველები რომლები იყვნენ, სტანკოვიჩმა კი „იბრას“ პასით გაიტანა. არ მინდა, გოლი ვინმეს დავაბრალო, რადგან ეს მთელი გუნდის შეცდომა იყო. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ საჰაერო ბრძოლისას მოგების გარანტია არცერთ ფეხბურთელს არ აქვს, მით უმეტეს, როცა ოპონენტი იბრაჰიმოვიჩია.

— ისე, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ინტერს“ გაუმართლა. „მილანზე“ შინაარსიანი ფეხბურთი ნამდვილად არ უთამაშიათ, პლუს, მსაჯმა რობერტო როზეტიმ „ნერაძურის“ წესების დარღვევა სამჯერ ვერ დაინახა, ხოლო ფილიპო ინძაგის გოლისას თამაშგარე დააფიქსირა. შენი აზრით, „მილანმა“ მსაჯის შეცდომების გამო ვერ მოახერხა თუნდაც ქულის აღება?

— ვერ დავიჩემებ, რომ „მილანი“ უკეთესად თამაშობდა, მაგრამ ის, რომ საკმარისი მომენტები გვქონდა თუნდაც ქულის ასაღებად, ფაქტია. ზოგადად, განვლილი „მადონინა“ ფეხბურთის ნამდვილ გულშემატკივრებს მოეწონებოდათ, რადგან სანახაობა შედგა. ცხადია, როზეტის შეეძლო „ინტერის“ კარში პენალტის დანიშვნა, პლუს, ადრიანომ ხელით გაიტანა გოლი და ჩაუთვალეს, მაგრამ ეს ვიდეოგამეორებაზე გამოჩნდა, კონკრეტულად იმ მომენტში, დინამიკაში ეს ვერავინ დაინახა. თუმც არაფერი შეიცვლება, ფეხბურთში ასეთი შემთხვევები ხშირია. მთავარია, შეცდომების გამოსწორებაზე ვიზრუნოთ. „ინტერმა“ ეს დაამტკიცა, რომ სერია A-ს შემთხვევით არ ლიდერობს.

— „ინტერმა“ 99 პროცენტით გაინაღდა „სკუდეტო“ — ეთანხმებით ამ აზრს?

— 13 ტურია დარჩენილი და მიუხედავად „ინტერის“ სერიოზული ჰანდიკაპისა, ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ. იტალიურმა პრესამ ახალ წლამდე გამოაცხადა „ინტერი“ ჩემპიონად, იმ დროს სხვაობა 11 ქულა იყო. სერია A-ში სიურპრიზი ადვილია, ამიტომაც 99-პროცენტიან ჩემპიონობაზე ლაპარაკი ნაადრევია. ახლა „ინტერი“ 9 ქულით უსწრებს „იუვენტუსს“, თუმცა ბევრი მატჩი დარჩა და სენსაციის ალბათობა არსებობს.

— „მეტალისტმა“ „სამპდორია“ გამოთიშა უეფას თასიდან, კიევის „დინამომ“ „ვალენსია“, „შახტარმა“ კი „ტოტენჰემი“. როგორ ფიქრობთ, უკრაინული საკლუბო ფეხბურთის წარმატება კანონზომიერია თუ შემთხვევითობა?

— რა თქმა უნდა, კანონზომიერია. უკრაინულმა ფეხბურთმა კვლავ აიმაღლა კლასი. „მეტალისტ“ — „სამპდორიას“ მომენტებს ვუყურე. ყოჩაღ ხარკოველებს, შინაც აჯობეს და სტუმრადაც. უბრალოდ არაფერი ხდება. გამიხარდა კიევის „დინამოს“ წარმატებაც. ჩემს ყოფილ გუნდს „მეტალისტთან“ მეოთხედფინალში წარმატებას ვუსურვებ.

— კახა, დაბადების დღეზე როგორი საჩუქრის მიღება გიხარია?

— საჩუქრების მიღება სასიამოვნოა, აი, კონკრეტულად რას გჩუქნიან, ეს უმნიშვნელოა. მთავარი რაც არის, ეს საჩუქარი გულით უნდა იყოს გაკეთებული. სიმართლე გითხრათ, დღევანდელ იუბილეს საუკეთესო განწყობით ვერ ვხვდები — „მილანმა“ წააგო, მე ოპერაცია მელის. საზეიმო არაფერი მაქვს, მაგრამ არა უშავს, ეს უნდა გადავიტანო. ოპერაციისთვის ფსიქოლოგიურად უკვე ვემზადები.

— თუმც საზეიმო ვახშამს მაინც მოაწყობდით, თუნდაც ვიწრო წრეში...

— რა თქმა უნდა. ჩემს მეუღლე ანუკისთან და 5-6 მეგობართან ერთად.

— ანუკიმ რა გაჩუქათ?

— გული მაჩუქა, ეს კი უძვირფასესი საჩუქარია.

— კახა, გისურვებ, ჯანმრთელობის პრობლემა იოლად გადაგელახოს და შენი ცხოვრება მუდამ მზიანი ყოფილიყოს...

— დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. ვიმკურნალებ და ნამდვილად ვიცი, რომ ძველებურად ავთამაშდები.

# ბათუმი-არენას სუპერპროექტი

## სიტყვის საქმედ ქცევას 10-12 მილიონი სჭირდება











**აჭარის** მთავრობა დაპირების ასრულებას იწყებს და ბათუმს თანამედროვე სტადიონს ჩუქნის.

გეხსომებათ, ბათუმის „დინამოს" სტადიონის გაყიდვის შემდეგ აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა ლევან ვარშალომიძემ პირობა დადო, რომ ქალაქს ახალი სტადიონი მალე შეემატებოდა და აი, ყინულიც დაიძრა.

ამ საქმეში „ფონდი არველაძეა" ჩართული და სწორედ მისი დახმარებით დაუკავშირდა ქართული მხარე კომპანია Amsterdam arena advisory-ს, რომელიც რამდენიმე ცნობილი სტადიონის აშენებითაა ცნობილი მთელ მსოფლიოში.

ჰოლანდიელებმა უკვე დაამზადეს ბათუმის სტადიონის ციფრული ესკიზი, თუმცა ეს საბოლოო ვარიანტი არ არის.

„ფონდი არველაძეს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ახლა მოლაპარაკების სტადიაშია კარებსუკანა ტრიბუნების გადახურვა-არგადახურვის საკითხი.

წინასწარი ვარაუდით, ასეთი სტადიონის აშენებას 10-12 მილიონი ლარი დასჭირდება.

ჰოლანდიური კომპანია მზადაა, ქართველებს დახმარება გაუწიოს მენეჯმენტსა და ბიზნეს-გეგმის შედგენა-განხორციელებაშიც...

მოკლედ, საშეილიშვილო საქმე კეთდება და ჩვენც წარმატებები ვუსურვოთ მის ავტორებს...

**კახა ზალამბერიძე**







## AMSTERDAM ARENA ADVISORY-ის განხორციელებული პროექტები


ამსტერდამ არენა (ჰოლანდია)


გრემიო (ბრაზილია)


გრონინგენი (ჰოლანდია)


ჟოზე ალვალადე (პორტუგალია)


„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი)


რესიფე (ბრაზილია)


პეკინის ოლიმპიური ცენტრი (ჩინეთი)


დონეცკის „შახტარი" (უკრაინა)


მოსკოვის „სპარტაკი" (რუსეთი)


„ვალენსია" (ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

ნახევარფინალი

სეუ 6:2 სპორტის დეპარტამენტი

სარბიელი 6:8 იბერია ბიზნეს ჯგუფი

ფინალი

სეუ — იბერია ბ/ჯ

## რატომ ეშინია მსაჯს?

### ფინალში საქართველოს ნაკრები ითამაშებს

**ბიზნესის** თასზე ერთი თამაშიღა დარჩა გასამართი — მომდევნო კვირას საქართველოს უნივერსიტეტის დარბაზში სეუ და „იბერია ბიზნეს ჯგუფი" შეხვდებიან ერთმანეთს. გუშინ კი ნახევარფინალი გაიმართა.

პირველი ნახევარფინალური მატჩი, რომელშიც სეუ-მ სპორტის დეპარტამენტი დაამარცხა, ნაკლებ დამაინტრიგებელი გახლდათ, რაკი „სტუდენტებმა" დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე.

მეორე თამაში კი ისეთი იყო, ბოლო წუთებამდე ვერ გამოიცნობდით, ვის დარჩებოდა გამარჯვება.

იბერიელებმა პირველივე შეტევა გოლად აქციეს. „სარბიელმა" გაათანაბრა. „იბერიამ" კიდევ ორი გოლი გაიტანა. „სარბიელმაც" ორით უპასუხა და კვლავ გაათანაბრა. „იბერია" ისევ ორი ბურთით დაწინაურდა, „სარბიელს" კი ფეხბურთელი გაუძევეს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის და ტაიმიც იბერიელებმა 5:3 მოიგეს.

მეორე ტაიმში „სარბიელმა" ისევ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და როცა თითქოს მეექვსე გოლიც უნდა მოემწიფებინა, სამი იქით გაუშვა.

ბოლოს სარბიელელებმა ერთი გაქვითეს და თამაშიც 8:6 დამთავრდა. ფინალში გიორგი ნემსაძის, გოჩა ჯამარაულის, არჩილ არველაძის, გიორგი ლუდუშაურის და მათი მეგობრების გუნდი გავიდა.

და ერთი ყურადსაღები და საჭირბოროტო საკითხიც, რომელიც ამ ტურნირის ფარგლებს სცდება და ზოგადქართული პრობლემაა.

როგორც ვთქვით, მსაჯმა პირველ ტაიმში „სარბიელის" მოთამაშე გააძევა და სრულიად სამართლიანადაც.

მეორე ტაიმში კი „იბერიას" ფეხბურთელი ორჯერ ხელით შეეხო არბიტრს, რომელმაც მისთვის ყვითელი ბარათიც ვერ „გაიმეტა".

მსაჯის წაყრუებას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია — „იბერიამ" კარგად ითამაშა და მოიგო — მაგრამ რატომ ხდება, რომ საქართველოში ზოგ მსაჯს ავტორიტეტების ეშინია და თუ მას ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი შეეხება და სასტვენსაც გააგდებინებს, ვერაფერს უბედავს?!

ამის მერე ნულარ გვიკვირს, რომ მსაჯებს მაინცდამაინც დიდი ავტორიტეტი არ აქვთ.

**კოტე კეკელია**

## მხოლოდ სალუქვაძე

**ყაზანის** „რუბინმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და მეტოქედ ისევ ნორვეგიული კლუბი ჰყავდა — ამჯერად „სანდეფიორდი".

ყაზანელებმა 1:0 მოიგეს.

ლაშა სალუქვაძემ სრულად ითამაშა, ნუკრი რევიშვილი და დავით კვირკველია კი არ გამოჩენილან.

## ნავალოვსკი და ხოჯავა რუსეთის მოქალაქეები არიან

**ალექსანდრე ამისულაშვილის** დარად, რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს მახაჩყალის „ანჟის" ქართველებმა, გიორგი ნავალოვსკიმ და გოჩა ხოჯავამ.

ფეხბურთელებმა, ეს ნაბიჯი ლეგიონერებზე ლიმიტის გამკაცრების საწინააღმდეგოდ გადავდგით და სხვა მიზანი არ გვაინტერესებსო.

## კვარაცხელიას ფოგთსი შეხვდა

**ბაქოს** „სტანდარდის" ქართველი მწვრთნელი ბადრი კვარაცხელია აზერბაიჯანის ნაკრების თავკაც ბერტი ფოგთსს შეხვდა.

„აზერისპორტის" ცნობით, გერმანელი სპეციალისტი სანაკრებოდ საინტერესო ფეხბურთელებზე დაეკითხა კვარაცხელიას.

„ჩვენი შეხვედრა ძალიან საინტერესო გამოდგა. ფოგთსი ჩვენი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელით დაინტერესდა და მათი ვინაობა გამომკითხა" — უთხრა კვარაცხელიამ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს.

## დეკანოსიძე შინ დატოვეს

**ბელარუსული** ბატე მორიგ შეკრებაზე გაემგზავრა თურქეთში, თუმცა ამჯერად ლაშა დეკანოსიძის გარეშე.

მწვრთნელმა ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი სარეზერვო გუნდში დატოვა.

# მორბენალი ტენორი



## ზურაბ სოტკილავას საფეხბურთო მოგონებანი

**განთქმული** ქართველი ტენორი ზურაბ სოტკილავა ახალგაზრდობაში ფეხბურთელი რომ იყო, ვინძლო ყველასთვის ცნობილი ამბავია, თუმცა მისი კარიერის დეტალების მოყოლა საინტერესო უნდა იყოს.

სოტკილავა 1937 წლის 12 მარტს დაიბადა სოხუმში. ბავშვობა ბურთის დევნაში გაატარა, თუმცა დედასთან ერთადაც მღეროდა. საღამოობით დედა სახლის წინ მეზობლებთან ერთად იჯდა და მღეროდა, ზურაბი კი ხმას აყოლებდა.

ასეთი უცნაური ამბავიც იყო: მოგვიანებით დედა კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა შვილის მომღერლობისა, ხოლო მამა, რომელსაც სმენა საერთოდ არ ჰქონდა, პირიქით, ვაჟს არჩევანს უწონებდა.

იმ დროს კი ზურაბის მთავარი სიყვარული ფეხბურთი იყო. სოხუმის „დინამოში" მიიღეს, სადაც 16 წლისა ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. განაპირა მცველი გახლდათ და შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა. საოცრად სწრაფი იყო — 100 მეტრს 11,1 წამში გარბოდა!

1956 წელს ზურაბ სოტკილავა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახდა, ორი წლის მერე კი თბილისის „დინამოს" პირველ გუნდშიც მოხვდა.

დინამოური კარიერა მოსკოვის „დინამოსთან" მატჩით დაასრულა...

იხსენებს: „ის მატჩი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. ლევ იაშინის წინააღმდეგ მითამაშია! მოგვიანებით, როცა უკვე მომღერალი გავხდი, იაშინთან ვმეგობრობდი და სიცოცხლის ბოლო წლებშიც ხშირად ვნახულობდი-ხოლმე. იაშინის გაცნობამ დამარწმუნა, რომ რაც მეტს მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში, მით უფრო მოკრძალებულია...

...მოსკოვის „დინამოსთან" 1:3 წავაგეთ და ის ჩემი ბოლო მატჩი იყო თბილისის „დინამოში". ერთხელ ინტერვიუში ვთქვი, რომ კარიერა მოსკოველთა თავდამსხმელმა ურინმა დამასრულებინა. იმ ინტერვიუს მერე ბევრმა იფიქრა, რომ ურინმა დამამტვრია. ასე არ იყო, უბრალოდ, მთელი თამაში ისე ილოლად გამირბოდა, ვერაფერი მოვუხერხე... თუმცა ეს ნაკლები უბედურება იყო... სერიოზულად რომ ვთქვა, ფეხბურთელის კარიერა მართლა ტრავმამ დამამთავრებინა. იმ მატჩიდან ცოტა ხანში იუგოსლავიაში გავემგზავრეთ, სადაც ფეხი მოვიტეხე. შეხორცების მერე დაბრუნება ვცადე, მაგრამ მორიგი საერთაშორისო მატჩისას, ჩეხოსლოვაკეთში, კიდევ ერთი მძიმე ტრავმა მივიღე...

...ასეთი პიანისტი იყო, ვალერია რაზუმოვსკაია, დედაჩემთან მეგობრობდა და ჩვენთან სოხუმში ჩამოდიოდა-ხოლმე სტუმრად. ჩემი ხმა ძალიან მოსწონდა და სულ მაძალებდა, მომღერალი უნდა გახდეო...

-ერთ პროფესორთან მიმიყვანა გასინჯვაზე. მომისმინა და მაინცდამაინც არ აღფრთოვანდა. არადა, ამასობაში მეც მომინდა მომღერლობა და აქაც მნიშვნელოვანი როლი ფეხბურთმა ითამაშა.

საქმე ის იყო, რომ პროფესორი ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი გახლდათ, იმ დროს კი ბილეთის შოვნა პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო. სხვანაირად ვერც იქნებოდა, „დინამოში" ხომ მესხი, მეტრეველი, ბარქაია თამაშობდნენ...

ჩემთვის ბილეთის შოვნა იოლი იყო და პროფესორიც ყოველი მატჩის წინ დილოში, „დინამოს" ბაზაზე მაკითხავდა. მადლიერებას კი იმით გამოხატავდა, რომ სახლში მიბარებდა და მამეცადინებდა. რამდენიმე გაკვეთილის მერე მითხრა, დიდი ნაბიჯებით მიდიხარ წინ და მომავალი გაქვსო."

აი, ასე იქცა ფეხბურთელი ზურაბ სოტკილავა დიდ მომღერლად.

**გიორგი დარჯანია**





# ბაიამ არარატით დაასრულა

**პირველი** ლიგის დასავლეთ ზონის ლიდერმა ზუგდიდის „ბაიამ“ მოსამზადებელი ეტაპი სომხურ „არარატთან“ ამხანაგური მატჩით დაასრულა. შეხვედრა ურეკში გაიმართა და 1:1 დასრულდა.

ქართველთაგან ერთადერთი გოლი ზურაბ ექონიამ პენალტით გაიტანა.

„ბაიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ზარქუა, ექონია, პაჭკორია, ჟვანია, ქვარცხავა, გუგუჩია, ეხვაია, ვართაგავა, წურწუმია, ქირია, ხვირავა.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ნ. შონია, კ. შონია, სიხარულია, კუტალია, კაკუშაძე.*

**კახა შალამბერიძე**

# ფოფხაძე ვიბორგს ზემოთ ხედავს



**დანიური** „ვიბორგის“ ვებგვერდზე გიორგი ფოფხაძე გუნდის მოსამზადებელ პერიოდზე საუბრობს და ამბობს, ახლა გაცილებით ძლიერები ვართ, ვიდრე პირველ წრეშიო...

„მე ვხედავ განსხვავებას. სულ უფრო წინსვლა იგრძნობა თამაშის ხარისხში, რაც შედეგებიც აისახა. ტესტ-მატჩებში დანიის სასლიგის გუნდებთან კარგად გამოვიყურებოდით. დარწმუნებული ვარ, დანიის მთავარ ლიგაში დავბრუნდებით“.

„ვიბორგის“ ქართველმა მცველმა, რომელიც ფანებმა წინა სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, რამდენიმე ტესტ-მატჩი გამოტოვა, თუმც ახლა კარგ ფორმაშია...

**ილია ნანობაშვილი**

# ჩვენებმა აზერბაიჯანი მშრალად მოიარეს

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა აზერბაიჯანელ თანატოლებთან.

26 თებერვალს გელა შეყილაძის გუნდი მეტოქეს უგოლოდ დაშორდა. ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *აზნაშვილი, გ. კვანტალიანი (ხარაბაძე 78), ბრაჭული, მ. კობახიძე (ლ. ელიზბარაშვილი 70), კუბლაშვილი, აფაქიძე (ნ. კვეკვესკირი 65), მ. ლორია, ნ. ჯიშკარიანი, გაბაშვილი, დეკანოიძე (ძალამიძე 65), გ. ილურიძე (ა. სირბილაძე 41).*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ადგილობრივმა მსაჯმა ორი ქართველი ფეხბურთელი გააძევა (გაბაშვილი 25-ე წუთზე და ელიზბარაშვილი 75-ე წუთზე), 72-ე წუთზე კი სირბილაძეს გოლი არ ჩაუთვალეს.

0:0 დასრულდა მეორე ამხანაგური მატჩიც.

ქართველების შემადგენლობა ამჯერად ასეთი იყო: *მეშველიანი, ხარაბაძე, ბრაჭული (აფაქიძე 41), მ. კობახიძე, ნ. კვეკვესკირი, ლ. ელიზბარაშვილი (ა. სირბილაძე 77), ძალამიძე (მ. ლორია 70), კუხიანიძე, გაბაშვილი (გ. ილურიძე 61), ხაბაძე, დეკანოიძე (ნ. ჯიშკარიანი 70).*

9 მარტს ქართველი 17-წლამდელები ლუქსემბურგში გაემგზავრებიან და მასპინძელთა ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ, იქიდან კი ესპანეთის ნაკრებთან თამაშზე ავსტრიაში წავლენ.

# ფანცხავამ მოს-პო



სარბიელის არქივიდან

**საფრანგეთში** ქართველ გულშემატკივრებს ერთი საინტერესო გუნდი გვყავს — ეს „ლე მანია“, სადაც ვახტანგ ფანცხავა, ამირან სანაია და გიორგი მაკარიძე ირიცხებიან. მათთვის „ლე მანის“ ძირითად გუნდში თამაში, როგორც ჩანს, ჯერ ადრეა, აი, დუბლებში კი სანაია და ფანცხავა შარშან-შარშანწინაც ბურთაობდნენ.

„ლე მანის“ დუბლებმა შინ 2:1 სძლიეს „პოს“ და გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთებზე ფანცხავამ შეაგდო — ის 73-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და მცირე დროც ეყო.

ამირან სანაიამ სრულად ითამაშა, ტრავმირებული მაკარიძე კი არ გამოჩენილა.

**ილია ნანობაშვილი**

„სარბიელი“ თბილისში არსებული სკოლების უმრავლესობის მდგომარეობას გაეცნო და ამჯერად თბილისის „დინამოს“ აკადემიას ვესტუმრეთ, რომლითაც ანდრო ჟორდანიას სახელობის დილმის ბაზის ტერიტორიაზე არსებობს და საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ პატრონობს. 1992 წელში დაბადებულ მოზარდთა მთავარ მწვრთნელ ბაგრატ ჩადუნელს აკადემიაში არსებული მდგომარეობა დაწვრილებით გამოვკითხეთ...



ნუგზარ სუპარიძის ფოტო

# რატომ ასწავლის კუპერი ანაბანას?!

— ჩვენს აკადემიაში 60 ბავშვი ირიცხება და ბედნიერებაა, რომ გადასახადი არ გვაქვს — ყველა ხარჯს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ ანაზღაურებს.

— თქვენი აკადემიის ძირითადი პრიორიტეტი რა არის?

— რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს“ შევსება. ჩვენს აკადემიაში ნიჭიერ ბავშვებს სტიპენდია აქვთ დანიშნული, თუ „დინამოში“ ვერ მოვხდებიან, უკლუბოდ არ რჩებიან. ჩვენი აკადემიის ისტორიაში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა — ვინც ჩვენთან ვარჯიშობს, შემდეგ უკლუბოდ არ რჩება.

— პირობები როგორი გაქვთ?

— საკმაოდ ნორმალური. თუ წვიმიანი ამინდია, ხელოვნურ მინდორზე ვვარჯიშობთ, თუ არა და, ავჭალაში, „სინათლეზე“ გვაქვს წვრთნები.

— სხვა მხრივ რა ხელშეწყობა გაქვთ?

— ჩვენი ქვეყნის პირობებში მართლაც დიდი პლუსია — გაგვაჩნია სატრენაჟორო დარბაზი, ასევე საშხაპე აკადემიის ეკიპირებასაც საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ უზრუნველყოფს.

— მწვრთნელის რა ლიცენზიას ფლობთ?

— A და B ლიცენზია მაქვს აღებული. ჩვენს აკადემიაში ყველას გააჩნია ლიცენზია. მინდა გითხრათ, რომ აკადემიაში ყველა მწვრთნელი ერთმანეთს ვავსებთ. ყველა ჯგუფს ერთად ვწვრთნით, მე თამაზ სამხარაძე და ვასილ მაისურაძე, ასევე გვყავს მეკარეთა მწვრთნელი თემურ ჩარკვიანი. აკადემიას ჰყავს ექიმ-მასაჟისტი, ადმინისტრატორი და, რა თქმა უნდა, სელექციონერი.

— უცხოეთში თუ ყოფილხართ მწვრთნელის სემინარებზე?

— მე არ ვყოფილვარ, მაგრამ არ არის დიდი ხანი, რაც ჩვენი აკადემიიდან ვასილ მაისურაძე იყო ბელგიაში.

— მწვრთნელისთვის აუცილებელ ინფორმაციებს საიდან იღებთ?

— აკადემიაც ზრუნავს ჩვენთვის და ასევე ინტერნეტიდანაც ვღებულობთ ახალ ინფორმაციებს.

— 1992 წელს დაბადებულ მოზარდებს წვრთნით და ელიტ-ლიგაშიც გამოდიხართ. თამაშების გარჩევა თუ გაქვთ?

— ბიჭები უკვე საკმაოდ დიდ ასაკში არიან და, რა თქმა უნდა, თამაშებსაც ვარჩევთ. შესაბამისად, მითითებებსაც ვაძლევთ.

— ასეთ ასაკში კვირაში რამდენი თამაშია სასურველი?

— კვირაში ერთი თამაში საკმარისია.

— შეკრებები თუ გაქვთ ხოლმე?

— გვაქვს და ამის განხორციელებაში თბილისის „დინამო“ გვიწყობს ხელს. ამ ასაკში შეკრება აუცილებელია.

— ელიტ-ლიგის ორგანიზებით რამდენად კმაყოფილები ხართ?

— გასულ წლებთან შედარებაც არ შეიძლება. უმაღლესი ლიგის მსაჯები ემსახურებიან მატჩებს და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე დაეჩაგროთ.

— ჩვენი ბავშვთა ფეხბურთის მთავარი პლუსი და მინუსი გვითხარით...

— პლუსი ის არის, რომ ტრადიციულად ნიჭიერი მოზარდები მოდიან. მინუსი კი ის არის, რომ ბევრი შემთხვევითი ადამიანია დღეს ბავშვთა ფეხბურთში. შეიძლება ვინმემ მიიღოს ლიცენზია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია, შას რამდენად შეუძლია მოზარდისთვის ცოდნის გადაცემა. მწვრთნელთა მაქსიმალური კონტროლია საჭირო. როგორ ფიქრობთ, დღეს კუპერი რომ საქართველოს ნაკრების კანდიდატებს ანაბანას ასწავლის, რისი ბრალია?! იმის, რომ ამ ფეხბურთელებს ბავშვობაში ეს არ უსწავლიათ და არგენტინელი ამას ხედავს. ფეხბურთელი რომ ბავშვობიდან ისწავლის ფეხბურთის ანბანს, ამის შემდეგ აღარ გაუჭირდება ნაკრებში ელემენტარული რამის შესრულება.

— ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას რამხელა მნიშვნელობა აქვს?

— ყველა ფეხბურთელი ინდივიდუალურია. ზოგს მოფერება სჭირდება, ზოგს შენიშვნის მიცემა. მწვრთნელს ამ ყველაფრის შეცნობა უნდა შეეძლოს. ფეხბურთელის ფსიქოლოგიურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ნუკრი ლოლაძე**



ნუგზარ სუპარიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# საქართველოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში

27-28 თებერვალი. თბილისის დიდუბის მანეჟი

27 თებერვალი

### 60 მ თარჯრბენი

კაცები

| | |
|---|---|
| 1 დავით ილარიანი (თბილისი) | 7,68 |
| 2 ნიკა ბატანაგოვი (ქუთაისი) | 8,96 |
| 3 ბესო ხუსკივაძე (თბილისი) | 9,14 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 მაიკო გოგოლაძე (თბილისი) | 9,1 |
| 2 თეა ფაცურია (ფოთი) | 9,6 |
| 3 რიტა ფუტურიძე (ქუთაისი) | 10,0 |

### ბირთვის კვრა

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ბენიკ აბრამიანი (თბილისი) | 17,06 |
| 2 ზურაბ გიგაია (მარტვილი) | 16,93 |
| 3 გიორგი ბედოშვილი (თბილისი) | 16,02 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 ნათია რიგიშვილი (თბილისი) | 12,77 |
| 2 ნათია ნაჭყებია (ფოთი) | 10,48 |
| 3 ანა კაშია (ქუთაისი) | 10,16 |

### სამხტომი

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ვახტანგ ჭინჭველაშვილი (ქუთაისი) | 14,24 |
| 2 ლაშა ღულელაური (ახმეტა) | 14,06 |
| 3 ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი) | 13,80 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი) | 11,78 |

### 400 მ

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) | 49,6 |
| 2 დავით ცუცქირიძე (თბილისი) | 51,2 |
| 3 დენის ქვანია (ზუგდიდი) | 51,5 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 გაიანე უსტიანი (ახალციხე) | 1.01,0 |
| 2 ანა ხმალაშვილი (თბილისი) | 1.03,2 |
| 3 სოფო ჩოჩნიძე (თბილისი) | 1.03,3 |

### 60 მ

კაცები

| | |
|---|---|
| 1 გიორგი ანთელაძე (თბილისი) | 6,8 |
| 2 ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ) | 6,9 |
| 3 ბექა ჯიქიარიანი (ქუთაისი) | 7,1 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 სალომე აფშილავა (ქუთაისი) | 7,8 |
| 2 ლიკა ლოლუა (ფოთი) | 7,9 |
| 3 სოფო მაჭავარიანი (თბილისი) | 7,9 |

### 1500 მ

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ჯეირან ხოფერია (ფოთი) | 4.06,03 |
| 2 დავით ქინიძე (თბილისი) | 4.07,0 |
| 3 ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი) | 4.08,4 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 თინა პაპუაშვილი (ბორჯომი) | 4.51,0 |
| 2 გიული დეკანაძე (ვანი) | 4.58,9 |
| 3 ანგილა მურადიანი (ახალციხე) | 5.46,0 |



# მძლეოსნებმა ზამთარი მანეჟში დაამთავრეს

**დიდუბის მანეჟში** საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი გაიმართა მძლეოსნობაში. ჩემპიონატში 24 ქალაქისა და რაიონების 200-მდე სპორტსმენმა მოსინჯა ძალები. მანეჟში ნაკრების ლიდერებმაც მოიყარეს თავი. ოლიმპიადამოვლილმა დავით ილარიანმა 60 მეტრ თარჯრბენში ჩემპიონობა არავის დაუთმო. ილარიანი მარტის დასაწყისში იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა. 400 მეტრ სირბილში ენდრიკ ზილბერშტეინმა ამჯერადაც იჩემპიონა. მან 200 მეტრზეც ყველას გადაასწრო. ბირთვის კვრაში კაცებში ბენიკ აბრამიანმა ყველას აჯობა. ქალებში კი მარიამ ქევხიშვილის არყოფნით ნათია რიგიშვილმა ისარგებლა და ოქროს მედლისკენ ისროლა ბირთვი. გეხსომებათ, მარიამი ამერიკაში ცხოვრობს და ახლახანს მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზიაც დაიბევა. გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში ანუ შედარებით ძლიერ გუნდებში საუკეთესო თბილისის იყო. მეორე დონეზე კი ვანის გუნდმა იჩემპიონა.




28 თებერვალი

### სიგრძეზე ხტომა

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ბორისლავ სხირტლაძე (თბილისი) | 7,28 |
| 2 ვასილ ელანიძე (ახმეტა) | 6,56 |
| 3 ლაშა ღულელაური (ახმეტა) | 6,51 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 მაიკო გოგოლაძე (თბილისი) | 5,46 |
| 2 ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი) | 5,41 |
| 3 სალომე აფშილავა (თბილისი) | 5,27 |

### 800 მ

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ლუდვიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) | 1.57,3 |
| 2 თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიიდ) | 1.57,8 |
| 3 მერაბ ქინიძე (თბილისი) | 1.58,1 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი) | 2.22,5 |
| 2 გაიანე უსტინე (ახალციხე) | 2.23,07 |
| 3 ნინო გველესიანი (ჭიათურა) | 2.28,09 |

### 200 მ

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) | 22,2 |
| 2 გიორგი ანთელიძე (თბილისი) | 22,8 |
| 3 ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ) | 23,1 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 მაიკო გოგოლაძე (თბილისი) | 27,0 |
| 2 ლიკა ლოლუა (თბილისი) | 27,1 |
| 3 თეა ფაცურია (ფოთი) | 27,5 |

### 3000 მ

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ჯეირან ხოფერია (ზუგდიდი) | 8.56,3 |
| 2 ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი) | 8.57,1 |
| 3 გიორგი შეკრილიძე (დუშეთი) | 8.5,,4 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 გიული დეკანაძე (ვანი) | 10.31,1 |

### 4X200 მ ესტაფეტა

კაცები

| | |
|---|---|
| 1 ახაციხე | 1.34,5 |
| 2 თბილისი | 1.34,7 |
| 3 ქუთაისი | 1.39,5 |

ქალები

| | |
|---|---|
| 1 თბილისი | 1.52,4 |
| 2 ქუთაისი | 1.55,0 |
| 3 ახალციხე | 2.02,2 |

### გუნდური

პირველი ჯგუფი

| | |
|---|---|
| 1 თბილისი | 471 ქულა |
| 2 ქუთაისი | 309 |
| 3 ახალციხე | 246 |

მეორე ჯგუფი

| | |
|---|---|
| 1 ვანი | 87 ქულა |
| 2 ჭიათურა | 72 |
| 3 ახმეტა | 57,5 |

ხელბურთი



# მშრალი სერბეთი

**სერბეთის** ხელბურთელთა ჩემპიონატში მე-18 ტურის მატჩები გაიმართა. ქართველების „მეტალოპლასტიკამ“ შინ უპრინციპულეს შეხვედრაში „პარტიზანთან“ 22:26 წააგო. რატი მსხვილიძემ და ირაკლი ჩიქოვანმა მოედანი უგოლოდ დატოვეს.

ჩვენებურების გუნდი 9 გოლით ტუბიჩმა დაბომბა. მეტალოპლასტიკელებიდან 5-5 ზუსტი დარტყმით ალექსისი და ისაილოვიჩი გამოირჩნენ. მომდევნო ტურში „მეტალოპლასტიკა“ „პლანინკას“ ეთამაშება.

კალათბურთი

# ფაჩულია ხუთეულში დაბრუნდა

**„ატლანტამ“** „დენვერს“ მაიკ ბიბის და ჯოშ სმიტის გარეშე ჩაავითხა და კინკილა ქულით 109:110 წააგო. ზაზა ფაჩულიამ ძირითადში ითამაშა ჯოშ სმიტის მაგივრად და 24 წუთში 9 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება გამოადნო. ზაზას კონკურენტმა ალ ჰორფორდმა კი 40 წუთში 21 ქულა და 11 მოხსნა გაჩარხა და ორმაგ დუბლს გამოკრა ხელი.

ჯორჯიელები წაგებული მატჩის შემდეგ საკუთარ მოედანზე გამაგრდნენ და „მაიამი“ 91:83 წააქციეს. ქართველ ცენტრს მწვრთნელმა გაცილებით ნაკლები დრო დაუთმო. ფაჩულიამ მოედანზე 17 წუთი გაატარა და 3 ქულას, 5 მოხსნას და 1 ჩაჭრას დასჯერდა.



**ნიკა ბოპაძე**

ერთა თასი 2009-10 28 თებერვალი. მადრიდი

## ესპანეთი 11:55 საქართველო



**ესპანეთი:** სემპრე, კანო, კანოსა, ნავა, მოტა, პალუმბო, [illegible] ლესი, ერნანდესი, სოუტო, არმბურუ, სალასარი, ბორ[illegible]

სათადარიგოები: ატორი, სარასოსა, გერერო, კუკა, ალვარესი, ფერერი, როკე, ლოპესბოში

მთავარი მწვრთნელი: ჯადგლინი (ინგლისი)

**ჯლ: პალუმბო; 2ჯ: პალუმბო**

**საქართველო:** ბარკალაია, მაჩხანელი, კაჭარავა, ი. გიორგაძე, ჩხიკვაძე, მალაღურაძე, აბუსერიძე (კაპ); გორგოძე, ლაბაძე, ჩხაიძე, დათუნაშვილი, ზედგინიძე, შველიძე, ა. გიორგაძე, ხინჩაგაშვილი

სათადარიგოები: ნატრიაშვილი, ქუბრიაშვილი, ურუშაძე, ბასილაია, სამხარაძე, ზიბზიბაძე, თოდუა

მწვრთნელი: ტიმ ლეინი (ავსტრალია)

**მლ: გორგოძე (3), აბუსერიძე, მალაღურაძე, ჩხიკვაძე, ნატრიაშვილი, კაჭარავა; ნგ: მალაღურაძე; ჩნ: მალაღურაძე**

მსაჯი: ფრანკ მასიელო (საფრანგეთი)

მამუკა გორგოძემ ესპანელებს ბოლო ორ თამაშში ექვსი ლელო დაუდო

# ქართველების ეს-პანღური

**ესპანეთის** ნაკრები საქართველოსთვის უხერხულ მეტოქედ ითვლება, მაგრამ 28 თებერვალს მადრიდში ბორჯღალოსნებს ვერავითარი უხერხულობა ვერ შეუქმნა. ეს თამაში შარშან თბილისში გამართულისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა [illegible] ესპანელებს ერთი წლის [illegible] ჯნულზე იღბალიც წაეხმარა და ლამის მოგვიგეს ის თამაში, მაგრამ მადრიდში გაცილებით ფრთხილად მოთამაშე ქართველებს მათი იღბალი აღარ გაუხარებიათ.

მართალია, მოლის გაუქმების შემდეგ ტრადიციულ ქართულ მიძალებას იმდენი სარგებელი აღარ მოაქვს და ალბათ კარგიცაა, ქართველებს იძულებით რომ უწევთ მეტოქის დალელოვების სხვა ხერხების ძიება, მაგრამ გუ[illegible] ესპანეთი იმდენად სუსტად გამოიყურებოდა, რომ მათთან მოლი არც სჭირდებოდათ ქართველებს. ტიმ ლეინის გუნდმაც ამ ჯერზე სრულად ასახა სათამაშო კლასში სხვაობა, პორტუგალიელებთან ორი კვირის წინანდელის ძლივს გადარჩენილი შეხვერისგან განსხვავებით...

ესპანელები ვერ დაუდგნენ ქართველებს. პირველ შეტევაზე ცენტრს [illegible] გადმოცილებულებმა [illegible] ბორჯღალის გუნდმა პირველივე შეტევაში გაიალალა, კაჭარავას პასით მაჩხანელმა კიდეზე გაინავარდა და პრაქტიკულად ლელოც დადო, მაგრამ ჩვენთვის კარგად ნაცნობმა მსაჯმა [illegible] მასიელომ რაღაც მიზეზით არ ჩაითვალა. ეს სწორედ ის მასიელოა, შარშან კრასნოიარსკის თოვლიან მატჩში ძლიერ რომ გვაწ[illegible] რიანი შერკინება და ქართველები საჯარიმო ლელოთი დაასაჩუქრა.

ლეინს მცველად კვირიკაშვილი[illegible] მაგივრად ისევ ბარკალაია დაეყენებინა, თუმც ამ ჯერზე კარში დარტყმა ლაშა მალაღურაძემ ითავა და მშვენივრადაც წაუვიდა — ჯამში 9 დარტყმიდან 7 გაიტანა.

7:3 [illegible] საქართველოს უკან აღარც მოუხედია. მე-20 წუთზე კაჭარავამ მთელი ესპანური ფლანგი გააცურა და სრულიად მარტო დატოვა გორგოძე, რომელიც ჩათვლის მოედანში შეძუნძულდა და ცხოვრებაში ალბათ პირველად დადო უბრძოლველი ლელო.

ქართველებმა ტაიმი დამაჯერებლად მოიგეს — 17:6 ანგარიშზე ესპანეთი უკვე გატეხილი ჩანდა და შემთხვევით თუ გაიტანდა ლელოს, საკითხავი ისღა რჩებოდა, [illegible] რა სხვაობით მოიგებდა [illegible] სხვაობა კი მართლაც სოლიდური გამოვიდა, სარეკორდოც [illegible] მოსავლელ და დასავლელ იბერიელთა შეხვედრებში. ესპანელებს აშკარად აკლდათ მეზობელ პორტუგალიელთა ჭკუა, თავგანწირვა და მიზანსწრაფვა.

ქართველებმა მეტოქეს მეორე ნახევარში კიდევ ხუთი ლელო უძლვნეს. დაიწყო თუ არა ტაიმი, ისევ გორგოძემ დაალელოვა ესპანელები, ამ ჯერზე ჩვეულ სტილში — ჩათვლის მოედანთან საცოდავად მიმწყვდეულები ძალით შეგლიჯა. ამგვარად მან შარშანდელის მსგავსად ჰეთ თრიკი შეუსრულა „ლიონესს" და ჯამში ნაკრებში 18 მოუგროვდა, რითაც 24 წლის გოლიათი ბორჯღალოსანთა ისტორიაში საუკეთესო მელელოვე შეიქნა.

აქ ესპანელებს თანაგუნდელთან ჰაერში შეჯახების შემდეგ დაემტვრათ კაპიტანი პაბლო ფეიხო, რომელმაც შარშან ეროვნულზე ერთი „ვერაგული" ლელო ხომ გაიტანა და მეორეშიც ლომის წილი დაიდო. ძირითადი 9 ნომრის ადგილი მანუელ ლოპესმა დაიკავა და სულ აირია ესპანური დაცვა და შეტევა.

შემდეგი ქართული ლელო კაპიტან აბუსერიძის ანგარიშზე მოვი[illegible]ლდა, ვისაც მოუმზადებლები დახვდნენ ესპანელი მბოჭავები, მაგრამ რაღა მოუმზადებლობაზე შეიძლება ვისაუბროთ, როდესაც მასპინძლები ყველაფერში ჩამორჩებოდნენ სტუმრებს და საკუთარ 22-მეტრიან მოედანში მათი ავონია დიდხანს არ გრძელდებოდა, როგორც წესი, ქართული შეტევები ლელოთი სრულდებოდა. ამ მხრივ ისინი ოდნავადაც არ იდგნენ გმირი პორტუგალიელების სიმაღლეზე, რომლებიც ბორჯღალოსნებს პირდაპირ მუხლუხებში უვარდებოდნენ და ყველაფრის ფასად აჩერებდნენ.

მალაღურაძემ აბუსერიძის ლელოც გარდასახა, შემდეგ კი თავად მალაღურაძის ჯერი დადგა. მან ხაზიც გაარღვია და გარდასახვაც მიაყოლა, რის შემდეგაც ქართველები 38:6 გაიჭრნენ.

შეხვედრის დამთავრებამდე ოციოდ წუთი რჩებოდა და ტიმ ლეინმა ერთბაშად ჩართო რამდენიმე სათადარიგო. ესპანელებმა აქ დრო იხელთეს და ერთადერთი ლელო დასტყუეს მეტოქეს. ინდივიდუალურად იყოჩაღა დამრტყმელმა ხერემიას პალომბომ, თუმც ველარ გარდასახა.

ამას ქართველებისთვის ოდნავი მნიშვნელობაც არ ჰქონდა. მათი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, ბორჯღალოსნები ძველი „ცოდვებისთვის" თუ სჯიდნენ ესპანელებს ასე სასტიკად, თუმც მათ თამაშში სისასტიკე ნამდვილად არ ჩანდა — ტექნიკურად უსწორდებოდნენ გულგატეხილ მეტოქეს. იყოჩაღა ჩხიკვაძემ, თოდუას პასით ნატრიაშვილმა და მაჩხანელის ხელშეწყობით ფლანგზე განავარდებულმა კაჭარავამ, რომელიც უკანახაზელებიდან საუკეთესო იყო და კარგი იქნება ტიმ ლეინი ამ ბიჭის, ისევე როგორც მაჩხანელის შემტევ პოტენციალს ბოლომდე თუ გამოიყენებს. მთელი მსოფლიო ხაზით თამაშობს და თუ გვსურს, ძლიერ ნაკრებებს ფეხი ავუწყოთ, პირველ რიგში სწორედ უკანახაზელთა თამაშში უნდა გავუთანაბრდეთ.

ამასობაში რუმინეთში იმარჯვა ჩვენმა „მოსისხლე" რუსეთმა, რომელმაც გასვლაზე აგერ მეორე პრინციპული მეტოქე დაამარცხა.

**ირაკლი ფირცხალავა**

28 თებერვალი. ბუქარესტი
**რუმინეთი 19:28 რუსეთი**

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +40 | 9 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | +77 | 8 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +22 | 7 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | +34 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | -69 | 6 |
| გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 4 |

14 მარტი. თბილისი
**საქართველო — რუმინეთი**

15 მარტი. ლისაბონი
**პორტუგალია — ესპანეთი**

21 მარტი. ბუქარესტი
**რუმინეთი — პორტუგალია**

22 მარტი. მარიუპოლი, უკრაინა
**რუსეთი — საქართველო**

2 მაისი. ჰანოვერი
**გერმანია — რუსეთი**



# ყავა და კოკაინი

ინგლისის ნაკრებისა და „ბათის" მორკინალი მეტ სტივენსი ორი წლით ჩამოაშორეს რაგბის. 26 წლის სტივენსი კოკაინის ყნოსვაში ამხილეს, რაც დოპინგის ხმარების ტოლფასი დანაშაულია და 2011 წლის იანვრამდე დაუკეტეს რაგბის მოედნის კარი, რითაც მის კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

სტივენსი პირველ ხაზში თამაშობდა, ხშირად შედიოდა ნაკრების ყოფილ კაპიტან ფილ ვიკერის შემცვლელად, კლუბში კი შერკინების ერთ-ერთი უმთავრესი გამწევი იყო. ახლა ის არაერთ მნიშვნელოვან შეჯიბრს დააკლდება — თუნდაც მიმდინარე ექვსი ერის პირველობას, ან ზაფხულში ბრიტანელი „ლომების" სამხრეთაფრიკულ ტურნეს. 2011-ში კი უწევს გამოსვლა, მაგრამ იმავე წელს გასამართ მსოფლიოს თასისთვის ინგლისის ნაკრებში ან აიყვანენ ან არა, არადა „პომების" მაისურით 32 ტესტი გაუმართავს.

სტივენსს ყველაზე მეტად „ლომებზე" დასწყდა გული, რაკი სამხრეთაფრიკელია, ინგლისში ჯეელობაში გადაბარგდა და ძალიან უნდოდა სამშობლოში ჩასვლა ბრიტანეთის გაერთიანებულ ნაკრებთან ერთად.

მაგრამ ჩავარდა და ისღა დარჩენოდა, სახალხოდ მოებოდიშებინა — ორწლიან სასჯელს როგორმე მოვიხდი და რაგბს უკეთეს კაცად დავუბრუნდებიო. ეს ორი წელი კი სხვა საქმით დაკავდება. მას და ინგლისის ნაკრების კიდევ ერთ პირველხაზელ ლი მირსს ქალაქ ბათში საზიარო ყავის სახლი აქვთ. ჰოდა, მიხედავს ამიერიდან ყავას და კოკაინს.

**ირაკლი ფირცხალავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ექვსი ერი 2009. მე-3 ტური



ირლანდიის ყველა დროის საუკეთესო მელელოვე ბრაიან ოდრისკოლმა ინგლისსაც გაუტანა

# დასრულდა უელსელთა ზღაპარი

27 თებერვალი. პარიზი

**საფრანგეთი 21:16 უელსი**

**საფრანგეთი:** მედარი, მალზიუ, ბასტარო, ჟოზიონი, იმონსი; ბეიბი, პარა; არინორდოკი, ოდრაგო, დუზატუა, შაბალი (კაპ), ნალე, მარკონე, შარჟევსკი, ბარკელა

სათადარიგოები: კაისერი, დომინგო, მილო-შლუსკი, პისამოლი, ტილუ-ბორდე, ტრინ-დუკი, მეატრენო

**2ლ:** დუზატუა, იმონსი; **1გ:** პარა; **3ს:** პარა

**უელსი:** ბირნი, ჰალფპენი, შალკონი, რობერტსი, შ. უილიამსი; ს. ჯონსი (კაპ), ფილიპსი; პაუელი, მ. უილიამსი, რ. ჯონსი, ალ. ჯონსი, გუ. ა. ჯონსი, რიისი, ჯენკინსი

სათადარიგოები: ბენეტი, იაპი, ჩარტერისი, დ. ჯონსი, ჰილი, მუკი, მეფსონი

**1ლ:** ბირნი; **1გ:** ს. ჯონსი; **3ს:** ს. ჯონსი 2), მუკი

28 თებერვალი. დუბლინი

**ირლანდია 14:13 ინგლისი**

**ირლანდია:** კერნი, ბოუი, ბ. ოდრისკოლი (კაპ), პ. უოლესი, ფიცჯერალდი; ოგარა, ოლეარი; მეისლიპი, დ. უოლესი, ფერისი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეისი, ფლანერი, ჰორანი

სათადარიგოები: ბესტი, კურტი, მ. ოდრისკოლი, ლეში, სტრინგერი, დარსი, მერფი

**1ლ:** ოდრისკოლი; **2ს:** ოგარა; **1ს:** ოდრისკოლი

**ინგლისი:** არმიტეიჯი, საკი, ტანტალი, ფლუტი, კუიტო; ფლუდი, ელისი; ისტერი, უორსი, ჰესკელი, კეჩენი, ბორსვიკი (კაპ), ვიკერი, მირსი, შერიდანი

სათადარიგოები: ჰარტლი, ვაიტი, კროფტი, ნარევეი, ქეირი, გუდი, ტაიტი

28 თებერვალი. ედინბურგი

**შოტლანდია 26:6 იტალია**

**შოტლანდია:** საუთველი, დანიელი, მ. ევანსი, მორისონი, ტ. ევანსი; გუდმენი, ბლერი (კაპ); ტეილორი, ბარკლი, სტროკოში, კელოკი, ვაიტი, მიურეი, ფორდი, ჯეკობსენი

სათადარიგოები: ჰოლი, დიკონსონი, ბრაუნი, გრეი, კოუსიტერი, პატერსონი, დე ლუკა

**2ლ:** დანიელი, გრეი; **2გ:** გუდმენი, პატერსონი; **4ს:** გუდმენი (2), პატერსონი (2)

**იტალია:** მარკატო, მი. ბერგამასკო, კანელი, გარსია, პრატიჩეტი; მაკლინი, გრიფენი; პარიზე (კაპ), მა. ბერგამასკო, ბანი, ბორტოლამი, დელაპე, კასტროჯოვანი, ჯილარდინი, პერეჯინი

სათადარიგოები: სბარაგლინი, ნიეტო, დელ ფავა, სოული, კანოვიზიო, ბაჩეტი, რუბინი

**1ს:** მაკლინი; **1ს:** პარისე

**უელსელ** დამრტყმელ სტივ ჯონსს (ჩვე რამდენი ჯონსი ყავთ!..) მატჩამდე სარაგბო ანალიტიკოსთან ჰქონდა საუბარი და კითხვაზე, რა ტაქტიკით ითამაშებს საფრანგეთი, დაცინვით მიუგია — ეშმაკმა უწყის მაგათი თავი, იმდენი კარგი მოთამაშე ყავთ და ისე შეუძლიათ გუნდი აურ-დაურიონ, რომ რას გაუგებო... ჩვენი ტაქტიკის გაშიფრვა ათგზის იოლია, ვიდრე ფრანგებისო.

გამოცდილი მოთამაშის ნათქვამი თავზე ყვავის ჩხავილს გავდა. ჯონსს თითქოს გული უგრძნობდა. ფრანგებმა მართლაც ყველაფერი აურდაურიეს თავიანთ გუნდში, ძირითად 15 კაცში არ დაუყენებიათ, არც ნომინალური 10 ნომერი და არც გამოცდილი დამრტყმელი, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად გამოუვიდათ.

მხილველთა თქმით ეს იყო წლევანდელი ექვსი ერის მატჩი-მშვენება და უელსმა ევროპის ზე ექვსეულში ბოლო ორ წელიწადში პირველად წააგო.

„წითელ დრაკონებს" შარშანდელი ექვსი ერი დიდი სლემით, ანუ თამაშის წაუგებლად მოეგოთ და ახლაც თითქოს აქეთ მიიწევდნენ, შოტლანდია და ინგლისი დაემარცხებინათ, ფრანგებს კი მათსავე საამაყო „სტად დე ფრანსზე" პირველი ტაიმის შუაწელს მცველ ლი ბირნის ლელოთი და ჯონსის გარდასახვა-ჯარიმებით 13:3 უგებდნენ. მაგრამ ფრანგებმა გმირულად დაიცვეს თავი, 51 წუთი უშეცდომოდ ითამაშეს, საკუთარ ნახევარზე ჯარიმაც კი არ აუკიდებიათ, შეტევაში კი ჯერ ტიერი დუზატუას, მერე კი სედრიკ იმონსის ლელოები მოიმკეს და ტურნირის ლიდერ უელსს მატჩის ლიდერობა დაათმობინეს.

მასპინძლებს ბევრი სუსტ წერტილად უთვლიდა ნამდვილი დამრტყმელის არყოლას, მაგრამ 9 ნომრად მოთამაშე 20 წლის ახალბედა მორგან პარამ ეს ნაპრალი შეავსო და ოთხი დარტყმა გაიტანა. ეს ჯეელი აგრძელებს დიმიტრი იაშვილისა და ჟან-ბაპტის ელისალდის ტრადიციას, მათსავით ფეხმარჯვე 9 ნომერია. არადა, დუნიაზე თითქმის ყველა ნაკრებში 10 ნომერი მოიაზრება პირველ დამრტყმელ-გამთამაშებლად.

პარამ რომ იმონსის ლელო გარდასახა, საფრანგეთი 21:13 დაწინაურდა და უელსის ზედიზედ მეორე დიდ სლემს სენას მღვრიე წყალი შეუდგა. შეცვლაზე შესულმა ჯეიმს ჰუკმა საჯარიმოთი ხუთ ქულამდე კი შეამცირა სხვაობა და დარჩენილ წუთებში უელსელებმა ბევრი უტიეს, მაგრამ ფრანგთა ლელოს ველარ უწიეს და აქ დასრულდა უელსელთა ზღაპარი.

საშინლად მოთამაშე ინგლისმა კი კიდევ ერთხელ წააგო და საბოლოოდ ჩამოშორდა ტიტულისთვის დავას. ირლანდიასთან შეხვედრის ანგარიში თამაშის დაძაბულობაზე კი მეტყველებს, მაგრამ „სამყურებმა" დამაჯერებლად აჯობეს მარტინ ჯონსონის გუნდს, რომელიც საჭემონგრეულ გემივით უმისამართოდ დაეხეტება სარაგბო ოკეანეში და ხეირიანად თვითონაც არ იცის, რა უნდა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო ირლანდიელთა კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი, რომელმაც ნაკრებში მორიგი ლელო ხომ მიითვალა და ინგლისელებს ერთი თავისებური არეკნიც დაურტყა.

მისი გუნდი 14:6 დაწინაურდა და ბოლო წუთამდე ლიდერობდა. შეხვედრის მიწურულს არმიტეიჯის ლელო ინგლისელთა მხრიდან მხოლოდ კარის გაჯახუნება და შელახული თავმოყვარეობის ნაწილობრივ აღდგენალა თუ იყო.

ამასობაში კი ირლანდია სამ თამაშში სამი მოგებით ცხრილის თავში გაიჭიმა. უელსს და საფრანგეთს ჯერ არ დაუკარგავთ ჩემპიონობის შანსი. ირლანდიას კი ეს შანსი ყველაზე მეტი აქვს. კონკურენტთაგან უელსის დამარცხებაც და დარჩენია, შოტლანდია კი შედარებით ნაკლებად აფიქრებს.

ამასობაში, ედინბურგში აუტსაიდერთა შეხვედრაში შოტლანდიამ იტალია დასცა და „ხის კოვზის" სამარცხვინო პრიზისთვის გაწირა. იტალიელებს უელსთან და საფრანგეთთან დარჩათ სათამაშო და ალბათ ორივეს წააგებენ.

| | თ | მ | თ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | +39 | 6 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | +16 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +5 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 0 | 2 | +16 | 2 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | -2 | 2 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | -74 | 0 |

## ზე-14 2009. მე-3 ტური

# ჯვაროსნებს ჯავშანი გაუცვდათ

27-28 თებერვალი

**კრუზეიდერსი 24:30 ჰარიკეინზი**

**ვარათაზი 34:16 ჰაილენდერზი**

**ჩიფსი 15:22 შარქსი**

**ბრამბიზი 16:25 ფორსი**

**ლაიონზი 9:16 ბულზი**

**სტორმერზი 8:14 ბლუზი**

**ჩემპიონმა** „კრუზეიდერსმა" დიდხანს არ „ალოდინა" ქომაგები, მესამე ტურში მეორედ დამარცხდა, ამ ჯერზე საკუთარ მინდორზე და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრობლემები მისძალებია. ახალზელანდიურ დერბიში კარგად გამოჩნდა, რამხელა დანაკლისია ქვეყნის ნაკრების ლიდერთაგანი და მსოფლიოს საუკეთესო 10 ნომერი დან კარტერი, ვინაც რამდენიმე თვის წინ საფრანგეთში, „პერპინიანში" გაიქცა და იქ ოთხიოდ თამაშის მერე სასტიკად დაიმტვრა.

ავსტრალიაში „ბრამბიზსთან" ხომ დამარცხდნენ და ერთ კვირაში „ჯვაროსნების" შეჭურვილმა მორკინალებმა ვერც „ჰარიკეინზთან" გაიტანეს თავისი — კარგი დამრტყმელის არყოლა წაგებად დაუჯდათ. ლელოები ერთბაშად ოთხიც კი მოირეწეს და პრემიალური ქულაც ჩაიწერეს, მაგრამ რად გინდა, მხოლოდ ორი გარდასახვა შეაგდეს, საჯარიმო კი ვერცერთი და „ჰარიკეინზმა" სამი ლელოთიც მოუგო, რაკი მისმა დამრტყმელმა, „ოლ ბლექსის" სტაჟიანმა 9 ნომერმა პირი ვეეპუმ სამივე ლელო გარდასახა და ზედაც სამი საჯარიმო დააყოლა.

ბრძოლა გვარიანი გამოვიდა. მსაჯმა თითო კაცი აქეთ იქიდან გაასინბინა, სხვათა შორის, „ოლ ბლექსის" ვარსკვლავი მესამეხაზელები და ძველი მეგობრები — რიჩი მაკქოუ და როდნი სოოიალო, ოღონდ სხვადასხვა დროს. „ჯვაროსნებმა" მეორე პრემიალური ქულაც ჩაიწერეს 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგებისთვის, მაგრამ კმაყოფილების საბაბი მაინც არ აქვთ — ასე ხშირი წაგებებით საუკეთესო ოთხეულში ვერ დაიჯავშნიან ადგილს.

თანდათან იკვეთებიან ფავორიტებიც და ერთ-ერთი მათგანია სიდნეის „ვარათაზი", ვინაც აღიარა, რომ შინ უსუსტეს ზელანდიურ გუნდ „ჰაილენდერზთან" შეხვედრა იდეალურად ვერ ჩაატარა, მაგრამ მაინც მაქსიმუმი გამოწურა და 5-ქულიანი გამარჯვება ჩაიწერა — ბონუს-ქულა 4 ლელოს გატანისთვის ერგო. საწყალ „ჰაილენდერზს" კი ამ ჯერზე პრემიალური ქულაც არ შეხვდა.

ავსტრალიურ დერბიში „ვესტერნ ფორსმა" ფავორიტი „ბრამბიზი" დაამარცხა და ამბიციის კლანჭები გამოაჩინა. „ფორსის" და ავსტრალიის ნაკრების გამთამაშებელი მეტ ჟიტუ შემდეგ სეზონში „ბრამბიზში" გადადის, მანამდე კი კუდის მოქნევა უნდა და პროვინციული გუნდი პლეი ოფისკენ მიყავს. აი, მის მომავალ გუნდს კი ამ მარცხის შემდეგ იქ თამაშის შანსი საგრძნობლად შეუმცირდა.

ავსტრალიურ გუნდებს ვაქებთ და ამასობაში სამხრეთაფრიკელები „მიიპარებიან" ლიდერებში. სამ ტურში სამ-სამი მოგება დააგროვეს ჩვენმა ძველმა ნაცნობმა „ბულზმა" და „ბარქსმა". ეს უკანასკნელი „ჩიფსთან" ვიდეორეფერიმ გადაარჩინა, როცა ახალზელანდიელებს ორი ლელო გაუუქმა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბულზი (პრეტორია, სამხრეთ აფრიკა) | 3 | 3 | 0 | 0 | +53 | 2 | 14 |
| ვარათაზი (სიდნეი, ავსტრალია) | 3 | 3 | 0 | 0 | +26 | 2 | 14 |
| შარქსი (დურბანი, სამხრეთ აფრიკა) | 3 | 3 | 0 | 0 | +27 | 0 | 12 |
| ფორსი (პერთი, ავსტრალია) | 3 | 2 | 0 | 1 | +9 | 2 | 10 |
| ბლუზი (ოკლენდი, ახალი ზელანდია) | 3 | 2 | 0 | 1 | -21 | 2 | 10 |
| ჰარიკეინზი (ველინგტონი, ახალი ზელანდია) | 3 | 2 | 0 | 1 | +7 | 1 | 9 |
| ბრამბიზი (კანბერა, ავსტრალია) | 3 | 2 | 0 | 1 | -5 | 1 | 9 |
| კრუზეიდერსი (კრაისტჩერჩი, ახალი ზელანდია) | 3 | 1 | 0 | 2 | -2 | 3 | 7 |
| სტორმერზი (კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკა) | 3 | 1 | 0 | 2 | -8 | 2 | 6 |
| ლაიონზი (იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა) | 3 | 1 | 0 | 2 | -8 | 2 | 6 |
| ჩიფსი (ჰამილტონი, ახალი ზელანდია) | 3 | 0 | 0 | 3 | -17 | 3 | 3 |
| ჰაილენდერსი (ოთაგო, ახალი ზელანდია) | 3 | 0 | 0 | 3 | -25 | 3 | 3 |
| ჩიტაზი (ბლუმფონტეინი, სამხრეთ აფრიკა) | 2 | 0 | 0 | 2 | -12 | 2 | 2 |
| რედზი (ბრისბეინი, ავსტრალია) | 2 | 0 | 0 | 2 | -16 | 2 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა






# რა ახლოს იყო ჩემპიონობა...



**რუს** ქალებს იუნიორთა შორის 2001 წელს აქეთ არ მოეგოთ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო და ეს ალიონა ლეონოვამ მოახერხა. ლეონოვა მოკლე პროგრამის მერე მესამე იყო, თავისუფალში მეორეობას დასჯერდა, მაგრამ სტაბილურობის წყალობით ჯამური პირველი ადგილი დაიკავა.

ხოლო გოგონამ, რომელსაც ლეონოვა მოკლე პროგრამის მერე თითქმის 5 ქულით ჩამორჩებოდა, საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი ელენე გედევანიშვილი გახლდათ.

არადა, ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. ელენემ უნაკლოდ შეასრულა მეოთხე ხარისხის სირთულის ელემენტები და პირადი რეკორდით გალიღერდა. აქამდე მოკლე პროგრამაში საუკეთესო შედეგი მას 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰქონდა ნაჩვენები.

მოკლე პროგრამის მერე ელენე იმედიანად გახლდათ და აშკარად ჩანდა, რომ შიში არ ჰქონდა: „დიდებში მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და იმედი მაქვს, იგივე არ შემემთხვევა, რაც ევროპის ჩემპიონატზე დამემართა. ის უკვე წარსულია და უკან მიხედვა არ მინდა. რობინ ვაგნერი და ელაინ ზაიკი უკვე ორი თვეა, მამზადებენ და ვფიქრობ, წარმატებასაც მივაღწევ. მათთან მუშაობით კმაყოფილი ვარ."

აი, ასეთი რამ თქვა ელენემ მოკლე პროგრამის ბრწყინვალედ შესრულების მერე და ერთი განმარტებაც: რობინ ვაგნერი მისი ახალი მწვრთნელია, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე ელენემ მოკლე პროგრამაში 25-ე ადგილი დაიკავა და თავისუფალ პროგრამაში გამოსვლის საშუალება აღარ მიეცა.

ახლა კი, როგორც ვთქვით, მოკლე პროგრამაში პირველ ადგილზე გასვლის მერე ელენემ თავისუფალ პროგრამაში აურაცხელი შეცდომა დაუშვა და სამწუხაროდ, ჯამურ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

კიდევ ერთმა ქართველმა, ბექა შანყულაშვილმა კი 24 საუკეთესოს შორის ვერ შეაღწია და 41 მონაწილეს შორის 38-ე ადგილი დაიკავა.

რუსეთის სახელით მოსრიალე ნოდარ მაისურაძის მსოფლიოს ჩემპიონობა, ნუგეში, ცხადია, ვერ იქნება.

**კოტე კეკელია**

### ცეკვა

| | | |
|---|---|---|
| | **სავალდებულო ცეკვა** | |
| 1 | მედისონ ჩოკი/გრეგ ზურლეინი (აშშ) | 33,15 |
| 2 | მედისონ ჰუბელი/კიფერ ჰუბელი (აშშ) | 31,39 |
| 3 | ეკატერინა პუშკაში/დმიტრი კისილიოვი (რუსეთი) | 30,44 |
| 4 | ხარის რალფი/აშეპრ პილი (კანადა) | 30,09 |
| 5 | მაია შიბუტანი/ალექს შიბუტანი (აშშ) | 29,71 |
| 6 | კარენ რუტიერი/ერიკ საკე-ლაკელი (კანადა) | 29,24 |
| | **ორიგინალური ცეკვა** | |
| 1 | მედისონ ჩოკი/გრეგ ზურლეინი (აშშ) | 59,29 |
| 2 | ეკატერინა რიაზანოვა/ჯონათან გურეირო (რუსეთი) | 53,80 |
| 3 | მედისონ ჰუბელი/კიფერ ჰუბელი (აშშ) | 53,44 |
| 4 | მაია შიბუტანი/ალექს შიბუტანი (აშშ) | 52,10 |
| 5 | ეკატერინა პუშკაში/დმიტრი კისილიოვი (რუსეთი) | 50,30 |
| 6 | ხარის რალფი/აშერ პილი (კანადა) | 49,58 |
| | **თავისუფალი ცეკვა** | |
| 1 | მედისონ ჩოკი/გრეგ ზურლეინი (აშშ) | 82,11 |
| 2 | მაია შიბუტანი/ალექს შუბუტანი (აშშ) | 80,34 |
| 3 | ეკატერინა რიაზანოვა/ჯონათან გურეირო (რუსეთი) | 78,98 |
| 4 | მედისონ ჰუბელი/კიფერ ჰუბელი (აშშ) | 76,51 |
| 5 | ხარის რალფი/აშერ პილი (კანადა) | 73,09 |
| 6 | კარენ რუტიერი/ერიკ საკე-ლაკელი (კანადა) | 72,20 |
| | **საბოლოო შედეგი** | |
| 1 | მედისონ ჩოკი/გრეგ ზურლეინი (აშშ) | 172,55 |
| 2 | მაია შუბუტანი/ალექს შუბუტანი (აშშ) | 162,15 |
| 3 | ეკატერინა რიაზანოვა/ჯონათან გურეირო (რუსეთი) | 161,80 |
| 4 | მედისონ ჰუბელი/კიფერ ჰუბელი (აშშ) | 161,34 |
| 5 | ხერის რალფი/აშერ პილი (კანადა) | 152,76 |
| 6 | ეკატერინა პუშკაში/დმიტრი კისილიოვი (რუსეთი) | 150,21 |

### წყვილები

| | | |
|---|---|---|
| | **მოკლე პროგრამა** | |
| 1 | ლუბოვ ილუშეჩკინა/ნოდარ მაისურაძე (რუსეთი) | 55,12 |
| 2 | მარისა კასტელი/სიმონ შნაპირი (აშშ) | 49,10 |
| 3 | ეკატერინა შერემეტიევა/მიხაელ კუზნეცოვი (რუსეთი) | 48,84 |
| 4 | პეიჯ ლოურენსი/რუდი სვიგერსი (კანადა) | 48,64 |
| 5 | ანე მორანდი/ანტუან დორსაცი (შვეიცარია) | 47,28 |
| 6 | მედისონ ბერდი/რაიმონ შულცი (კანადა) | 46,60 |
| | **თავისუფალი პროგრამა** | |
| 1 | ანასტასია მარტიშევა/ალექსეი როგონოვი (რუსეთი) | 93,99 |
| 2 | ლუბოვ ილუშეჩკინა/ნოდარ მაისურაძე (რუსეთი) | 89,20 |
| 3 | პეიჯ ლოურენსი/რუდი სვიგერსი (კანადა) | 88,43 |
| 4 | მარისა კასტელი/სიმონ შნაპირი (აშშ) | 88,37 |
| 5 | ეკატერინა შერემეტიევა/მიხაილ კუზნეცოვი (რუსეთი) | 85,96 |
| 6 | მედისონ ბერდი/რაიმონ შულცი (კანადა) | 81,03 |
| | **საბოლოო შედეგი** | |
| 1 | ლუბოვ ილუშეჩკინა/ნოდარ მაისურაძე (რუსეთი) | 144,34 |
| 2 | ანასტასია პარტიშევა/ალექსეი როგონოვი (რუსეთი) | 138,59 |
| 3 | მარიხა კასტელი/სიმონ შნაპირი (აშშ) | 137,47 |
| 4 | პეიჯ ლოურენსი/რუდი სვიგერსი (კანადა) | 137,07 |
| 5 | ეკატერინა შერემეტიევა/მიხაილ კუზნეცოვი (რუსეთი) | 134,80 |
| 6 | მედისონ ბერდი/რაიმონ ლუშცი (კანადა) | 127,63 |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| | **მოკლე პროგრამა** | |
| 1 | ელენა გედევანიშვილი (საქართველო) | 60,32 |
| 2 | ეშლი ვაგნერი (აშშ) | 57,50 |
| 3 | ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 55,50 |
| 4 | ჯოში ჰელგესონი (შვედეთი) | 55,14 |
| 5 | კატრინა ჰაკერი (აშშ) | 51,06 |
| 6 | ივანა რეიტმაიეროვა (სლოვაკეთი) | 48,34 |
| | **თავისუფალი პროგრამა** | |
| 1 | კაროლინ ჟანგი (აშშ) | 107,03 |
| 2 | ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 101,68 |
| 3 | ეშლი ვაგნერი (აშშ) | 96,07 |
| 4 | კატრინა ჰაკერი (აშშ) | 88,62 |
| 5 | სარა ჰეკენი (გერმანია) | 87,69 |
| 6 | ჯოში ჰელგესონი (შვედეთი) | 84,75 |
| 11 | ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 78,00 |
| | **საბოლოო შედეგი** | |
| 1 | ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 157,18 |
| 2 | კაროლინ ჟანგი (აშშ) | 154,67 |
| 3 | ეშლი ვაგნერი (აშშ) | 153,57 |
| 4 | ჯოში ჰელგესონი (შვედეთი) | 139,89 |
| 5 | კატრინა ჰეკერი (აშშ) | 139,68 |
| 6 | ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 138,32 |

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| | **მოკლე პროგრამა** | |
| 1 | ადამ რიპონი (აშშ) | 74,30 |
| 2 | მიხალ ბრეზინა (ჩეხეთი) | 69,55 |
| 3 | კურან ოი (აშშ) | 69,40 |
| 4 | არტემ გრიგორიევი (რუსეთი) | 65,11 |
| 5 | დენის ტენი (ყაზახეთი) | 64,80 |
| 6 | კევინ რეინოლდსი (კანადა) | 63,81 |
| 38 | ბექა შანყულაშვილი (საქართველო) | 30,74 |
| | **თავისუფალი პროგრამა** | |
| 1 | ადამ რიპონი (აშშ) | 147,70 |
| 2 | მიხალ პრეზინა (ჩეხეთი) | 135,33 |
| 3 | არტემ გრიგორიევი (რუსეთი) | 119,29 |
| 4 | დენის ტენი (ყაზახეთი) | 118,97 |
| 5 | ნან სონგი (ჩინეთი) | 116,74 |
| 6 | ჩაო იანგი (ჩინეთი) | 115,61 |
| | **საბოლოო შედეგი** | |
| 1 | ადამ რიპონი (აშშ) | 222,00 |
| 2 | მიხალ ბრეზინა (ჩეხეთი) | 204,88 |
| 3 | არტემ გრიგორიევი (რუსეთი) | 184,40 |
| 4 | დენის პენი (ყაზახეთი) | 183,77 |
| 5 | კურან ოი (აშშ) | 182,89 |
| 6 | ჩაო იანგი (ჩინეთი) | 177,86 |



# შვეიცარია ცარიელი აღარაა



ფაბიენ სუტერი

**შვეიცარიელ** მოთხილამურეებს წლეულს ნამდვილი ზეიმი აქვთ. ავსტრიელთა წარმატებების ფონზე მეორე ალპიური ქვეყნის შვილთა შედეგები გაცილებით მოკრძალებული ჩანდა, მაგრამ ახალმა თაობამ ეს სხვაობა წაშალა. შვეიცარიელი ქალებიც და კაცებიც ყოჩაღად გამოდიან მსოფლიოს თასზე.

ბულგარეთის სამთო კურორტ ბანსკოში ამ უქმეებზე ქალები შეკრებილიყვნენ. ეს კურორტი წლეულს ჩართეს მსოფლიოს თასის პროგრამაში და პირველი შეჯიბრი, ქალთა სწრაფდაშვება შვეიცარიელმაა ფაბიენ სუტერმა მოიგო, რითაც თავადაც გაკვირდა — 24 წლისა ვარ და ახალბედა არ მეთქმის, რამდენიმე გამარჯვება მომიპოვებია, მაგრამ სწრაფდაშვება ჩემი პროფილი არაა და პირველობას ნაკლებად ველოდი.

სხვებმა ვერ ისრიალეს, თუ რა იყო, სუტერმა 1,15 წამით აჯობა უახლოვეს მდევარს, ავსტრიელ ანდრეა ფიშბახერს. სუტერი იმ იმდენად კარგი შედეგით მივიდა ფინიშზე, რომ ფიშბახერსაც და სხვებსაც მეორე ადგილისთვის დავალა დარჩენოდათ. ფიშბახერმა 0,01 წამით აჯობა მესამე ადგილის ზიარ დამკავებლებს — იტალიელ ნადია ფანჩინის და ამერიკელ ლინდსი ვონს.

რაც შეეხება ვონს, საერთო ჩათვლის ლიდერი სწრაფდაშვებაში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, რამდენიმე კვირის წინ ფრანგულ ვალ დიზერში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ახლა სუტერს კონკურენცია ვეღარ გაუწია. თუმც მესამე ადგილიც იკმარა — კეკლუცად იძახდა, მთავარია, რომ საერთო ჩათვლისთვის ასე მნიშვნელოვანი ქულები ავიღეო.

ჩვენში დარჩენს და, დიდად არც სჭირდება მესამე ადგილის სარგო „ზურდა" ქულები, საერთო ჩათვლაში ისედაც გვარიანად უსწრებს მეორე საფეხურზე მდგარ მარია რეიხს, რომელმაც სხვათა შორის, ბანკსოში საშინლად ისრიალა და მხოლოდ მე-18 იყო.

ამ გოგონების ბრძოლა მეორე დღეს, 28 თებერვალს უკვე სუპერგიგანტის ტიპის ტრასაზე გაგრძელდა.

ვონი ამ სახეობაშიც მსოფლიოს ახალი ჩემპიონია, მაგრამ ბულგარეთში უფრო ცუდად გამოვიდა — მხოლოდ მე-12 იყო. რეიხმა ათეულში შესვლა მერვე ადგილით შეძლო. შეცდომას შეეწირა საერთო ჩათვლის მესამეადგილოსანი, შვედი ანია პერსონი.

პირველობისთვის ერთმანეთს ისევ სუტერი და ფიშბახერი შეედავნენ და ამ ჯერზე ავსტრიელმა იმარჯვა, რითაც მშობლიურ ნაკრებს 2007 წლის შემდეგ პირველად მოუტანა სუპერგაგანტში პირველი ადგილი.

**განო კობიაშვილი**

### მსოფლიოს თასი. ქალები
### საერთო ჩათვლა

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლინდსი ვონი (აშშ) | 1456 ქულა |
| 2 | მარია რეიხი (გერმანია) | 11205 |
| 3 | ანია პერსონი (შვედეთი) | 960 |
| 4 | კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 885 |
| 5 | ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 713 |
| 6 | ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 614 |
| 7 | ტინა მაცე (სლოვენია) | 602 |
| 8 | ელისაბეტ გეორგლი (ავსტრია) | 585 |
| 9 | ანია ფიშბახერი (ავსტრია) | 547 |
| 10 | ნადია ფანჩინი (იტალია) | 535 |

ჭიდაობა

# ქინი, ჩხუბი და აყალმაყალი პატარებმა მედლები დაიტაცეს



სარბიელის არქივიდან

| |
|---|
| 50 კგ |
| 1 ლაშა ლომთაძე (ქუთაისი) |
| 2 ალიკ ხაჩატრიანი (ყვარელი) |
| 3 ლევან როჭიკაშვილი (საგარეჯო) |
| 3 აკაკი მოწონელიძე (ხაშური) |
| 55 კგ |
| 1 ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი) |
| 2 ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი) |
| 3 გივი დავიდოვი (საჩხერე) |
| 3 ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური) |
| 60 კგ |
| 1 მურთაზ კვესაძე (ქუთაისი) |
| 2 გიორგი მაყიშვილი (გორი) |
| 3 თენგიზ ჩოჩიშვილი (გორი) |
| 3 თორნიკე ლურსმანაშვილი (ქათაისი) |
| 66 კგ |
| 1 გოგა ხუჭუა (სამტრედია) |
| 2 ზაურ აბრამიშვილი (გორი) |
| 3 გიორგი ლობჟანიძე (თბილისი) |
| 3 დავით გალეგაშვილი (გორი) |
| 74 კგ |
| 1 დავით ხუციშვილი (საგარეჯო) |
| 2 გიორგი გაბისიანი (ამბროლაური) |
| 3 ამირან გვიჭიანი (ხონი) |
| 3 თორნიკე როსტიაშვილი (მცხეთა) |
| 84 კგ |
| 1 დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი) |
| 2 ვასილ კოტორაშვილი (თბილისი) |
| 3 ლევან გოგრიჭიანი (თბილისი) |
| 3 მამუკა კორძახია (აჭარა) |
| 96 კგ |
| 1 ელიზბარ ოდიკაძე (აფხაზეთი) |
| 2 თორნიკე ხიდეშელი (გარდაბანი) |
| 3 თედორე ებანოიძე (ხარაგაული) |
| 3 ზურაბ ხარებავა (თბილისი) |
| 120 კგ |
| 1 გიორგი საკანდელიძე (თბილისი) |
| 2 ლევან ბერიანიძე (აფხაზეთი) |
| 3 გიორგი კვირჭიშვილი (ყაზბეგი) |
| 3 ვალერი გზირიშვილი (კასპი) |

**გლდანის** ოლიმპიური რეზერვების ცენტრმა საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირმა გულშემატკივრის დიდი ყურადღება მიიპყრო და მოჭიდავეებიც ბლომად მოაგროვა.

ჩემპიონატს ახალგაზრდული ქინი და მონდომება ნამდვილად არ აკლდა. პატარა ფალავნები გაორმაგებული მონდომებით ჭიდაობდნენ. ჩემპიონატში გამარჯვებულებს სხვებზე მეტი შანსი ექნებათ საევროპო შეიდეული შეავსონ. ბებერი კონტინენტის პირველობას ზაფხულში თბილისი მასპინძლობს.

შარშან ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე კარგად იჭიდავა და ქომაგს იმედი აქვს, ტრადიცია უკვე საქართველოში გაგრძელდეს.

ჩემპიონატს დავუბრუნდეთ და ის ვთქვათ, რომ ჭიდაობის წესები ხშირად გაუგებრობას და ჩხუბს იწვევს. 60 კგ კატეგორიის ფინალი გიორგი მაყიშვილსა და მურთაზ კვესაძეს შორის დაძაბული გამოდგა და ჩემპიონის გამოვლენას ლამის საათი დასჭირდა. პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა, მერე კი, ახალი წესების მიხედვით, ბურთულა მსაჯის ნაცვლად მოჭიდავეს უნდა ამოეღო. მაყიშვილმა ბურთულა კი ამოიღო, მაგრამ მეტოქის გულშემატკივრებმა დაიქინეს, მაყიშვილმა წესები დაარღვია, ორივე ბურთულა ამოიღო და რომელიც აწყობდა, ხელში ის დაიტოვაო. აქედან დაიწყო მთელი ამბავი, საქმის გარჩევა და ბოლოს როგორც იქნა გამარჯვებულად კვესაძე დასახელდა. მსაჯმა გაფრთხილების უფლება გამოიყენა...

აყალმაყალი და გაუგებრობები არც მეორე დღეს აკლდა, ჩემპიონატმა კი ახალი სახეებიც გამოაჩინა.

74 კგ-ში ევროპის პრიზიორი გიორგი მარსაგიშვილი ასაკის გადაზრდის გამო აღარ გამოვიდა და შანსი სხვებს მიეცათ. 84 კგ-ში კი ბექა ჭელიძე ჭიდაობდა. ამ ბიჭმა წლეულს ოქროს მედალი დიდებში მოიპოვა და მთავარ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს.

ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატამდე სამი საერთაშორისო ტურნირი ელის — რიგის, ბაქოს და ერევნის, მერე კი ევროპირველობის დროც მოვა და მათ ჭიდაობას ქართველი ქომაგი საერთაშორისო ხალიჩაზეც ნახავს.

# ოქროყანაშიც იჭიდავებენ



სპორტის დეპარტამენტის ფოტო

უშანგი ყურაშვილი

**ქართული** ჭიდაობის ფედერაციამ ახალი დარბაზი გახსნა. ეს უკვე მეორე სკოლაა, რომელიც ქართული ჭიდაობას მოყვარულებს მოემსახურება.

დიღომში გახსნილი სკოლის შემდეგ ხალიჩა ოქროყანის 28-ე საჯარო სკოლაშიც გაიშალა. გამოცდილმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ ახალგაზრდებს ვარჯიშები ჩაუტარა. სკოლაში მოჭიდავეებთან ერთად ძიუდოისტებიც ივარჯიშებენ.

ალექსი დავითაშვილმა კი, ვინც საქართველოს რვაგზის ფალავანია, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიიღო. ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის უშანგი ყურაშვილის ინიციატივით ეს წოდება აღდგა.

გადაწყვეტილია, რომ მომავალი ფალავნობის გამარჯვებულიც ავტომატურად დასახელდება სპორტის დამსახურებულ ოსტატად.

**ნიკა კოპაძე**

ჭადრაკი

# ყაიმების მელია

**ქართველმა** მოჭადრაკემ სალომე მელიამ მოსკოვში საერთაშორისო ტურნირზე ითამაშა. მელიას დამარცხება ვერავინ შეძლო, თუმც რად გინდა, სალომემ 10 ტურში მხოლოდ ერთხელ მოახერხა გამარჯვება, 9 პარტიაში კი ყაიმს დასჯერდა.

სალომემ 5,5 ქულა დააგროვა და 25-ე ადგილი დაიკავა, საპრიზო ფონდიდან კი 450 ევრო ერგო. გამარჯვებული რუსი ალექსანდრ დანინი გახდა.

მშვილდოსნობა



ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით, ხათუნა ნარიმანიძეს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების ურიგო შანსი არ უნდა ჰქონოდა

# მშვილდოსნებმა ფულს აატირეს

**მშვილდოსანთა** შორის მსოფლიოს ჩემპიონატს დახურულ დარბაზში 2-8 მარტს პოლონეთი უმასპინძლებს. ქართველი მშვილდოსნები კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გამოვლენ. ამის მიზეზი უფულობაა.

საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის მოლევის შემდეგ საერთაშორისო ტურნირების დრო დადგა, მაგრამ ჩვენი სპორტსმენები უცხოეთში წასვლას ვერ ახერხებენ. მშვილდოსანთა ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ ტერუნაშვილმა კი ეს გვითხრა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე პოლონეთში ქართველი მშვილდოსნები არ იქნებიან. სამწუხაროდ, დაფინანსება არ გვაქვს. ამის გამო პირველ კვარტალში მშვილდოსნებს ვერც სხვა საერთაშორისო ტურნირებზე ვუშვებთ. პოლონეთში ლიდერები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ...

ნაკრების წამყვანი მშვილდოსნები ინდივიდუალურად ემზადებიან. გვპირდებიან, რომ დაფინანსება მეორე კვარტლიდან გვექნება და სპორტსმენებს ტურნირებზე გავგზავნით."

**ნიკა კოპაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

2 მარტი

1927 როგერ ვალკოვიაკი (საფრანგეთი, ველორბოლა)
1947 ჰარი რედნაპი (ინგლისი, ფეხბურთი)
1949 ჯეპიარ უილიამსი (უელსი, რაგბი)
1958 კევინ კარენი (სამხრეთ აფრიკა, ჩოგბურთი)
1967 ტიერი ლაკრუა (საფრანგეთი, რაგბი)
1973 დეიან ბოდიროგა (იუგოსლავია, კალათბურთი)
1979 დამიენ დაფი (ირლანდია, ფეხბურთი)
1982 კევინ კურანი (გერმანია, ფეხბურთი)

3 მარტი

1922 ნანდორ ჰიდეგკუტი (უნგრეთი, ფეხბურთი)
1953 ზიკო (ბრაზილია, ფეხბურთი)
1956 ზბიგნევ ბონეკი (პოლონეთი, ფეხბურთი)
1962 ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ, მძლეოსნობა)
1968 ბრაიან ლიჩი (აშშ, ჰოკეი)
1972 დარენ ანდერტონი (ინგლისი, ფეხბურთი)

4 მარტი

1883 სემ ლანგფორდი (აშშ, კრივი)
1914 ჯინო კოლაუზი (იტალია, ფეხბურთი)
1926 პასკალ პერესი (არგენტინა, კრივი)
1935 ბენტ ლარსენი (დანია, ჭადრაკი)
1936 ჯიმ კლარკი (ბრიტანეთი, ავტორბოლა)
1951 კენი დალგლიში (შოტლანდია, ფეხბურთი)
1960 ჯონ მუგაბი (უგანდა, კრივი)
1966 კევინ ჯონსონი (აშშ, კალათბურთი)
1970 ალექს კრივილე (ესპანეთი, მოტორბოლა)
1974 კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი, ჩოგბურთი)
1974 არიელ ორტეგა (არგენტინა, ფეხბურთი)
1977 ანა გევარა (მექსიკა, მძლეოსნობა)
1982 ლანდონ დონოვანი (აშშ, ფეხბურთი)

5 მარტი

1961 ივან ტუკალო (შოტლანდია, რაგბი)
1974 იენს იერემისი (გერმანია, ფეხბურთი)
1976 შარუნას იასიკევიჩუსი (ლიტვა, კალათბურთი)
1979 ლი მირსი (ინგლისი, რაგბი)
1982 დან კარტერი (ახალი ზელანდია, რაგბი)
1987 ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი, ჩოგბურთი)

6 მარტი

1900 ლეფთი გროუვი (აშშ, ბეისბოლი)
1939 კუკი რობასი (კუბა, ბეისბოლი)
1951 გერი. ნეტემანი (ჰოლანდია, ველორბოლა)
1965 ალან ბეიტმენი (უელსი, რაგბი)
1972 შაკილ ონილი (აშშ, კალათბურთი)
1973 მაიკლ ფინლი (აშშ, კალათბურთი)
1977 გიორგიოს კარაგუნისი (საბერძნეთი, ფეხბურთი)

7 მარტი

1904 ივარ ბალანგრუდი (ნორვეგია, ციგურაობა)
1947 უოლტერ როლი (გერმანია, ავტორბოლა)
1960 ივან ლენდლი ჩეხეთი (აშშ, ჩოგბურთი)
1966 ტონი დეილი (ავსტრალია, რაგბი)
1973 რეი პარლოუ (ინგლისი, ფეხბურთი)
1977 რონან ოგარა (ირლანდია, რაგბი)
1984 მეტიუ ფლამინი (საფრანგეთი, ფეხბურთი)

8 მარტი

1915 ტაპიო რაუტავაარა (ფინეთი, მძლეოსნობა)
1947 ფლორენტინო პერესი (ესპანეთი, ფეხბურთი)
1954 დევიდ უილკი (ბრიტანეთი, ცურვა)
1977 იოჰან ფოგელი (შვეიცარია, ფეხბურთი)
1981 ადამ ჯონსი (უელსი, რაგბი)



2 მარტს 60 წელი შეუსრულდა უელსური რაგბის ლეგენდა ჯეპიარ უილიამსს




# 600 მილიონი იმყოფინეთო

**ლონდონის** მოქალაქეები ერთობ შეაშფოთა ბრიტანეთის მთავრობის განცხადებამ. თურმე მთავრობა არ აპირებს 2012 წლის ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის გათვლილი თანხის გაზრდას, არადა თანხა არც ისე დიდი ყოფილა, „სულ რაღაც" 600 მილიონ გირვანქა სტერლინგზეა საუბარი.

ამხელა ფული თურმე მართლაც შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს. მაგალითად 2010 წელს ვანკუვერში ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩასატარებლად კანადის მთავრობა 900 მილიონს ხარჯავს, არადა ვანკუვერი ზამთრის თამაშებს მასპინძლობს, ეს კი გაცილებით მცირე მასშტაბის ღონისძიებაა. ამასთან კანადას შედარებით ნაკლები პოტენციური შემწუხებელი ყავს. ლონდონში ვერაგ ტერორისტთა თავდასხმის საშიშროება გაცილებით დიდია. დიდი ბრიტანეთი ხომ აშშ-ს მარჯვენა ხელია მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში და მუსლიმური სამყაროს არაერთი ათეული ტვინგადაკეტილი ფანატიკოსი გადაიმტერა უახლოეს ოციოდ წელიწადში.

ლონდონმა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება რომ მოიპოვა, ტერორისტებმა მალევე აუფეთქეს ბომბები, ასე რომ ბრიტებს ძილი მით უფრო გაუკრთებათ, რაც უფრო ნაკლები დრო დარჩება ოლიმპიადამდე. ზუსტად ამის გამო ლონდონის მცხოვრებთა თითქმის ნახევარი ნეგატიურად იყო ოლიმპიადის მიმართ განწყობილი. ბევრს არ გახარებია, მათმა ქალაქმა არჩევნებში პარიზს და ნიუ იორკს რომ მოუგო — ასე განსაჯეთ, სიმშვიდის ფასად არ უღირთ ოლიმპიადა. მაგრამ ახლა ისღა დარჩენიათ, ძუნწ მთავრობას უსაფრთხოებაში დასახარჯი ფულის გაორმაგება მოსთხოვონ.

600 მილიონი არაა საკმარისი. ექსპერტების აზრით სულ ცოტა ორი ამდენი მაინც უნდა გაიღოს ისეთმა ქალაქ-გიგანტმა, როგორიც ლონდონია. გაზეთ „ივნინგ სდენდერდის" გამოთვლით ამ საქმეს 1,5 მილიარდი გირვანქა სჭირდება.

ისე, ოლიმპიადის ორგანიზატორები მთლიანად ოლიმპიადას 9,325 მილიონს დაახარჯავენ. მოგებებზე ჯერ არ საუბრობენ.



# პესიმისტი ლიუ

**ჩინელთა** ერთ-ერთი უსაყვარლესი სპორტსმენი ლიუ სიანი აქტიური სპორტიდან წასვლაზე ალაპარაკდა. 25 წლის მძლეოსანი ტრავმასთან ბრძოლას დაუტანჯავს და ხელის ჩაქნევის პირას მიუყვანია.

110 მეტრზე თარჯრბენის ვარსკვლავს, 2004 წლის ათენის ოლიმპიადის და 2007 წლის ოსაკის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროსმედალოსანს, მსოფლიოს ექსრეკორდსმენ ლიუ სიანს მთავარი ოცნება გაუხუნდა — 2008 წლის აგვისტოში მას სამშობლოში შეეძლო ოლიმპიადის მოგება, მაგრამ საკვალიფიკაციო გარბენში (რომელშიც სხვათა შორის ჩვენებური დავით ილარიანიც მონაწილეობდა) პირველივე თარჯს ფეხი გამოსდო და ტერფის ძველი ტრავმა გაიმიზეზა.

ასე ჩაქრა იაო მინთან ერთად ჩინეთის ყველაზე სასიქადულო სპორტსმენის ოცნება. მას მერე სარბენ ბილიკზე აღარც გასულა, დეკემბერში ისეთი ოპერაცია გაიკეთა, რომ დღემდე ვერ დარბის. შინ ზის და იქიდან პესიმისტურ განცხადებებს უგზავნის მასზე გულატკივებულ ჩინურ სამყაროს.

„თუ კიდევ დავიშავებ ამ ფეხს, მაშინ სპორტს საერთოდ გამოვემშვიდობები — ამბობს ლიუ — თავს უარესი სცენარისთვის ვამზადებ, ასე რომ შეგუებულიც ვარ და არავითარ წნეხს არ ვგრძნობ. პირიქით ამდენი ხათაბალისგან დასვენება კიდეც მომიხდება."

# იაპონელებს ქალთევზა ჰყოლიათ

**იაპონელებს** ძლიერი მოცურავე ეზრდებათ. უფრო სწორად, უკვე გაეზარდათ: სკოლის მოსწავლე შიჰო საკაიმ იაპონიის ღია პირველობაზე 100 მეტრ გულაღმა სტილით ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. მან ეს დისტანცია 56,15 წამში დაფარა და 0,37 წამი ჩამოაჭრა ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონის ნატალი კულინის კუთვნილ ძველ რეკორდს.

ვინაიდან შეჯიბრი 25-მეტრიან აუზში ტარდებოდა, რეკორდიც მხოლოდ ასეთი ტიპის აუზებისაა. „25-მეტრიანი", ანუ მოკლე წყლის მიღწევები პრესტიჟულობით ჩამოუვარდება 50-მეტრიანი აუზების, ანუ ნამდვილ მსოფლიო რეკორდებს, მაგრამ იაპონელები მაინც სიამაყით შესცქერიან თავიანთ ქალთევზას. კაცებში მათ უკვე ყავთ ერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი — ბრასის სპეციალისტი კოსუკე კიტაჯიმა და აგერ ქალებშიც გამოუჩნდათ პერსპექტიული მოცურავე, რომელიც ლონდონის ოლიმპიადამდე ალბათ კიდევ მოუმატებს, ჯერ მხოლოდ 18 წლისაა.






# სერ ფრენკი სპონსორს კარგავს, იმედს არა




**რამდენიმე** დღის წინ ოფიციალურად დაიწყო ამერიკული საჯინიბოს UIF1-ის შექმნის პროექტი. UIF1 ამერიკასთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდი იქნება, რადგან შტატელი ბიზნესმენები ფორმულა ერთის არცერთ სხვა საჯინიბოს არ პატრონობენ. აშშ აღარც დიდი პრიზების გათამაშებას მასპინძლობს. ჩალიჩა ბერნი ეკლსტოუნი ამ დიდი ინდუსტრიული ქვეყნის თავის ცირკში ჩართვაზე კი მუშაობს, მაგრამ ჯერ არაფერი გამოუვა — ასე ამბობს ერთ-ერთი გუნდის მფლობელი ფრენკ უილიამსი.

„ეკლსტოუნს ძალიან უნდა, რომ ფორმულა ერთი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე დააბრუნოს, მაგრამ ძალიან გაუძნელდება — ამბობს უილიამსი — ჯერ ერთი მას ამისთვის დასჭირდება ავტოდრომი, ის კი, რამდენადაც ვიცი, ნაჩხუბარია „ინდიანას“ შეფებთან. შტატებში მხოლოდ ესაა ფორმულა ერთის სტანდარტების შესაბამისი ავტოდრომი. ამავე დროს მსოფლიოს არაერთი ქვეყანა იხვეწება, ბევრს შეუძლია სრულფასოვნად მიიღოს ჩვენი ცირკი — რიგში დგანან ინდოეთი, სამხრეთ კორეა... კალენდარი გადატვირთულია, ასე რომ აშშ-ს ადგილი ჯერ არ ჩანს. ამერიკელები მხოლოდ ახალი საჯინიბოთი თუ ჩაერთვებიან ჩვენს ბიზნესში.“

„უილიამსის“ შეფმა კიდევ ბევრი ისაუბრა სხვა და სხვა თემებზე. მოხუცი სერ ფრენკი თურმე ამასწინათ ბიბისი-ს ჟურნალისტებს გაუბრაზებიათ — ინტერვიუ ჩამოურთმევიათ, შემდეგ მისი ნაუბარი კადრებად დაუჭრიათ, ბოლოს კი ისეთი რეპორტაჟი გამოუცხვიათ, სადაც ლამის დაიტირეს ფორმულა ერთი.

„ჩვენი ერთ-ერთი სპონსორის, ბანკ RBI-ის წასვლა კატასტროფად მონათლეს, თითქოს ქვეყნიერების დასასრული მოახლოვებულიყოს, ისე მუქ ფერებში დახატეს ეს ამბავი. ეს სრულიად არაკორექტულია“ — ბობოქრობს უილიამსი.

ეს ბანკი მისი გუნდის მთავარი სპონსორი გახლდათ და 2010 წლამდე აპირებს გუნდთან თანამშრომლობას. ხოლო უშუალოდ ტრასებზე რეკლამის განთავსებას ახლავე წყვეტს. ეს კიდევ ერთი დანაკარგია გლობალური ეკონომიკური კრიზისისგან ისედაც საგრძნობლად დაზარალებულ ფორმულაში. როგორც ჩანს, ბიბისი-მ ამ ჭრილში გააშუქა ბანკის ფორმულადან წასვლის განცხადება და ამით აღაშფოთა ფრენ უილიამსი.

ეჰ, საწყალი სერ ფრენკი... არცთუ დიდი ხნის წინ მისი გუნდი ფორმულას აზანზარებდა, მისი მანქანით სხვადასხვა მრბოლები ჩემპიონები ხდებოდნენ. მაგრამ ფული შემოელია და საშუალოებში ჩაქვეითდა. პონსორებსაც კარგავს... მაგრამ ბოლომდე იბრძვის და ტელეკომპანიას სიტყვას არ არჩენს.

რამდენიმე დღის წინ მისი ბოლიდი, როგორც თვითონ თქვა, საბრძოლო შეფერილობით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ორიოდ კვირის წინ ოფიცალურ პრეზენტაციაზე ბოლიდები მთლიანად მუქ ლურჯ „ლაბადაში“ გახვეულიყვნენ, მაგრამ ზამთრის ტესტებზე ფერი იცვალეს, „საშუალოდ“ გალურჯდნენ და თეთრი კანტებიც შემოირტყეს.

„ძალიან გვინდა, რომ დიდი პრიზები მოვიგოთ, ან ლიდერთა სამეულში დავმკვიდრდეთ — ამბობს სერ ფრენკი — მაგრამ თუ ლიდერებთან მჭიდროდ მიახლოვებას შევძლებთ, ესეც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ვნახოთ, ამ მანქანით მაინც თუ გაგვიმართლებს.“

**ვანო ძოზიაშვილი**




# აირტონ სენას დიშვილი ფორმულაში

**როგორც ჩანს**, „ჰონდა“ გადარჩება და მონაწილეობას მიიღებს 2009 წლის ჩემპიონატში, ოღონდ სულ სხვა სახელით, რადგან იაპონურმა ავტოკონცერნმა 2008 წლის ბოლოს უარი განაცხადა ფორმულა ერთის საჯინიბოს შენახვაზე და გუნდის ხელმძღვანელებს მთელი ეს ხანი ახალი ტექნოლოგიების კი არა ახალი სპონსორების ძიებაში დაეხარჯათ.

ახალი პატრონები იქნებიან... თავად მენეჯერები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მანქანის შექმნა-მართვაში და ახლა ისინი მზად არიან, საკუთარი ჯიბიდან გაიღონ გუნდის გადასარჩენი ხარჯები, ყოველ შემთხვევაში დასაწყისისთვის მაინც, სანამ ვინმე მდიდარი მეპატრონე გამოუჩნდებათ.

გუნდმა დაიწყო ახალი სეზონისთვის სამზადისი, ფორმალური პროცედურები და ახალი ბოლიდის აწყობა. გუნდის ბოსი როს ბრაუნი არ ჩქარობს პრესისთვის განცხადების გაკეთებას, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი გადარჩა. პილოტები იქნებიან 2004 წლის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ჯენსონ ბატონი და ბრაზილიელი დებიუტანტი ბრუნო სენა, რომელიც ლეგენდარული აირტონ სენას დისშვილი გახლავთ.



# დროსთან შეჭიდებული

## ლენს არმსტრონგი ახლა უფრო მაგარია, ვიდრე წასვლის წინ იყოო...

**ერთი** კვირის წინ ლენს არმსტრონგმა საბოლოოდ მიაჩუმა მის შესაძლებლობებში დაეჭვებული ყველა სკეპტიკოსი, როდესაც კალიფორნიის ტურზე ახალგაზრდათა მხარდამხარ ბოლომდე ირბოლა და ღონიერ შემადგენლობაში მეშვიდე ადგილის დაკავებით სერიოზული სამომავლო განაცხადი გააკეთა.

არმსრტონგი სამწლიანი განშორების შემდეგ, 37 წლისა დაბრუნდა ველოსპორტში სრულიად კონკრეტული მოტივით — მერვედ მოეგო უპრესტიჟულესი ტურ დე ფრანსი, რომელიც ველოსპორტში არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონობას ნიშნავს.

კალიფორნიაში არმსტრონგს ვეტერანობისა არაფერი ეტყობოდა და არც სხვისი „სათრევი“ გამხდარა. პირიქით, ჭარმაგი ჩემპიონი ხშირად შავ მუშად გარდაისახებოდა, პელოტონის წვერში ჩადგებოდა და რბოლის ტემპს კარნახობდა. ამით ლენსი დაეხმარა ასტანელ თანაგუნდელ ლევი ლეიფეიმერს ჰეთ თრიკის შესრულებაში — კალიფორნიის ტურის ზედიზედ მესამედ მოგებაში და უფროსი მეგობრის მიმართ მადლიერებით აღვსილმა ლევიმ საზეიმო პირობა დადო, აწი ჩემი ჯერია და ლენსს მთელი სეზონი გრეგარად დავუდგებიო.

სპეციალისტები კი ლევიზე კი არა არმსტრონგზე საუბრობენ. ერთ მათგანს, დენი ნილსენს ასეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩა — ლენსი უფრო ღონიერია, ვიდრე 2005 წელს წასვლის წინ იყო... ცოტა არარეალურია, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში ასეთი შთაბეჭდილებები როგორც წესი „ჰაერზე“ არ უჩნდებათ. თუმც იგივ ნილსენმა იქვე დასძინა — თუ ლენსს მართლა სურს ტურ დე ფრანსის მოგება, ტურნირიდან ტურნირამდე უნდა მოუმატოსო.

მოკლედ არმსტრონგი მშვენიერ ფორმაშია და ეს ყველამ დაინახა. მაგრამ გაჩნდა ასეთი მოსაზრებაც — უკეთესი ხომ არ იქნებოდა, შვიდგზის ჩემპიონს გზა ახალგაზრდებისთვის დაეთმო? თუნდაც „ასტანაში“ არაერთი ნიჭიერი მრბოლი ირიცხება და მათთვის ხელი არ შეეშალა? ვაითუ თავადაც ვერ მოიგოს ტური და მის დასახმარებლად მობილიზებული გუნდის შესაძლებლობაც გაფლანგოს?

მაგალითად, ალბერტო კონტადორს არმსტრონგის დაბრუნება მხოლოდ ხელს უშლის. გუნდი ამერიკელს დაეხმარება და კონტადორს საკუთარი ძალებით მოუწევს ციცაბო ალპებთან და პირენეებთან შებმა... სწორედ ლენსის გამო კონტადორმა დროებით უკან დაიხია და თქვა, დიდი შანსია წლევანდელი ტური გამოვტოვოო. არადა, ბიჭი მშვენიერ ფორმაშია, შარშანწინ ტური მოიგო, შარშან „ჯირო“ და „ვუელტაც“ მიაყოლა. მაგრამ წლეულს მისი ამბიცია არმსტრონგის გეგმებს ეწირება.

არმსტრონგი და კონტადორი ოფიციალურად თანაგუნდელები კი არიან, მაგრამ ერთმანეთს ერიდებიან და ალბათ არსად ერთად არ გამოვლენ. სხვათა შორის არმსტრონგმა საკმაოდ დატვირთული გრაფიკი შეიდგინა და ბებერ იაკის არიდებულ კონტადორს სამოქმედო არეალი შეეკვეცა. არმსტრონგმა ისეთ ტურნირზეც კი გააკეთა განაცხადი, როგორიც ირლანდიის ტურია, არც სირთულით და მაინც და მაინც არც ტრადიციით გამორჩეული შეჯიბრი, სადაც ყველა მოასფალტებული გზა რომ მოიარო, ერთ ხეირიან აღმართსაც ვერ მიაღგები. არმსტრონგს 1992 წლის შემდეგ არ დაუტრიალებია პედლები ზურმუხტოვან კუნძულზე, მაგრამ ამ აგვისტოს აუცილებლად ვეწვევიო. ამ ჯერზე მას სპორტულზე უფრო ძლიერი მოტივი ამოძრავებს. ყველამ იცის, რომ ის კიბოთი დაავადებულთა დასახმარებელ ფონდს თავკაცობს და არავისთვისაა საიდუმლო, რომ ამ სიბერეში დიდწილად ფონდში თანხების მოზიდვის გამო შეჯდა ველოზე. 24-26 აგვისტოს დუბლინში კიბოსთან ბრძოლის სამიტი იმართება. ლენსიც იქ იქნება, სამიტამდე კი მწვანე ირლანდიას ველოთიც გადასერავს.

**ვანო ძოზიაშვილი**



ლენს არმსტრონგი ნამდვილი სპორტსმენია

## კალათბურთი

# სტუდენტებს მოსაგებად რეზერვიც ჰყოფნით

25-27 თებერვალს ზესტაფონის სპორტული სკოლის დარბაზმა კალათბურთში საქართველოს ქალთა ჩემპიონატის მეორე ტურს უმასპინძლა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა თავისი საჩემპიონო ამბიცია ზესტაფონშიც დაამტკიცა და ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე.

**ზესტაფონი 69:99 თსუ**

16:28 22:18 12:27 19:26

**ზესტაფონი: ხუსკივაძე (30), მანჩხაშვილი (16)**
**თსუ: აბულაძე (31), ფუტკარაძე (30)**

პირველი მეოთხედის საწყისი ხუთი წუთი თანაბარ ბრძოლაში გაილია, გუნდები ქულა-ქულაში მისდევდნენ ერთმანეთს, მასპინძლებმა ტოლი არ დაუდეს ტიტულოვან მეტოქეს და შედეგიანი სამქულიანი სროლებიც გაცვალეს. შემდეგ თბილისელებმა 6-8-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს, რაც მესამე მეოთხედის შუამდე შეინარჩუნეს. ამის შემდეგ მათი უპირატესობა იმდენად საგრძნობი გახდა რომ მატჩის ბოლოსკენ მათმა დამრიგებელმა ელდარ კავანაძემ წამყვანი მოთამაშეები, ფუტკარაძე და აბულაძე დაასვენა და მატჩი საგრძნობი უპირატესობით მოიგეს.

**გორი 57:58 ქუთაისი**

22:16 12:17 10:14 13:11

**გორი: გოჩაშვილი (15), ხაჩიშვილი (14)**
**ქუთაისი: ჟორჟოლიანი (25), ფანჩულიძე (12)**

შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში გაილია. საწყის წუთებში უპირატესობას გორელები ფლობდნენ, ქუთაისელები მდევრის როლში იყვნენ. მხოლოდ მესამე მეოთხედში შეძლეს რიონისპირელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა და დაწინაურება, მაგრამ დაძაბული ინტრიგა მატჩმა ბოლომდე შეინარჩუნა და ქათაისელებმა ერთი ქულის სხვაობით მოიგო.

**თსუ 74:57 ქუთაისი**

13:12 24:20 15:12 22:13

**თსუ: ფუტკარაძე (34), აბულაძე (18)**
**ქუთაისი: ჟორჟოლიანი (21)**

თბილისური და ქუთაისური გუნდების მატჩები ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა გახლდათ. პირველი მეოთხედი თანაბარ ორთაბრძოლაში გაილია. თსუ-მ მცირე უპირატესობას მეორე მეოთხედის ბოლოს მიაღწია. მომდევნო ორი მეოთხედი უკვე თბილისელთა კარნახით წარიმართა და მათ მატჩი გამარჯვებამდე უპრობლემოდ მიიყვანეს.

**ზესტაფონი 71:41 გორი**

25:5 21:6 14:11 11:19

**ზესტაფონი: მანჩხაშვილი (21), ხუსკივაძე (15)**
**გორი: ხაჩიშვილი (10), გოჩაშვილი (9)**

საწყისი წუთები ზესტაფონელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს, მათ ფარქვეშ შესვლაც გამოსდიოდათ და შორი მანძილიდანაც კარგად ისროდნენ. ორი მეოთხედის შემდეგ ტაბლოზე 46:11 ენთო, მესამე მეოთხედში მასპინძლებმა მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს. ამის შემდეგ ზესტაფონელთა მწვრთნელმა თემურ ჯაშიაშვილმა მოედანზე სათადარიგო მოთამაშეებს უხმო, რის მერეც გორელებმა ჩამორჩენა მცირედით შეამცირეს.

**თსუ 95:39 გორი**

20:10 22:8 18:12 25:9

**თსუ: სირბილაძე (30), აბულაძე (20)**
**გორი: ბათიაშვილი (15), რამაზაშვილი (11)**

ამ მატჩის შედეგი ადვილად პროგნოზირებადი გახლდათ. სტუდენტებმა საწყის წუთებშივე მიაღწიეს დიდ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-მ ბოლო ორი მეოთხედი სათადარიგო შემადგენლობით ითამაშა, მატჩი მაინც დიდი სხვაობით მოიგო.

**ზესტაფონი 57:64 ქუთაისი**

16:15 12:16 14:15 15:18

**ზესტაფონი: ხუსკივაძე (18)**
**ქუთაისი: ჟორჟოლიანი (23)**

ტური იმერული დერბით დამთავრდა. მატჩს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ პირველ ტურში, რომელიც ნოემბერში თბილისში ჩატარდა, რიონისპირელთა გამარჯვებით დამთავრდა და მასპინძლებს რევანში სურდათ. თანაც გამარჯვების შემთხვევაში ზესტაფონელები მეორე ადგილზე გადავიდოდნენ.

მატჩი საინტერესოდ წარიმართა, ქუთაისელები დაწინაურდნენ, მასპინძლებმა პრესინგს მიმართეს, რამაც გაამართლა და ახლა მდევრის როლში უკვე ქუთაისელები იყვნენ. ყველაფერი ბოლო მეოთხედმა გადაწყვიტა. ქუთაისელთა შეტევების სულისჩამდგმელი მათი ლიდერი მადონა ჟორჟოლიანი გახლდათ. იგი თვითონაც შედეგიანად ისროდა და თანაგუნდელებსაც კარგად ამარაგებდა პასებით, რამაც განაპირობა კიდეც ქუთაისელთა გამარჯვება.

**ბექან ჩხეიძე**

*P.S. ქალთა ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების ცხრილი ალბათ არსებობს, თუმცა კალათბურთის ფედერაციამ, სამწუხაროდ, ვერ მოგვაწოდა.*

### 18-წლამდელ ვაჟთა ჩემპიონატი

26 თებერვალი. ქუთაისი

**ქუთაისი 85:86 რუსთავი**

13:26 23:21 18:14 21:25

**ქუთაისი: ტუკვაძე (20 ქულა, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ბიკაშვილი (19 ქულა, 10 პასი), ქორიძე (16), კანდელაკი (13)**
**რუსთავი: დვალიშვილი (30 ქულა, 18 მოხსნა), არაბული (16), გურული (14), მამისმედაშვილი (13)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 10 | 7 | 3 | 17 |
| 1 ექსპ. სკოლა | 9 | 5 | 4 | 14 |
| დინამო | 8 | 6 | 2 | 14 |
| მართვე 2 | 9 | 4 | 5 | 13 |
| მართვე 1 | 8 | 4 | 4 | 12 |
| რუსთავი | 8 | 4 | 4 | 12 |
| ქუთაისი | 9 | 3 | 6 | 12 |
| ენერჯი | 7 | 4 | 3 | 11 |
| ნაკრები 93 | 6 | 0 | 6 | 6 |

## რაგბი



# პატარა ლელოები დუბაისკენ დაიძრნენ

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრები 5-7 მარტს დუბაიში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. ნაკრების მწვრთნელმა კახა ალანიამ 16 მორაგბე გამოიძახა და აქედან თორმეტ საუკეთესოს დუბაიში იახლებს.

ალანიას რაზმში ძირითადად შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ბიჭები არიან, რადგან „ლელოების" თავკაცმა ტიმ ლეინმა შვიდკაცასთვის მხოლოდ ორი კაცი დაუთმო: გიორგი ჩხაიძე და მერაბ კვირიკაშვილი. დანარჩენები ლეინს ესპანეთში ჰყავდა. ესპანეთიდან ნაკრებს დუბაიში ჩააკითხავენ გიორგი შკინინი, გიორგი ჩხაიძე და სანდრო თოდუა.

შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენები მესამედ გამოვლენ. საქართველოს ნაკრებმა დუბაის საგზური ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა.

ალანიას გაწვრთნილებმა შარშან ორ მსოფლიოს სერიაზე მოსინჯეს ძალები — დუბაისა და სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ იქ ნაკრებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა და ათივე მატჩში დამარცხდა.

დუბაიში ექვსი ჯგუფიდან საჩემპიონო ბრძოლას პირველადგილოსნებთან ერთად ორი საუკეთესო მეორეადგილოსანიც გააგრძელებს. მეცხრე ადგილისთვის, ანუ სინისთვის ოთხი უცუდესი მეორეადგილოსანი და ოთხი უკეთესი მესამეადგილოსანი იბრძოლებს. მე-17 ადგილისთვის კი, რომლის გამარჯვებულიც ფიალას მიიღებს, ორ უარეს მესამეადგილოსანთან ერთად მაჩანჩალები ითამაშებენ.

**ნიკა ქობაძე**

**საქართველოს ნაკრები**

*გიორგი ჩხაიძე („მეტრო რასინგი", საფრანგეთი), ვიქტორ კოლელიშვილი („ლელო"), დავით ჩიტიძე („ლოკომოტივი"), ჯაბა ბრეგვაძე („ყოჩები"), სანდრო თოდუა („ლელო"), მერაბ კვირიკაშვილი („მასი", საფრანგეთი), გიორგი შკინინი („ჰულიგანა"), ლექსო გუგავა („ლოკომოტივი"), ბიძინა სამხარაძე („ფარული", რუმინეთი), ირაკლი გეგენავა („ყოჩები"), სანდრო ნიჟარაძე („ყოჩები"), გიორგი კაჭარავა („ყოჩები"), ლაშა ხმალაძე („ლელო").*

**საქართველოს ნაკრების განრიგი**

5 მარტი: საქართველო — ფიჯი; 6 მარტი: საქართველო — საფრანგეთი; საქართველო — აშშ

| | | |
|---|---|---|
| A ჯგუფი | C ჯგუფი | E ჯგუფი |
| ახალი ზელანდია | სამხრეთ აფრიკა | ინგლისი |
| ტონგა | შოტლანდია | კენია |
| არაბეთი | კანადა | ტუნისი |
| იტალია | იაპონია | ჰონკონგი |
| B ჯგუფი | D ჯგუფი | F ჯგუფი |
| ფიჯი | სამოა | არგენტინა |
| საფრანგეთი | ავსტრალია | უელსი |
| აშშ | პორტუგალია | ზიმბაბვე |
| საქართველო | ირლანდია | ურუგვაი |

## ხელბურთი

# პორტუგალიამდე: ნაღდი შეკრება და სათუო მატჩები

**საქართველოს** ხელბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპი დაამთავრა.

21-წლამდელები დიდუბის მანეჟში ვარჯიშობდნენ. ახალგაზრდა ხელბურთელებს აპრილში მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელით, რომელსაც პორტუგალია მასპინძლობს. მათ გარდა ქართველებს ჯგუფში ბელგია და თურქეთი ჰყავთ. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებული გადის.

საქართველოს ნაკრები მომზადების მეორე ნაწილს 4-17 მარტს გაივლის. ჩვენებს პორტუგალიაში წასვლამდე ამხანაგური მატჩების ჩატარებაც უნდათ, მაგრამ რამდენად მოხერხდება, უცნობია. ნაკრები პორტუგალიაში 9 აპრილს მიდის.

**ლექსო მაისურაძე**

# ხელბურთმა საქართველო ქუთაისში დაიწყო

**ქუთაისის** სპორტის სასახლემ 18-წლამდელ ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის საგაზაფხულო ტურს უმასპინძლა.

ჩემპიონატი დასავლეთის და აღმოსავლეთის ზონებად არის დაყოფილი და მასში 8 გუნდი თამაშობს. საშემოდგომო ეტაპი კი ფოთელმა ხელბურთელებმა მოიგეს.

დასავლეთის ზონის მატჩების შემდეგ აღმოსავლეთისა ჩატარდება, რომელსაც ყვარელი მასპინძლობს.

დასავლეთში „ფოთის", „ქუთაისის", „სამტრედიის" და „ბათუმის" გუნდებია. აღმოსავლეთში კი „ყვარელი", „რუსთავი", „გორი" და „თბილისი" თამაშობენ.

აღმოსავლეთის ზონის მატჩები 5, 6 და 7 მარტს ჩატარდება. მერე კი რვავე გუნდს თბილისი მიიღებს და 16-19 მარტს ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა.

აქვე დიდების ათასგზის გადატანილ ჩემპიონატზეც გეტყვით: ეროვნული ჩემპიონატი მარტის მიწურულს გაიმართება. ფედერაციას სურს, რომ ჩემპიონატმა გუნდები ახალგაზრდული პირველობიდანაც დაიმატოს.

**26 თებერვალი**

**სამტრედია 29:29 ფოთი**

**ქუთაისი 34:27 ბათუმი**

**27 თებერვალი**

**ფოთი 46:21 ქუთაისი**

**სამტრედია 41:26 ბათუმი**

**28 თებერვალი**

**ბათუმი 32:41 ფოთი**

**სამტრედია 28:21 ქუთაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 25 თებერვალი

ინდიანა 104:99 მემფისი
ვაშინგტონი 89:106 ფილადელფია
ნიუ იორკი 109:114 ორლანდო
ნიუ ჯერსი 111:99 ჩიკაგო
მინესოტა 103:120 იუტა
ნიუ ორლეანი 90:87 დეტროიტი
დალასი 116:86 მილუოკი
სან ანტონიო 98:84 პორტლენდი
დენვერი 110:109 ატლანტა
საკრამენტო 91:98 შარლოტი
კლიპერსი 93:91 ბოსტონი

### 26 თებერვალი

ჰიუსტონი 93:74 კლივლენდი
ლეიკერსი 132:106 ფინიქსი

### 27 თებერვალი

ორლანდო 85:93 დეტროიტი
ვაშინგტონი 113:90 ჩიკაგო
ატლანტა 91:83 მაიამი
ნიუ იორკი 103:108 ფილადელფია
ბოსტონი 104:99 ინდიანა
მინესოტა 82:102 პორტლენდი
ნიუ ორლეანი 95:94 მილუოკი
დალასი 110:108 ოკლაჰომა
ძირითადი დრო 95:95
დენვერი 90:79 ლეიკერსი
ფინიქსი 113:111 ტორონტო
სან ანტონიო 86:97 კლივლენდი
საკრამენტო 98:86 კლიპერსი
გოლდენ სტეიტი 109:112 შარლოტი

### 28 თებერვალი

ფილადელფია 100:106 ორლანდო
მაიამი 120:115 ნიუ იორკი
მემფისი 92:99 ოკლაჰომა
მილუოკი 109:93 ვაშინგტონი
ჩიკაგო 105:102 ჰიუსტონი
იუტა 102:98 საკრამენტო
კლიპერსი 95:100 შარლოტი

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკა | | | |
| ბოსტონი | 47 | 13 | 78,3 |
| ფილადელფია | 29 | 29 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 32 | 44,8 |
| ნიუ იორკი | 24 | 35 | 40,7 |
| ტორონტო | 23 | 37 | 38,3 |
| ცენტრალური | | | |
| კლივლენდი | 45 | 12 | 78,9 |
| დეტროიტი | 28 | 29 | 49,1 |
| მილუოკი | 29 | 33 | 46,8 |
| ჩიკაგო | 27 | 33 | 45,0 |
| ინდიანა | 25 | 36 | 41,0 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | |
| ორლანდო | 43 | 16 | 72,9 |
| ატლანტა | 33 | 25 | 56,9 |
| მაიამი | 31 | 27 | 53,4 |
| შარლოტი | 25 | 35 | 41,7 |
| ვაშინგტონი | 14 | 45 | 23,7 |
| **დასავლეთი** | | | |
| სამხრეთ-დასავლეთი | | | |
| სან ანტონიო | 39 | 18 | 68,4 |
| ჰიუსტონი | 37 | 22 | 62,7 |
| ნიუ ორლეანი | 35 | 22 | 61,4 |
| დალასი | 35 | 23 | 60,3 |
| მემფისი | 15 | 43 | 25,9 |
| ჩრდილო-დასავლეთი | | | |
| დენვერი | 39 | 20 | 66,1 |
| პორტლენდი | 36 | 22 | 62,1 |
| იუტა | 36 | 23 | 61,0 |
| მინესოტა | 18 | 40 | 31,0 |
| ოკლაჰომა | 14 | 45 | 35,7 |
| წყნარი ოკეანე | | | |
| ლეიკერსი | 48 | 11 | 81,4 |
| ფინიქსი | 33 | 25 | 56,9 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 38 | 34,5 |
| კლიპერსი | 15 | 45 | 25,0 |
| საკრამენტო | 13 | 48 | 21,3 |

გამორჩეული თამაშები

## დევშაკი გადაირია

27 თებერვალი. ფინიქსი

**ფინიქსი 133:113 ტორონტო**

**ფინიქსი:** ონილი (45 ქულა, 11 მოხსნა), ამუნდსენი (20), ბარნსი (18)

**ტორონტო:** მერიონი (27 ქულა, 11 მოხსნა), ბარნანი (21), ბოში (19 ქულა, 10 მოხსნა)

**შაკილ ონილს** ვინძლო იმის დამტკიცება უნდოდა, რომ ჯერ არ დაბერებულა და თებერვალში ოლ სტარში მხოლოდ ძველი დამსახურების გამო არ დაუძახეს. თუ ასე იმიტომ იბობოქრა, რომ რამდენიმე დღეში 37 წლის ხდება და საკუთარ თავს საჩუქარი გაუმზადა? ან იქნებ უბრალოდ წაუვიდა თამაში?

ფაქტი ერთია:

შაკილ ონილმა „ტორონტოს" 45 ქულა ჩაუგდო.

6 წელია ასე არ უთამაშია დევშაკს. 2003 წლის მარტში „ბოსტონთან" 48 ქულა რომ მოიხვეჭა, ამდენი მას მერე აღარ დაუგროვებია. მაშინ „ლეიკერსში" თამაშობდა... რა დრო გასულაო, აღმოხდა, როცა გაახსენეს.

ასე იყო თუ ისე, „ფინიქსის" ვეტერანმა ცენტრმა „ტორონტოს" ბეჩავი იტალიელი ანდრეა ბარნანი გამოიჭირა და შავი დღე აყარა — თამაშში 25 სროლიდან 20 ჩაუგდო. შაკი ამ თამაშში პრაქტიკულად მარტო დარჩენილიყო, რადგან ამარე სტუდემაიერი მთელი სეზონით დამტვრეულია, სტივ ნეშს კი წვრილმანმა ტრავმამ გამოატოვებინა ეს შეხვედრა. ამხელა შაკი ქვია და თავს ხომ არ შეირცხვენდა? აღგა და თვითონ დააწიოკა შვილისტოლა მეტოქეები. ისე, ბარნანისაც არა უშავდა — 21 ქულა გააკეთა, მაგრამ ამით ვერ იხსნა თავისი გუნდი.

## მარბერი გაკელტდა

27 თებერვალი. ბოსტონი

**ბოსტონი 104:99 ინდიანა**

**ბოსტონი:** ალენი (30), დევისი (18), პირსი (16)

**ინდიანა:** ფორდი (23), რაში (17)

**ნბა-ს** ერთ-ერთი ყველაზე ეგოისტი მოთამაშე სტივენ მარბერი დღეიდან ბოსტონელ „კელტებს" დაეხმარება. 31 წლის საზიზღარი ხასიათის მქონე გამთამაშებელი ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლა „ნიუ იორკმა", რითაც თავადაც დაისვენა და მოთამაშეც ხომ იმწამსვე გაფრინდა ახალ გუნდში — „ბოსტონში", რომელიც წინდაწინვე შეეგულებინა. „ბოსტონს" კარგი სათადარიგო სჭირდებოდა, მარბერის კალათბურთის თამაში, პოდა, ძალიან იოლად მორიგდნენ.

27 თებერვალს მარბერის დებიუტი ჰქონდა ახალ გუნდში, რომელიც მისთვის რიგით მეხუთეა. „სელტიქსის" მწვრთნელმა დოკ რივერსმა „ინდიანასთან" 13 წუთი ათამაშა და მისგან 8 ქულა და 2 პასი მიიღო. ვნახოთ, როგორ შეეწყობიან ნბა-ს ყველაზე დაწყობილი გუნდი და ყველაზე არეული მოთამაშე ერთმანეთს

## ვეიდი გააცეცხლეს

28 თებერვალი. მაიამი

**მაიამი 120:115 ნიუ იორკი**

**მაიამი:** ვეიდი (46 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ონილი (18), მუნი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** რობინსონი (29), დუპონი (19), ჰიუზი (19), ლი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**უდრამატულესი** გამოვიდა ძველი მეტოქეების, თუმც ბოლო წლებში „ნიუ იორკის" ჩაძირვის გამო ვნებადაკარგული მტრების ეს მატჩი. „ნიუ იორკს" ჯერ არ დაუკარგავს პლეი ოფში მოხვედრის იმედი, მშვენიერ, სწრაფ კალათბურთსაც თამაშობს და ტვირთად აკიდებული სტივენ მარბერიც რომ მოიცილა, ამან მხოლოდ დადებითი გავლენა იქონია „ნიქსზე".

შაბათს ნიუორკელები შედარებით ძლიერ „მაიამის" სტუმრობდნენ და დამაჯერებლადაც უგებდნენ. ბოლო მეოთხედში „ნიქსი" 103:88 ლიდერობდა და თავი ქუდში ქონდა, მაგრამ აქ სტუმრებმა მეტისმეტი მოინდომეს და მასპინძლების ფიზიკურად დაჩაგვრაც დააპირეს. მათმა იტალიელმა სათადარიგომ დალინო გალინარიმ გარღვევაზე წასულ „მაიამის" ლიდერ დუეინ ვეიდს იდაყვი მისცხო სახეში. ვეიდს ჯერ პირი გაუსისხლიანდა, შემდეგ კი თვალები ჩაუსისხლიანდა. ისე გახელდა, გასაკავებელი შეიქნა. ცხადია, გაწევ-გამოწევის იქით არ წასულა საქმე, მაგრამ ვეიდი მაინც ვერ დაწყნარდა და მეტოქეზე შური თამაშით იძია. დარჩენილ 9 წუთში მან პირდაპირ იფრინა, რამდენიმეწუთიან მონაკვეთში 15 ქულა უთავაზა მოძალადე მომხდურებს, თავისი გუნდი 19:0 გააქცია და საბოლოოდ დასკვნით მეოთხედში 24 ქულა მოიხვეჭა და გაიმეორა საკლუბო რეკორდი ერთ პერიოდში გაკეთებულ ქულებში. სულ კი 41 მოუგროვდა და თანაც მხოლოდ 2 მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

როდესაც ვბრაზდები, შეტევაზე გადავდივარო — მატჩის მერეც ვერ იცხრობდა რისხვას ამ დარბაზის ბატონ პატრონი.

ვეიდს კარგად წაადგნენ ხელი ახლახან „ტორონტოდან" შინ მერიონის მაგივრად გადაყვანილმა ჯერმენ ონილმა და ჯამარიო მუნმა.

**ირაკლი ფირაშვილი**



შაქილ ონილი ჯერ არ დაბერებულა

## მურნინგი ჭერზე დაკიდეს

**„მაიამი ჰითი"** მუდმივ ნომერს მიანიჭებს ალონზო მურნინგს, რომელმაც ამ გუნდში გაატარა კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი და წლების განმავლობაში ფლორიდელთა ლიდერი და სახე გახლდათ.

მის სახელთანაა დაკავშირებული „ჰითის" ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატება, 1997 წელს აღმოსავლეთის ფინალში გასვლა, 2006 წლის ჩემპიონობა... თუმცა სათქმელია, რომ ჩემპიონობაში „ზოს" წვლილი შედარებით მოკრძალებულია. ტრავმებმა, ავადმყოფობამ და ასაკმა ეს გოლიათი სათადარიგო მოთამაშედ და მრავალწლიანი მეტოქის, შაკილ ონილის მარქაფად აქცია.

მურნინგის 33-ნომრიან მაისურას 30 მარტს, „ორლანდოსთან" ფლორიდული დერბის დროს გამოფენენ „მაიამის" დარბაზის ჭერზე და ამ ნომრით გუნდში ვეღარავინ ითამაშებს. ეს პირველი მუდმივი ნომერია „მაიამისთვის", რომელიც შედარებით ახალგაზრდა კლუბია, ნბა-ში 1988 წელს გაწევრიანდა და ისტორიაც არცთუ მდიდარი აქვს მოვლენებით.





განდიდებული ალონზო მურნინგი

## სიკვდილიანობა ჩიკაგოში

**„ჩიკაგო ბულზმა"** 27 თებერვალს თავისი დიდი ოჯახის ორი წევრი დაკარგა — ყოფილი მწვრთნელი რედ კერი და ყოფილი მოთამაშე ნორმ ვან ლირი.

76 წლისა გარდაიცვალა რედ კერი, რომელიც „ბულზის" სათავეებთან იდგა — „ხარების" პირველი მწვრთნელი გახლდათ და პირველივე წელს, 1965-ში პლეი ოფშიც გაიყვანა. შემდეგ ის სამი ათეული წელი გახლდათ „ჩიკაგოს" შინაური თამაშების ტელეწამყვანი და ხმა.

კერი ბოლო დროს ავადმყოფობდა. კლუბმა სიცოცხლეშივე „მოასწრო" მისი დაფასება, როცა თებერვლის დასაწყისში მშობლიურ დარბაზ „იუნაიტედ სენთერში" მცირე ქანდაკება დაუდგა. გრძნობით გაჯერებულ ცერემონიას ბევრი ცნობილი პირი დაესწრო: ლეგენდარული „ხარები" — მაიკლ ჯორდანი და სკოტი პიპენი, ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი, ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა...

ნორმ ვან ლირის გარდაცვალება უფრო მოულოდნელი იყო. ის მხოლოდ 61 წლისა გახლდათ და მის იმ ქვეყნად წასვლას არავინ ელოდა. ვან ლირი 70-იან წლებში თამაშობდა „ჩიკაგოში" და იმ ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი იყო. იქვე ცხოვრობდა, „იუნაიტედ ცენტრის" სიახლოვეს, სახლში იპოვეს გარდაცვლილი...

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 69 | ოლდემი-ლიდსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 117 | ჰისტონი-კემბრიჯი | 2.25 | 3.25 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.54 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:15 | 224 | ალემანია-დუისბურგი | .2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:15 | 309 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 460 | ლანსი-ტრუა | 1.60 | 3.30 | 6.50 | 1.07 | 1.28 | 2.18 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 536 | ბრაგა-გიმარაეში | 1.75 | 3.30 | 5.00 | 1.14 | 1.29 | 1.98 |
| 23:45 | 537 | ბრაგა-გიმარაეში 0:1 | 3.35 | 3.50 | 2.00 | | | |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 20:15 | 604 | ბოლესლავი-ბრნო | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.55 | 3.30 | 2.65 | 1.43 | 1.29 | 1.46 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11069 | ოლდემი-ლიდსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11224 | ალემანია-დუისბურგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11309 | სტ.გალენი-ივერდონი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11460 | ლანსი-ტრუა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11536 | ბრაგა-გიმარაეში | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11604 | ბოლესლავი-ბრნო | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| 10069 | ოლდემი-ლიდსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10224 | ალემანია-დუისბურგი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10309 | სტ.გალენი-ივერდონი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10460 | ლანსი-ტრუა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10536 | ბრაგა-გიმარაეში | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10604 | ბოლესლავი-ბრნო | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| | **II ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| 19069 | ოლდემი-ლიდსი | 2.40 | 2.50 | 3.00 | 1.22 | 1.33 | 1.36 |
| 19224 | ალემანია-დუისბურგი | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19309 | სტ.გალენი-ივერდონი | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19460 | ლანსი-ტრუა | 1.95 | 2.50 | 5.30 | 1.09 | 1.42 | 1.69 |
| 19536 | ბრაგა-გიმარაეში | 2.15 | 2.50 | 3.90 | 1.15 | 1.38 | 1.52 |
| 19604 | ბოლესლავი-ბრნო | 2.05 | 2.70 | 3.80 | 1.16 | 1.33 | 1.57 |
| 19638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.90 | 2.30 | 2.70 | 1.28 | 1.39 | 1.24 |
| 19750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |

**გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17069 | ოლდემი-ლიდსი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | ალემანია-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17309 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.85 | 1.95 |
| 17460 | ლანსი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17536 | ბრაგა-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17604 | ბოლესლავი-ბრნო | 1.85 | 1.95 |
| 17638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.85 | 1.95 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13069 | ოლდემი-ლიდსი | 1.70 | 1.90 |
| 13224 | ალემანია-დუისბურგი | 1.50 | 2.10 |
| 13460 | ლანსი-ტრუა | 1.70 | 1.90 |
| 13536 | ბრაგა-გიმარაეში | 1.90 | 1.70 |
| 13604 | ბოლესლავი-ბრნო | 1.70 | 1.90 |
| 13638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1.60 | 2.10 |
| 13750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.70 | 1.90 |

**ფრეს გარეშე(ძირ დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16069 | ოლდემი-ლიდსი | 1.62 | 2.05 |
| 16224 | ალემანია-დუისბურგი | 1.52 | 2.20 |
| 16309 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.23 | 3.60 |
| 16460 | ლანსი-ტრუა | 1.22 | 3.40 |
| 16536 | ბრაგა-გიმარაეში | 1.25 | 3.40 |
| 16604 | ბოლესლავი-ბრნო | 1.38 | 2.65 |
| 16638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1.80 | 1.85 |
| 16750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.52 | 2.20 |

**პირველი ტაიმი ფრეს გარეშე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23069 | ოლდემი-ლიდსი | 1.33 | 1.63 |
| 23224 | ალემანია-დუისბურგი | 1.27 | 1.75 |
| 23309 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.09 | 2.78 |
| 23460 | ლანსი-ტრუა | 1.08 | 2.85 |
| 23536 | ბრაგა-გიმარაეში | 1.12 | 2.40 |
| 23604 | ბოლესლავი-ბრნო | 1.16 | 2.10 |
| 23638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1.51 | 1.46 |
| 23750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.27 | 1.75 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12069 | ოლდემი-ლიდსი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12224 | ალემანია-დუისბურგი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12309 | სტ.გალენი-ივერდონი | 2,5 | 2.10 | 1.50 | 4.70 |
| 12460 | ლანსი-ტრუა | 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12536 | ბრაგა-გიმარაეში | 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12604 | ბოლესლავი-ბრნო | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| 12750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15069 | ოლდემი-ლიდსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | ალემანია-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15309 | სტ.გალენი-ივერდონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15460 | ლანსი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15536 | ბრაგა-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15604 | ბოლესლავი-ბრნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14069 | ოლდემი-ლიდსი | 1.80 | 2.00 |
| 14224 | ალემანია-დუისბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14309 | სტ.გალენი-ივერდონი | 1.45 | 2.40 |
| 14460 | ლანსი-ტრუა | 1.30 | 2.50 |
| 14536 | ბრაგა-გიმარაეში | 1.45 | 2.40 |
| 14604 | ბოლესლავი-ბრნო | 1.70 | 2.20 |
| 14638 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1.90 | 1.90 |
| 14750 | ალბინოლეფე-გროსეტო | 1.75 | 2.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## GUINNESS WORLD RECORDS



ნოკაუტით ყველაზე მეტი ბრძოლა (145) მოგებული აქვს ამერიკელ მოკრივე არჩი მურს, ვინაც რინგზე 1936-დან 1963 წლამდე გამოდიოდა. ამ 145 ბრძოლიდან 129 მურმა პროფესიულ რინგზე მოიპოვა.



წონაში ყველაზე დიდი სხვაობა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მებრძოლ მძიმეწონოსანთა შორის იტალიელ პრიმო კარნერას (ფოტოზე) და ამერიკელ ტომი ლოგრენს შორის იყო. ეს ჩხუბი ფლორიდის შტატში, მაიამიში გაიმართა 1934 წლის 1 მარტს და კარნერამ ქულებით მოიგო. კარნერა 122 კგ იყო, მისი მეტოქე კი მხოლოდ 83 კგ. სხვაობამ 39 კგ შეადგინა.

## რას არ გაიგებ კომენტატორისგან

ვიალიმ თმა შეიჭრა და ახლა თავით უკეთესად ურტყამს.

მოატყუა ერთი, მეორე, ისევ მეორე, ისევ მეორე და ისევ ის.

მსაჯს არ დაუნახავს, თუ როგორ ცდილობდა როზენტალი ვეიდერის ტრუსის მოპარვას.

იღბლიანი მაისურაა მისთვის. 15 წელია გაუხდელად ატარებს.

ემილ ჰესკიმ მოედანზე, საკუთარი თავი ვერ იპოვა.

## სახალისო ფოტო



## ანეკდოტები

მწვრთნელი შესვენებისას:

— ბიჭებო, არ იფიქროთ, რომ შარს გდებთ, მაგრამ 0:6 ვაგებთ და მეეჭვება რომ მოვიგოთ.

— რატომ გიყვართ ფეხბურთი?

— სახლში ცოლი მიყვირის, სამსახურში — უფროსი. აი, სტადიონზე მე ვუყვირი ფეხბურთელებს.

„ვისლას" აშკარად დრო გაჰყავდა: ძალიან გვიან გაუტანა მერვე გოლი „ვიტ ჯორჯიას".

— რატომ აცვიათ ჰოკეისტებს ფეხბურთელებზე გრძელი ტრუსები?

— ჰოკეის ნამდვილი მამაკაცები თამაშობენ.

სატელევიზიო რეკლამა:

ფეხბურთის მოედანი, სავსე ტრიბუნები, ორკესტრი ჰიმნს უკრავს. კადრში ჩნდება ექტორ კუპერი და ამბობს — მოგება მოგენატრათ? მაშინ მოვალთ და გეთამაშებით.

ქართველი ფეხბურთელები მოედანზე ეროვნული დროშის ფერებით გავიდნენ: თეთრი მაისურებით და აწითლებული სახეებით.

ვინ რა თქვა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე:

ბრაზილიის ნაკრები: გაგვიტანეს რამდენიც შეძლეს, გავიტანეთ რამდენიც გვინდოდა.

რუსეთის ნაკრები: გაგვიტანეს რამდენიც უნდოდათ, გავიტანეთ რამდენიც შევძელით.

კორეის ნაკრები: გავიტანეთ რამდენიც მსაჯმა ჩაგვითვალა.

პარაგვაის ნაკრები: გავიტანეთ მეკარემ რამდენიც შეძლო.

გერმანიის ნაკრები: რამდენიც უნდა გაგვიტანონ, ჩვენ მაინც მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გვყავს.

მსაჯს გამოცდაზე ეკითხებიან:

— რამდენი ფეხბურთელი უნდა იყოს მოედანზე?

— თამაშის დაწყებისას თუ ბოლოს?

არსებობს ფეხბურთის სამხრეთამერიკული სკოლა: მთავარია, ლამაზად ითამაშო.

ევროპული სკოლა: მთავარია, მოიგო.

ქართული სკოლა: მთავარია, წაგება ვინმეს დააბრალო.

რომან აბრამოვიჩს ებრაელობის არაფერი ეტყობა: აბა, წარმოიდგინეთ, პრემიერლიგის მოსაგებად, მთელ ევროპაში დაიწყო ძვირადღირებული ფეხბურთელების ყიდვა. ებრაელი პრემიერლიგის მოსაგებად გაცილებით იაფად მსაჯებს იყიდდა.

## სპორტი და ისტორია



ხშირად გაიგებთ, ამა და ამ პიროვნებას ეს გზა რომ არ აერჩია დიდ წარმატებას მიაღწევდა სხვა საქმეშიო.

ერთი ამისთანა მაგალითი გვინდა გავიხსენოთ— ხულიო იგლესიასი.

ყველა დროის ყველაზე წარმატებული ესპანელი მომღერალი, რომელსაც 250 მილიონი დისკი აქვს გაყიდული, მუსიკოსი სრულიად შემთხვევით გახდა, იქამდე კი დიდ საფეხბურთო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

იგლესიასი „რეალის" ახალგაზრდული გუნდის მეკარე იყო და იმდენად კარგად თამაშობდა, რომ ოცი წლისას თითქმის აღარაფერი უკლდა პირველი გუნდის მთავარ მეკარეობამდე.

მეოცე დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე კი, 1963 წლის 22 სექტემბერს, უბედურმა შემთხვევამ იგლესიასის ცხოვრება თავდაყირა დააყენა.

სამ მეგობართან ერთად იგლესიასი მახადაგონდადან მადრიდში ბრუნდებოდა თავისი „რენო-დოფინით" — იმ დროისთვის მოდური ახალგაზრდული მანქანით, რომელიც „რეალში" აღებული ფულით იყიდა.

მახადაგონდადან მადრიდამდე 20-კილომეტრიან გზაზე იგლესიასმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა ჯერ ამობრუნდა, მერე ხევში გადავარდა და ხეს შეასკდა.

სამივე მეგობარი უვნებლად გადარჩა, ხულიომ კი ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო. ფეხბურთელობაზე ლაპარაკიც აღარ იყო, ექიმები იმასღა ეშურებოდნენ, ბიჭი მთელი ცხოვრება ინვალიდის ეტლს რომ არ ყოფილიყო მიჯაჭვული.

თავად იხსენებს: „კლინიკაში თავდაპირველად შიში დამეუფლა. ისე დამტრიალებდნენ თავზე, ეჭვი გამიჩნდა, რომ ვკვდებოდი. მერე, როცა მივხვდი, რომ მოძრაობა აღარ შემეძლო, იმაზე დავფიქრდი, ამიერიდან როგორ უნდა მეცხოვრა."

წელიწადნახევარი ლოგინიდან ვერ დგებოდა და საავადმყოფოს მედძმამ გიტარა მიუტანა, გაერთობაო. არადა, იქამდე, სკოლის სიმღერის გაკვეთილებზე ხულიოსთვის მასწავლებელს ნათქვამი ჰქონდა, სიმღერა შენი საქმე არ არისო.

სხვა გასართობი რა ჰქონდა და გიტარაზე დაკვრის სწავლა დაიწყო.

გავიდა წლები და იგლესიასმა, „რეალის" ყოფილმა მეკარემ, 250 მილიონი დისკი გაყიდა.

# რამდენი სამეფო კლუბია ესპანეთში?

# რეალები რეალამდე და რეალის მერე

**როდესაც ვამბობთ — სამეფო კლუბი, მადრიდის „რეალს" ვგულისხმობთ ხოლმე. უბრალოდ ასე დამკვიდრდა, თორემ სამეფო ტიტულს ესპანეთში ბარე ოცი კლუბი ფლობს და მათმა ნახევარმა ამ სახელის ტარების უფლება „რეალზე" ადრეც კი მიიღო...**

პრიმერადივიზიონში, მოგეხსენებათ, 20 გუნდი თამაშობს და მათი თითქმის ნახევარი — 9 გუნდი — სამეფოა და საკლუბო გერბზეც გვირგვინი ახატია.

ამათგან პირველმა, რომელმაც სამეფოს სტატუსი მიიღო, ლა კორუნიის „დეპორტივოა" (Real Club Deportivo de La Coruna).

1909 წელს მეფე ალფონსო XIII განკარგულებით გალისიურ კლუბს ის სახელი მიანიჭა, რომელიც დღესაც ირიცხება რეესტრში.

თუმცა მეორე რესპუბლიკის დროს (1931-1939) „დეპორტივოსაც" და სხვა სამეფო კლუბებსაც ეს სახელი ჩამოაშორეს.

იმ 1909 წელს კი, ოღონდ რამდენიმე თვის დაგვიანებით სამეფოდ იქცა უძველესი ესპანური კლუბი უელვას „რეკრეატივო", რომელსაც ჩვენ უბრალოდ „უელვად" მოვიხსენიებთ (Real Club Recreativo de Huelva). სამი წლის მერე კი სამეფო საფეხბურთო ოჯახს ხიხონის „სპორტინგი" (Real Sporting de Gijon) და ბარსელონას „ესპანიოლი" (Real Club Deportivo Espanol) შეუერთდნენ.

1913 წელს დაარსებულმა სანტანდერის „რასინგმა" სამეფო ტიტული ერთი წლის თავზე მიიღო (Real Racing Club de Santander). თუმცა „რასინგის" გერბზე გვირგვინი მხოლოდ 1923 წელს გაჩნდა.

1914 წელსვე სამეფოდ იქცა სევილიის „ბეტისიც" (Real Betis Balomgie).

1916 წელს დაარსებული „მალიორკა" (Real Club Deportivo Mallorca) თავდაპირველად სრულიად განსაკუთრებული სტატუსითაც კი სარგებლობდა და „ალფონსო XIII სამეფო სპორტულ საზოგადოებად" იწოდებოდა.

აი, მხოლოდ ამის მერე მიიღო „რეალმა" სამეფო სტატუსი, რაც 1920 წელს მოხდა და მას მერე კლუბი Real Madrid Club de Futbol-ად იწოდება. და რა ერქვა დედაქალაქურ კლუბს 1920 წლამდე დაარსებიდან მთელი 18 წლის განმავლობაში? უბრალოდ „მადრიდის ფეხბურთის კლუბი".

სხვათა შორის, ბევრი ადამიანი ესპანეთში, რომლებსაც ამ გუნდის განსაკუთრებულობის აღიარება არ სურთ, დღემდე უბრალოდ „მადრიდად" მოიხსენიებს.

სხვებზე გვიან სამეფოდ იქცა „ვალიადოლიდი" (Real Valladolid Club de Futbol).

ეს ის 9 კლუბია, რომლებიც ახლა პრიმერადივიზიონში თამაშობენ და როგორც მოგახსენეთ, სამეფო კლუბების რაოდენობა ოცია.

ოთხი კლუბი დღეს სეგუნდაში თამაშობს. პირველ რიგში ეს „სან სებასტიანის „სოსიედადია" (Real Sociedad de Futbol), რომელსაც წინსართი 1910 წელს მიენიჭა.

შემდეგია „მურსია" (Real Murcia Club de Futbol) და ვიგოს „სელტა" (Real Club Celta de vigo). შედარებით გვიან ამათ შეუერთდა „სარაგოსა" (Real Zaragoza) — 1951 წელს. საინტერესოა, რომ „სარაგოსას" სამეფო წინსართი სტადიონისგან ერგო. გუნდი Real Sociedad Atletica Stadium-ზე თამაშობდა და ასეთი არენის პატრონს თავადაც ერგებოდა სამეფო სტატუსი.

სამი სამეფო გუნდი სეგუნდა B დივიზიონიდანაა.

„უნიონი" (Real Union Club de Irun) წინა საუკუნის დასაწყისში უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა და, სხვათა შორის, სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსირდებოდა. გუნდი 1915 წელს დაარსდა.

ასევე ნაკლებად ცნობილი „ლინენსე" (Real Balompedica Linense) 1922 წელს და სათასო ბრძოლებში მეტად სახიფათო „ხაენი" (Real Jaen Club de Futbol, 1947).

სამეფო კლუბები უფრო დაბალ დივიზიონებშიც არიან. ტერსერე დივიზიონში ერთბაშად 5 „რეალია":

„ოვიედო" (Real Oviedo, 1919), რომელიც ახლახან პრიმერაშიც იყო და ასე დაბლა ჩაცოცდა, „ავილა" (Real Avila Club de Futbol, 1925), „ალკალა" (Real Sociedad Deportiva Alcala, 1929), „კადისი" (Puerto Real Club de Futbol, 1948) და „ავილესი" (Real Aviles Industrial Club de Futbol, 1983).

ბოლო 26 წელია, ესპანეთის მეფეს სამეფო ტიტული არც ერთი კლუბისთვის აღარ უბოძებია.

**გიორგი დარჯანია**

ავილა · სოსიედადი · რეალი · ალკალა · სელტა · ოვიედო · ლინენსე · ესპანიოლი · დეპორტივო · ალავესი · ხაენი · ვალიადოლიდი · რასინგი · მალიორკა · ხიხონი · სელტა · სარაგოსა · კადისი · უნიონი · მურსია

ეროვნული ბიბლიოთეკა



## UEFA CUP უეფას თასი 2008-09. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

# სადღა არიან მილანი და ვალენსია...



კლაუდიო პიზარომ „მილანს“ ოცნება ოცნებად დაუტოვა

— კიევის „დინამოსთვის“ ეს იყო მეთერთმეტე მატჩი სტუმრად ესპანურ კლუბთან და მეშვიდე ფრე. დანარჩენიდან სამი წააგო და ერთხელ იმარჯვა.

— „ვალენსიამ“ ბოლო შვიდი საშინაო ევრომატჩიდან ერთზე მეტი ვერ მოიგო.

— უეფას თასის ამჟამინდელი მფლობელი „ზენიტი“ მეექვსედ ეტუმრა გერმანიას და მეორედ მოიგო.

— „შტუტგარტისთვისაც“ მეექვსე საშინაო მატჩი იყო რუსულ კლუბთან და მეორე მარცხი. „შტუტგარტს“ რუსებთან ფრე ერთხელაც არ უთამაშია.

— „სენტ ეტიენმა“ ევროთასებზე წაუგებელ მატჩთა სერია 12-მდე გაზარდა. მათგან შვიდი მოიგო. ფრანგული კლუბი ბოლოს 1982 წლის ნოემბერში პრაღის „ბოჰემიანსთან“ 0:4 დამარცხდა.

— ცსკა-ს ახალმა მწვრთნელმა ზიკომ პირველი ოფიციალური შეხვედრა მოიგო და ევროთასებზე გუნდის წაუგებელმა სერიამ რვას უწია.

— „ასტონ ვილა“ მეოთხედ ეთამაშა რუსულ კლუბს და ერთხელაც ვერ აჯობა.

— კაკა, რონალდინიო და ბექემი უეფას თასის მიღმა დარჩნენ. „მილანი“ და „ვერდერი“ მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს. „მილანს“ აქამდე ორჯერ ჰქონდა მოგებული შინ „მუსიკოსებისთვის“, მესამედ კი ფრე გამოვიდა. კარლო ანჩელოტის გუნდი 2003 წლის მარტიდან საშინაო ევრომატჩში არ დამარცხებულა.

— „ვერდერმა“ ზედიზედ მეცხრედ ვერ მოახერხა იტალიაში გამარჯვება, მაგრამ ამჯერად „მილანზე“ გადასაბიჯებლად ფრეც ეყო.

— ხარკოველებმა უეფას თასზე შვიდიდან ექვსი მატჩი მოიგეს და ამ შვიდში ერთზე მეტი არ გაუშვეს.

— „ნაიმეგენამდე“ „ჰამბურგს“ ჰოლანდიურ კლუბებთან ხუთ საშინაო მატჩში ორი ფრე და სამი წაგება ჰქონდა. ეს იყო პირველი გამარჯვება ერედივიზიონელთან.

— 2000 წლის ივნისიდან „ვოლფსბურგს“ ფრანგული კლუბი შვიდ მატჩში არ დაემარცხებინა და ახლა ეს რიცხვი რვიანად გადაკეთდა.

— პსჟ-მ გერმანიაში პირველად მოიგო 1994 წლის ივნისის მერე.

— „გალათასარაიში“ მიხაელ სკიბეს ნაცვლად დანიშნულმა ახალმა მწვრთნელმა ბულენთ ქორმაზმა პირველივე მატჩი მოიგო.

— „ბორდო“ და „გალა“ მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს და ფრანგებმა პირველად წააგეს.

— „ოლბორგი“ მესამედ ესტუმრა ესპანურ კლუბს და პირველად მოიგო.

— „სტანდარდს“ პორტუგალიელებთან ბოლო ოთხ მატჩში არ მოეგო და გაახუთა.

— „ბრაგამ“ პირველად ითამაშა ბელგიაში და არ წააგო.

— „უდინეზე“ პოლონურ კლუბებთან ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში არ დამარცხდა.

— „აიაქსმა“ ზედიზედ მეხუთე საშინაო ევრომატჩში ვერ მოუგო იტალიურ კლუბს.

— „ფიორენტინა“ მესამედ ჩავიდა ჰოლანდიაში და არ დამარცხდა.

### მერვედფინალი

ცსკა — შახტარი
უდინეზე — ზენიტი
პსჟ — ბრაგა
მარსელი — აიაქსი
ვერდერი — სენტ ეტიენი
დინამო — მეტალისტი
ჰამბურგი — გალათასარაი
სიტი — ოლბორგი

**ტოტენჰემი 1:1 შახტარი (0:2)**
1:0 ჯოვანი (55), 1:1 ფერნანდინიო (86)
ტოტენჰემი: გომესი, პანტერი, ჩიმბონდა, ჰადლსტოუნი, ჟილბერტო (ბოსტოკი 77), ოჰარა (პარეტი 71), ბეილი, ობიკა, კემპბელი, პალასიოსი, ჯოვანი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
შახტარი: პიატოვი, ჩიგრინსკი, სრნა, იშჩენკო, რაცი, ფერნანდინიო, ჟადსონი, ილსინიო (გაი 80), ლევანდოვსკი, ვილიანი (ჰიუბშმანი 46), გლადკი (მორენო 60)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ოჰარა, ლევანდოვსკი, ჰიუბშმანი, პალასიოსი
მსაჯი: ტალიავენტო (იტალია)
30 595 მაყურებელი

**ტვენტე 0:1დ.დ.(6:7პ) მარსელი (1:0)**
0:1 ბენ არფა (24)
ტვენტე: ბოსხკერი, სტამი (ველემბერგი 116), რაიკოვიჩი, ფრანკო, ბრაფჰეიდი, ბრამა (იანსენი 79), ტიოტე, პერესი, არნაუტოვიჩი, ნკუფო, დენებოომი (ჰერსი 110)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
მარსელი: მანდანდა, ბონარი, ჩიველი, ჰილტონი (ზუბარი 30), ტაივუ, ზიანი, ჩანა (მბამი 94), შეირუ, ბენ არფა, ნიანგი, სამასა (ბ. კონე 103)
გაფრთხილება: ზუბარი, არნაუტოვიჩი, სამასა, ზიანი, ტიოტი, ჩიველი, ბენ არფა, ბრაფჰეიდი, ბ. კონე
მსაჯი: იეფეტი (ისრაელი)
24 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:2 ზენიტი (1:2)**
0:1 სემშოვი (42), 1:1 გებჰარტი (80), 1:2 ფაიზულინი (86)
შტუტგარტი: ლემანი, ტრეში, ტასკი, ბულარუზი, ოსორიო, ჰილბერტი (გებჰარტი 60), ხედირა (მარიკა 56), ჰიტცლშპერგერი, შიმაკი (ელსონი 61), გომესი, კაკაუ
მწვრთნელი: მარკუს ბაბელი
ზენიტი: მალაფეევი, კრიჟანაცი, კიმ დონ ჩჟინი, შიროკოვი, ანიუკოვი, ზირიანოვი, დანი, სემშოვი, ჰუშტი (ფაიზულინი 72), დენისოვი, პოგრებნიაკი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გაფრთხილება: დანი, ანიუკოვი, ჰუშტი, გომესი
მსაჯი: კოლამი (შოტლანდია)
34 500 მაყურებელი

**ვალენსია 2:2 დინამო (1:1)**
0:1 კრავეცი (33), 1:1 მარჩენა (45), 2:1 დელ ორნო (54), 2:2 კრავეცი (73)
ვალენსია: სეზარი, მადურო, ალბიოლი, ალექსისი, დელ ორნო, მატა (ვისენტე 68), მარჩენა (ბარახა 81), ფერნანდეში, სილვა, ვილია, მორიენტესი (ხოაკინი 59)
მწვრთნელი: უნაი ემერი
დინამო: ბოგუში, ნესმაჩნი, ბეტაო, მიხალიკი, ელ ქადური, ერიომენკო, ვუკოევიჩი, კორეა (გიოანე 77), ალიევი, კრავჩენკო (ჩერნატი 65; საბლიჩი 88), კრავეცი
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ელ ქადური, ნესმაჩნი, ალიევი, ვუკოევიჩი, დელ ორნო
მსაჯი: სკომინა (სლოვენია)
30 000 მაყურებელი

**გალათასარაი 4:3 ბორდო (0:0)**
0:1 ბელიონი (1), 1:1 არდა (43), 2:1 კიუელი (45), 3:1 არდა (66), 3:2 შამახი (74), 3:3 კავენაგი (75), 4:3 საბრი (90)
გალათასარაი: დე სანქტისი, საბრი, აშიკი, მეირა, ბალთა (ნონდა 77), ეზბეკი (გიუვენი 82), აიჰანი, თოპალი (კიუელი 19), არდა, ბაროში, ლინკოლნი
მწვრთნელი: ბიულენთ ქორქმაზი
ბორდო: რამე, შალმე, დიავარა, ენრიკე, პლასენტე, ა. ტრაორე (კავენაგი 54), ა. დიარა, ფერნანდო, ვენდელი (ჟუსი 56), ბელიონი (გუფრანი 76), შამახი
მწვრთნელი: ლორან ბლანი
გაფრთხილება: თოპალი, ბაროში, ეზბეკი, შალმე
მსაჯი: ტომსონი (შოტლანდია)
19 000 მაყურებელი

**მილანი 2:2 ვერდერი (1:1)**
1:0 პირლო (27პ), 2:0 პატო (33), 2:1, 2:2 პიზარო (68, 78)
მილანი: დიდა, ძამბროტა, სენდეროსი, მალდინი, ფავალი (იანკულოვსკი 77), ბექემი, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ფლამინი 53), პატო, ინძაგი (შევჩენკო 62)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ვერდერი: ფანდერი, ფრიცი, ნერტესაკერი, პასანენი (ბენიში 67), ნალდო, ციოლისი, ფრინგსი, იოზილი (იენსენი 90), დიეგო, პიზარო, უგო ალმეიდა (როზენბერგი 61)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ფრიცი, იოზილი, პირლო, როზენბერგი, სენდეროსი
მსაჯი: ერიქსონი (შვედეთი)
23 280 მაყურებელი

**დეპორტივო 1:3 ოლბორგი (0:3)**
1:0 სერხიო (38), 1:1 შელტონი (41), 1:2 იოჰანსონი (44), 1:3 ენევოლდსენი (45)
დეპორტივო: არანსუბია, ადრიანი, ზეკასტრო, კოლოტო, კაშმირსკი (ხუან ფერნანდესი 69), ტომასი, დე გუსმანი (ალვარესი 46), სერხიო, ლაფიტა, ვალერონი, ბოდიპო (ბრავო 9)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ოლბორგი: ზაზა, ბოგელუნდი, ბეშამი, ველერი (ნილსენი 52), იაკობსენი, კაკა, ენევოლდსენი (რისგაარდი 77), აუგუსტინსენი, იოჰანსონი, დეშელტონი (კურტი 56)
მწვრთნელი: მაგნუს პერსონი
გაფრთხილება: ალვარესი, იაკობსენი, კურტი, ადრიანი
გაძევება: ალვარესი (90)
მსაჯი: კელი (ირლანდია)
16 000 მაყურებელი

**აიაქსი 1:1 ფიორენტინა (1:0)**
0:1 ჯილარდინო (60), 1:1 ლეონარდო (88)
აიაქსი: ვერმერი, ვან დერ ვილი, ოლეგერი, ვერტონგენი, ვერმალენი, გაბრი (ანიტა 79), ტაკანგი, ლინდგრენი (ლეონარდო 70), სულეიმანი (ალდერვეირენდი 90), სუარესი, ემანუელსონი
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი
ფიორენტინა: ფრეი, ძაური (ივვეტიჩი 89), გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი, დონადელი (ალმირონი 72), მელო, სემიოლი (იორგენსენი 68), მონტოლივო, ჯილარდინო, მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ტაკანგი, დონადელი, ლინდგრენი, მუტუ, ძაური
მსაჯი: იოჰანესონი (შვედეთი)
42 799 მაყურებელი

**სენტ ეტიენი 2:1 ოლიმპიაკოსი (3:1)**
1:0 პაიე (45), 2:0 ილანი (58), 2:1 ოსკარი (75)
სენტ ეტიენი: ჟანო, ვარო (სოფე 81), ტაველარიდისი, სალი, მ. დაბო, მირალაში, მატუი (ბენალუანი 72), დერნისი, პაიე (ჟილიოტი 62), მაშადუ, ილანი
მწვრთნელი: ალენ პერინი
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პაცაცოღლუ, გალიციოსი, ოსკარი, სანტო (მითროღლუ 65), ჟელიაკოვი, ანცასი, დუდუ (მენდრინოსი 76), პანტოსი, ლეტო, ტოროსიდისი (დერბიშირი 46)
მწვრთნელი: ტაკის ლემონისი
გაფრთხილება: ანცასი, სანტო, ტავლარიდისი, პაცაცოღლუ, ლეტო, მენდრინოსი
მსაჯი: ალერტსი (ბელგია)
30 511 მაყურებელი

**უდინეზე 2:1 ლეხი (2:2)**
0:1 რენგიფო (13), 1:1 პეპე (46), 2:1 დი ნატალე (90)
უდინეზე: ჰელარდი, კოდა, საპატა, დომიცი, პასკუალე (ლუკოვიჩი 77), ინლერი, დაგოსტინო, ასამოა გიანი, პეპე (ისლა 63), კვალიარელა (ფლორესი 46), დი ნატალე
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
ლეხი: ტურინა, ვოიტკოვიაკი, ბოსაცკი, ჯორჯევიჩი, არბოლედა, ბანდროვსკი, მურავსკი, ინიაჩი (ბილკი 71), სტილიჩი, ლევანდოვსკი, რენგიფო
მწვრთნელი: ფრანციშეკ შმუდა
გაფრთხილება: ბელარდი
მსაჯი: ბლომი (ჰოლანდია)
11 662 მაყურებელი

**ცსკა 2:0 ასტონ ვილა (1:1)**
1:0 ჟირკოვი (60), 2:0 ვაგნერ ლავი (90)
ცსკა: აკინფეევი, შჩენიკოვი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, კრასიჩი, რახიმიჩი, შემბერასი, ჟირკოვი, ვაგნერ ლავი, ძაგოევი
მწვრთნელი: ზიკო
ასტონ ვილა: გუზანი, ლ. იანგი, მ. დევისი (ოზბორნი 84), ნაითი, შორი, ოლბრაითონი, გარდნერი, სალიფუ (ჰერვუდი 46), სიდუელი, დელფაუნსო, ბენანი
გაფრთხილება: ბენანი, ძაგოევი, ოლბრაითონი
მსაჯი: ბრიხი (გერმანია)
25 650 მაყურებელი

**სტანდარდი 1:1 ბრაგა (0:3)**
1:0 მბოკანი (79), 1:1 აგიარი (88)
სტანდარდი: ბოლათი (ესპინოზა 46), ტამოცატო, ონიევუ, სარი, მიულემო, დალმა (ბენტეკე 86), დეფური, ვიცელი, გორე (ჩ. გონსალესი 73), დე კამარგო, მბოკანი
მწვრთნელი: ლასლო ბოლონი
ბრაგა: ედუარდუ, ჟოაო პერეირა, სტელვიუ, ანდრე ლეონი, ევალდო, ჟორჟინიო (ალანი 55), აგიარი, ვანდინიუ, პეიშოტო, ზე მეიონგი (პაოლო ცეზარი 69), რენტერია (სა 90)
მწვრთნელი: ჟორჟე ჟესუსი
გაფრთხილება: დე კამარგო, ევალდო, დეფური, ვიცელი, პეიშოტო, ანდრე ლეონი, ვანდინიო, სარი
მსაჯი: იაკობსონი (ისლანდია)
26 356 მაყურებელი

**მეტალისტი 2:0 სამპდორია (1:0)**
1:0 ვალიაევი (32), 2:0 ჟაჟა (40)
მეტალისტი: გორიაინოვი, მაიდანა, ბუიე, განჩარჟიკი, ობრადოვიჩი, ვალიაევი, სლიუსარი, ედმარი, რიკუნი (დევიჩი 56), ოლეინიკი (ბერეზოვჩუკი 86), ჟაჟა (ბორდიანი 78)
მწვრთნელი: მირონ მარკევიჩი
სამპდორია: მირანტე, კამპანიარო, დაკოშტა, გასტალდელო, სტანკევიჩიუსი (ფრანჩესკინი 63), პადალინო (მუსტაკიო 82), სამარკო (პიერი 65), დესენა, ციგლერი, მარილუნგო, ბელუჩი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: სამარკო
მსაჯი: კირხერი (გერმანია)
33 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 ნაიმეგენი (3:0)**
1:0 ოლიჩი (9)
ჰამბურგი: როსტი, დ. ბოატენგი (ალექს სილვა 46), გრავგაარდი, მატიისენი, აოგო, ბენჟამინი, რინკონი, იაროლიმი, იანსენი (პიტროიპა 46), ოლიჩი (გერერო 79), პეტრიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
ნაიმეგენი: ბობოში, კუნდერსი (დანი 46), პოტპეიზენი (ოტენი 46), ციომერი, ელ აჭჩაუი, კივუვუ, ვორმი (იანსენსი 72), დავიდსი, ნტიბაზონკიზა, ჩიბამბა, ელ კაბირი
მწვრთნელი: მარიო ბეენი
გაფრთხილება: ელ კაბირი, კივუვუ
მსაჯი: შაპრონი (საფრანგეთი)
31 537 მაყურებელი

**სიტი 2:1 კოპენჰაგენი (2:2)**
1:0, 2:0 ბელამი (73, 81), 2:1 ვინგორი (90)
სიტი: გივენი, საბალეტა (ელანო 82), ონუოჰა, დანი, რიჩარდსი, რაიტ-ფილიპსი, აირლენდი, კომპანი, ბრიჯი, ბელამი, რობინიო
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, პოსპეხი, ანტონსონი, იორგენსენი, ვენდტი, კვისტი, კრისტენსენი (სიონკო 46), ნერეგოორი (ვინგორი 76), ჰატჩინსონი, ალმეიდა, ნდოიე (გრონკიაერი 59)
მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი
გაფრთხილება: კრისტენსენი, ვენდტი
მსაჯი: დერელი (თურქეთი)
26 018 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:3 პსჟ (0:2)**
0:1 ლუინდულა (38პ), 0:2 როტენი (60), 1:2 მასებე (63), 1:3 ლუინდულა (73)
ვოლფსბურგი: ლენდსი, ძაკარდო, ბარძალი, შიმუნეკი, შეფერი, კაიუბი (ოკუბო 46), მასებე, გენტნერი, შინდცელორცი (დეჟაგა 46), ძეკო, მისიმოვიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
პსჟ: ლანდრო, სიარა (მაბიალა 78), ლ. ტრაორე, კამარა, არმანი, ლუინდულა, შანტომი, კლემანი, როტენი (მაკუნდა 62), პანკრატი, სესენიონი (საჰო 72)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: შინდცელორცი, შიმუნეკი
მსაჯი: გრინიაკი (სლოვაკეთი)
20 205 მაყურებელი

# მაშ, ფერგიუსონს რა?
## კანტონას მანჩესტერი მონდომებია



**ერიკ კანტონა** რის ერიკ კანტონა იქნებოდა, ასეთი რამ რომ არ ეთქვა: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობა მსურსო.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერის“ აღორძინება, სწორედ კანტონას მისვლით დაიწყო 1993 წელს, როცა გუნდმა 26 წლის ნანატრი ჩემპიონობა მოიპოვა. მას მერე „მანჩესტერი“ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია.

კანტონა ამ კლუბს საუკუნეთა მიჯნაზე გაეყარა. ერთ ხანს პლაჟის ფეხბურთით ერთობოდა, მერე კი საფრანგეთის პლაჟბურთელთა ნაკრებს წვრთნიდა. ახლა კი იძახის, „მანჩესტერის“ გაწვრთნა მინდაო:

— ჩემი სამწვრთნელო კრედო და ამბიცია გამაჩნია, რომელთა განხორციელებასაც ვეშურები. „მანჩესტერში“ მინდა მუშაობა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან და მჯერა, ყველაფერი გამომივა. გნებავთ, მარადონას მაგალითი გავიხსენოთ. როგორც საკლუბო მწვრთნელმა 25 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო. ახლა კი შეხედეთ, როგორ თამაშობს მის ხელში არგენტინის ნაკრები. საკლუბო და სანაკრებო სპეციფიკა განსხვავებულია. მე კი ვფიქრობ, ჩემი მოწოდება სწორედ საკლუბო მწვრთნელობაა.

**ქოტე ქექელია**

ცოცხალი ხაზი (ლოგოტიპი)

# 1X2 ამფსონეში

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი

(რუბრიკის სპონსორია მარცხნიდან მეორე ძელი)

— ეს ვენგერი ჩემ ბილეთში ხო არ იყურება, ტო! „არსენალის“ გოლს დავდევ უკვე ოთხი ტურია და მასტებს არ გააქვთ. იმენა ნოლნოლებზე შესხდნენ.

რა ვქნა, მე ხო არ ჩავიდე და შევაგდო? პახოდუ, ადებაიორსაც ერთი ალიყური ავაკრა. ჰა?

„ვესტ ჰემთან“, „ტოტენჰემთან“, „სანდერლენდთან“, ეხლა კიდე ამ „ფულემთან“ როჟებმა არ გაიტანეს. ნუ, ზაკაზად არ გააქვთ, რა, იასნია!

უკვე იმდენი წავაგე, რო არშავინში გადახდილი ფულებიც ამოიღეს. მამენტ, ჩემი ნაყიდი გამოდის, რა!

ნამუსი თუ აქ, ჩემი სურათი უნდა მიიხატოს მაიკაზე. ეგრე არ არი? კაკ მინიმუმ, სახლში კედელზე მაინც უნდა ჩამოკიდოს, ტო!

— ეგენი კიდე მოშნად იყომარებენ. არ გახსოვს, მანამდე წაგებით რო ტეხავდნენ?

მერე დაუზვანოკეს „უილიამ ჰილიდან“ და დაასტოპეს. უკვე ძაან იავნი იყო. ეხლა გადავიდნენ ნავაროტკა ჩაწყობაზე. არ აგებენ, მარა არც იგებენ, ძმაო.

არ გააქვთ, არც უშვებენ. მაგას იცი რა ისპალნიტელები უნდა? პროსტაამც, სასატავი სერიოზულად ნავარჯიშალია აცილებაში და შტანგაზე დამიზნებაში.

— ეგეთები იმენა არა მჯეროდა, მარა, მერე იუტუბში ვნახე, შტანგებზე რო ვარჯიშობენ, ტო!

მოედნის ნებისმიერი ტოჩკიდან უეჭველში დაგისვამენ ბურთს, იქ სადაც შტანგას თითს დაადებ.

— ვა! გეუბნები, ძმაო! ეგრეა მეთქი. აბა, გუნდი რო „კოტბუსთან“ წააგებს და ორ დღეში „სან სიროზე“ „მილანში“ შოტით ნიჩიას დაგისვამს, არ გამოსანსიროვდები?

— „ვერდერის“ პონტში ბაზრობ?

— მა რა! ეგ შააფიც კაი ვენგერია, ხო იცი! ეგრე იავნად, დღისით მზისით ყომარი?

რა ზღაპრებს მიყვებიან, ეგენი მე ფუტბოლს მასწავლიან? ჩემ თავზე მარტო „ოლდ ტრაფორდის“ დასავლეთ ტრიბუნა არ დატრიალებულა! დანარჩენი ყველაფერი ვიცი.

— უეჭველს ბაზრობ. მართლა დიდი უნამუსობაა, „კოტბუსთან“ რო წააგებ და „მილანს“ სტუმრად ნიჩიას ეთამაშები, ტო! კაროჩე, როჟა დაგვცინის რო ვყომარობ და მაგრა ფეხებზე მკიდიაო.

— „ალ იტიჰად ალ საკანდარი“ — „ჰარას ელ ჰედოოდზე“ რას ფიქრობ? გაიტანს შეიდივე?

— ეგვიპტეა?

—კი.

— მე „ალ საკანდარის“ ნიჩიებზე პირამიდას მივდევ.

**ქუჩი ქოჩმარია**

ჩემი ბილეთი:
001 ორშაბათს წვიმა
002 სამშაბათს ქარი
003 ოთხშაბათს თოვლი
004 ხუთშაბათს მზე
ფორმულა: 4-2
ფსონი: 6 ლარი.
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ ევროპის რომელ ქალაქში გაიხსნა ჩაწყობილი თამაშების გამოცნობის შემსწავლელი კურსები

114140 *



# დიეგო ჯიხურს შეასკდა

**დიდი** შანსია, რომ დიეგო მარადონას სასამართლოში სიარული მოუწიოს.

„სანის“ ცნობით, ორი კვირის წინ ბუენოს აირესში ჯიპით მიმავალი მარადონა სატელეფონო ჯიხურს შეასკდა. შუშის ნამსხვრევებმა ორი გამვლელი დაკაწრა, ჯიპის მძღოლი მიიმალა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში არგენტინის ნაკრების მწვრთნელი შეიძლება ციხეშიც აღმოჩნდეს. ჯიხურის დამანგრეველი დანაშაულს უარყოფს.

# კოკაინი და ეჭვი

**ესპანურმა** პოლიციამ რეიდები მოაწყო მადრიდსა და ვალენსიაში, რის შედეგადაც 600 კილოგრამი კოკაინი ამოიღეს.

პოლიცია ეჭვმიტანილებთა ვინაობას არ ასახელებს, თუმცა იქაური გაზეთები ამტკიცებენ, ნარკოდილერებთან ერთად ამ საქმეში ფიფას ორი აგენტი და რამდენიმე ფეხბურთელია გარეული. გაზეთმა „ასმა“ ისიც დაწერა, „ატლეტიკოს“, „რაიო ვალეკანოს“ და „პოლი ეხიდოს“ რამდენიმე ფეხბურთელზეა ეჭვიო.



# აი, ვინ არცხვენს უეინ რუნის

**მისი** რა ბრალია, მაგრამ უეინ რუნი მეტისმეტად სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდა: უახლოესი ნათესავები ისე იქცევიან, თავმოყვარე კაცს თავი არ გამოეყოფა.

უეინის 25 წლის ბიძაშვილმა სტივენ რუნიმ, ვინაც საეჭვო ორიენტაციის ახალგაზრდა გახლავთ, პოპ-მომღერლის კარიერის მოწყობა განიზრახა და როგორი სცენური იმიჯიც აქვს, ამ ფოტოზე შეგიძლიათ ნახოთ. მის პირველ სინგლს კი ასე ჰქვია: „რამდენი კაცია და რა ცოტა დროა“.

ჩემი მსმენელი მყავს — უთხრა რუნიმ „სანს“ — რომლებსაც ჩემი სიმღერები ძალიან მოსწონთ და ჩემთან ერთადაც მღერიან.“

ხოლო ფოტოზე აღბეჭდილი მკერდმოშიშვლებული გოგო უეინ რუნის მეორე ბიძაშვილი, ნატალი გახლავთ. მას თავისი ახირება აქვს: სურს, რომ ყველაზე დიდი მკერდი ჰქონდეს.

ისეთი აღელვებული ვარ — თქვა ნატალიმ — მკერდი შარშან გავიდიდე, მაგრამ არ მაკმაყოფილებს. ამიტომ ერთ ოპერაციასაც გავიკეთებ და უზარმაზარი მკერდის პატრონი გავხდები.“

ნატალი და სტივენ რუნებს მათი ბიძაშვილი დასანახად მას მერე ვერ იტანს, რაც ქორწილში დებოში მოუწყეს და სიძე იძულებული გახადეს, კინწისკვრით გაეყარა.

**ქოტე ქექელია**

გიო ახვლედიანის

სვეტი ლონდონიდან

# ისევ ჟოზე და ფერგი

აი, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ფერგი და ჟოზე და საქმის გარკვევა ორი კვირით გადადეს.

საინტერესო რამ გახლავთ ამ ორი მენეჯერის ურთიერთობა.

როგორც ირკვევა, არაერთი ბოთლი გამოუცლიათ ერთად და სანამ ჟოზე ინგლისში იყო, ხანგრძლივად უსაუბრიათ კიდეც.

ყოველივე ეს იქედან ვიცით, რომ ჟოზე შემთხვევას არ გაუშვებს, ფერგისთან თავის კარგ ურთიერთობასა და ურთიერთპატივისცემაზე არ ილაპარაკოს. ერთმანეთს სულ ძვირიან ღვინოებს უგზავნიან. ახლაც, მილანში ჟოზემ სამასფუნტიანი ბოთლი დაახვედრა სასტუმროში ფერგის, თუმცა, თამაშის შემდეგ ხელის ჩამორთმევა დაავიწყდა და ინგლისურმა პრესამაც ვაიუშველებელი შექნა, აგერ, ნახეთ როგორ მოიქცაო.

საერთოდ, არ მგონია, ევროპაში მწვრთნელები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ თამაშის შემდეგ. ეს ინგლისელების წესია და ტელევიზიაც ყოველთვის აჩვენებს ხოლმე მწვრთნელთა ხელის ჩამორთმევას. რა გასაკვირია, რომ ჟოზეს დავიწყებოდა. ანდა, გადაჩვეულიყო ამ ამბავს.

თუმცა, რახან ჟოზეა, ამბავიც ატყდა. იმიტომ, რომ ჟოზემ გვარიანები დაბლანდა ინტერ-მანჩესტერის თამაშის წინ და თამაშშიაც ხომ საუცხოოდ.

ჯერ იძახა, „მანჩესტერი" დაცვას მეთამაშებაო, მერე თვითონ ჩადგა დაცვაში და მერე მოულოდნელად ისე შეუტია, რომ თქვენი მოწონებული.

მოკლედ, არაფერი გადაწყვეტილა.

ჟოზემ იმ პირველ თამაშამდეც თქვა, ეს ჩვენი შეხვედრა დამატებით დროში გადავა და იქ გადაწყდებაო. ფერგიმ პირიქით, არ მგონია, დამატებითი გამოვიდესო. ახლა ორივე უფრო ახლოა დამატებითთან, ვიდრე ოთხმოცდაათი წუთის წინ.

მოკლედ, ყოველთვის ასეა, როცა ერთმანეთს რაღაცნაირი კაცები შეხვდებიან ხოლმე.

რაც ერთმანეთს გადაყრიან, ფერგის ერთადერთი თამაში მოუგია ჟოზესთვის, ოღონდ ის კაცი არ არის, ამან მასზე რაიმე გავლენა იქონიოს.

ჟოზე კი საგანგებოდ არასდროს ამბობს, ამას ამდენჯერ მოვუგე და ახლაც მოვუგებო.

სამაგიეროდ, ფერგი არასდროს ადასტურებს, ჟოზესთან ერთად ღვინოები დამიცლიაო. არ უარყოფს, მაგრამ არც ახსენებს. ფერგი მეტოქეს არასდროს აქებს, თუ ის ათი ქულით მაინც არ ჩამორჩება.

ჟოზემ ორი ჩემპიონობა წაართვა ფერგის, ფერგიმ ერთი. ჟოზე კიდევ ბევრგან იმუშავებს, ფერგი აღარსად.

მოკლედ, ათიოდ დღეც და ისევ შეხვდებიან ერთმანეთს. საქმე ეს არის, მოგებული ვინ დარჩება, თორემ მათ შეხვედრას და ღვინის სმას მგონი არავინ გამოეკიდება.

ინგლისელებს კი ენატრებათ ჟოზე.

დასწერენ ხოლმე გაზეთებში, ერთი ამ თვითგამოცხადებული განსაკუთრებული ვინმეს ხმა გაგვაგონა, თავისებურად რომ აურდაურევს და ჩახლართავს საქმეებსო.

ჰოდა, სულ მალე ისევ ნახავენ. მხოლოდ ერთ საღამოს, მაგრამ მაინც.

ღვინის დალევის დრო მგონი არც მას ექნება და არც ფერგის, ბოთლებს კი თამაშამდე გაცვლიან.

უფ, როგორ უყვართ ერთმანეთი. პირდაპირ არ ვიცი.





დევიდ ბექჰემს ახალი სვირინგისთვის ადგილი თითქმის არ დარჩა

# სიცრუე და ორპირობა თანამედროვე ფეხბურთისა

**ის დრო წავიდა ფეხბურთი იდეალური რომ იყო. დიდძალმა ფულმა, მწვრთნელებისთვის შემოხაზულმა ტექნიკურმა ზონამ, მოჯანყე ბოსმანის საქმემ, ტელევიზიამ, აგენტებმა, ტანზე სვირინგებმა და სხვა ათასმა სისულელემ ფეხბურთი წაახდინა. აი, ზოგიერთი მათგანი:**

ტექნიკური ზონა — განა ბობ პეისლი შემოხაზულ ზონაში იდგა, როცა, სამჯერ ევროთასი, ექვსჯერ კი ჩემპიონატი მოიგო?

ან ალფ რამსეი ტექნიკურ ზონაში იდგა, როცა ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა?

რა ნახეს ასეთი ტექნიკური თეთრად შემოხაზულ მონაკვეთში?

•••

სატრანსფერო ფანჯრები — წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წლის განმავლობაში მაღაზიაში ორჯერ, აგვისტოსა და იანვარში წასვლის უფლება მოგცენ. რა მოხდებოდა? თქვენი მაცივარი ლუდით სავსე იქნებოდა, ტუალეტის ქაღალდი კი გაგითავდებოდათ.

ეს არანორმალურია ჩვეულებრივ ცხოვრებაში და არანორმალურია ფეხბურთშიც.

•••

ნომრები მაისურებზე — გახსოვთ, როცა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელს ათი ნომერი ეწერა, მეკარეს კი ერთიანი? ვილაც გადარეულის წყალობით, რომელმაც ამერიკულ ფეხბურთს უყურა, დღეს „რონდეილის" ჯორჯ ბოიერს ზურგზე 33 აწერია, რონალდინიოს 80, უილიამ გალასს 10. რატომ?

•••

ავტობიოგრაფია — ყოველი ფეხბურთელის კარიერაში დგება დრო, როცა მკითხველს უნდა გააცნოს თავისი ცხოვრება. ორი სამი ინტერვიუ, რედაქტორის მიერ დამუშავებული მონაჩმახი და 200-გვერდიანი სისულელე მზადაა.

რუნიმ უკვე ორის დაწერა მოასწრო.

ეს ორჯერ მეტია მის მიერ წაკითხულ წიგნთა რაოდენობაზე.

•••

დამალული ფასები — თუკი თქვენ, კლუბის პატრონი ჩემს მიერ აბონემენტში გადახდილი ფულით ფეხბურთელს ყიდულობთ, რომელსაც არც კი ვიცნობთ, უნდა მითხრათ რა ღირს. მე არ მაინტერესებს მისი პრემიები, მითხარით ტრანსფერის თანხა. ნებისმიერი რიცხვი.

•••

სტატისტიკა — ამერიკული სისულელე, რომელმაც წალეკა ფეხბურთი. გაინტერესებთ, რამდენი საგოლე პასი გააკეთა უეინ რუნიმ სეზონში? რამდენი ზუსტი ჩაწოდება შეასრულა ჯერარდმა მეტოქის საჯარიმოში? რამდენი სწორი „პადკატი" გააკეთა გარეთ ბერიმ შობის დღესასწაულის შემდეგ? ფეხბურთში ერთი სტატისტიკაა — მატჩის ანგარიში.

•••

კონტრაქტის გაწყვეტა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე — ერთ-ერთი ყველაზე აბდაუბდა ფრაზა ფეხბურთში. მწვრთნელს ან უშვებენ, ან თვითონ მიდის. არანაირი ორმხრივი შეთანხმება არ არსებობს. გვითხარით სიმართლე და ჩვენ როგორმე გადავიტანთ.

•••

მსუქნები — შეიარეთ ინგლისის ნებისმიერ სტადიონზე და თქვენს გვერდით ერთ მსუქან კაცს მაინც ნახავთ, რომელიც: 1) უაზრობებს ყბედობს, 2) შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე გავა, 3) მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში შემოვა, 4) თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე წავა.

•••

ჯოი ბარტონი — ჩვენ წაქცეულებს არ ვურტყამთ, ბარტონს კი ეს კარგად ეხერხება. ჩაწერეთ რომელიმე საძიებელ სისტემაში „ჯოი ბარტონი ნაძირალა" და 30 500 შედეგს მიიღებთ.

•••

ელექტრონული სარეკლამო ფარები — სტადიონზე სათვალეებით იარეთ, თორემ ეს ფარები თვალებს მოგჭრიან. ამის მომგონს მინდა ვუთხრა: ეი, შენ, ჩვენ მაგ გარეკლამებულ „აუდის" მაინც ვერ ვიყიდით. აქ ლუდის დასალევად და ფეხბურთის სანახავად მოვედით.

•••

საკლუბო მაღაზიები — ლონდონში „არსენალის" მაღაზიაში თქვენს ძაღლს შეგიძლიათ საჩუქარი უყიდოთ. „ჩელსის" დუქანში ორცხობილა 10 გირვანქა ღირს. „მანჩესტერისაში" კი შამპუნი 9 გირვანქა.

•••

კაკა — თუ კაკა იმიტომ არ გადავიდა „სიტიში", რომ ფული არ აინტერესებს, აბა „მილანი" რატომ უხდის წელიწადში 9 მილიონ ევროს.

•••

ბრაზილიის ნაკრები — „ჰარლემ გლობტროტერსის" (საკალათბურთო შოუ) საფეხბურთო ვერსია. ბოლო ორწელნახევარში ბრაზილიამ შინ მხოლოდ ერთხელ ითამაშა. მოიარა ოსლო, სტოკჰოლმი, ლონდონი, ბაზელი, გეტებორგი, დორტმუნდი, მონპელიე, ჩიკაგო, ბოსტონი, დუბლინი, სიეტლი.

•••

ინტერნეტ-ფორუმები — ჩემი გუნდი შენსას სჯობს. არა, ჩემი გუნდია უკეთესი. არა ჩემი უკეთესია. არა ჩემი უკეთესია. არა ჩემი სჯობს. არა ჩემი უკეთესია. არა ჩემია უკეთესი...

•••

სვირინგები — ჩვენს ბავშვობაში სვირინგი ჰქონდათ მხოლოდ მეზღვაურებს და ნაციხრებს. ახლა კი, ნებისმიერი გუნდის გასახდელში თუ შევალთ, თვალები აგიჭრელდებათ. ზოგს ცოლის სურათი ახატია, ზოგს ერთი შვილის, ზოგს სამივესი, ზოგს სამივეს სახელი ივრითზე აწერია, ზოგს ჩინურად.

•••

ჩემპიონთა ლიგა — რა შეიცვალა ჩემპიონთა თასის ჩემპიონთა ლიგად გადაკეთების (1992) შემდეგ?

ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: 1992 წლამდე ჩემპიონთა თასს თუ მოიგებდით, ევროპის საუკეთესო გუნდი ხდებოდით, ახლა კი ამ ჯილდოს მოგების შემდეგ 700 მილიონი ევრო ვალი გაქვთ.

•••

პრემიერლიგა — რა შეიცვალა ინგლისის ჩემპიონატის პრემიერლიგად გადაკეთების (1992) შემდეგ?

ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: 1992 წლამდე ინგლისის ჩემპიონატს თუ მოიგებდით, ევროპის ქვეყნის საუკეთესო გუნდი ხდებოდით, ახლა კი ამ ჯილდოს მოგების შემდეგ 500 მილიონი ევრო ვალი გაქვთ.

•••

ტელევიზია — მონსტრი, რომელმაც ფეხბურთი შეახრამუნა.

**ᲥᲐᲕᲔᲖ ᲡᲝᲚᲔᲙᲝᲚᲘ**

*თაიმსი*



# მამა ლუისი

## ვან გაალმა ალგარვეში მზე იყიდა

**„ბარსელონას" ორგზის მწვრთნელმა (1997-2000 და 2002-2003) ლუის ვან გაალმა „დონ ბალონთან" ინტერვიუში იძუნწა და „ბარსას„ ნიჭიერი ჰოლანდიელი ფეხბურთელები არ ურჩია — ამ საქმეში ფულს არ მიხდიანო. ვან გაალი გვარდიოლას ამჟამინდელი გუნდის „მამობას" არ იჩემებს, მაგრამ არც იმას უარყოფს, ვარსკვლავბიჭების გაზრდაში მისი ხელიც ურევია...**

**— ესპანეთში თქვენს „ალკმაარს" დიდი ინტერესით უყურებენ. ჩემპიონობამდე ბევრი აღარ გიკლიათ...**

— ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი, მაგრამ ცხრილში გვარიანად დავწინაურდით.

ისეთი ვარსკვლავები არ გვყავს, როგორიც პსვ-ში და „აიაქსში", მაგრამ გუნდურობაში მათ ვჯობნით. ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს ამბავი...

**— „ალკმაარმა" სეზონი ორი წაგებით დაიწყო, მერე კი მოგებები მოაყოლა. „ბარსელონას" საამსეზონო დასაწყისს წააგავს, არა?**

— პირველ და მეორე მატჩში იმიტომ ვაგვიჭირდა, რომ ჩვენმა ცხრა ფეხბურთელმა ოლიმპიადაზე ითამაშა. დასვენება და ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს.

**— ჩემპიონატს თუ მოიგებთ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მეტოქედ რომელ გუნდს ისურვებდით?**

— ფინალში „ბარსელონასთან"! მგონი, კარგი ვარიანტია.

**— მაშინ „ბარსელონაზე" გკითხავთ. წინა სეზონთან შედარებით დიდი ცვლილებები არ მომხდარა შემადგენლობაში, გუნდი კი საუცხოოდ თამაშობს. რატომ?**

— პასუხი მარტივია: ხოსეპ გვარდიოლა.

**— როგორ შეაფასებთ მის ნაშრომს?**

— ფანტასტიკურია! რამდენჯერმე ვნახე „ბარსას" თამაში ტელევიზორში და საუცხოო ფეხბურთს თამაშობს. ჩემი „ბარსელონა" გამახსენდა. ახლანდელი ჯგუფი, უკეთესიცაა.

**— გვარდიოლას ფეხბურთელობისას ეტყობოდა, რომ კარგი მწვრთნელი დადგებოდა?**

— რა თქმა უნდა. მოედნის ხედვა და მწვრთნელისთვის აუცილებელი ტაქტიკური განათლება მაშინვე ჰქონდა. მე თვითონ გვარდიოლასავით ვთამაშობდი. მოედანსაც კარგად ვხედავდი და ვფიქრობ, რომ ასეთი მონაცემების ფეხბურთელები საბოლოოდ კარგი მწვრთნელები ხდებიან, თუ ამასთან ერთად, მოთამაშეებთან თავისი ცოდნის მიტანაც ეხერხებათ.

**— როგორც მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა გვარდიოლას რა მისცა?**

— ამ კითხვით მას უნდა მიმართოთ. მგონი, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო.

როცა კრუიფი მწვრთნელობდა „ბარსაში", სწრაფი ფლანგელებით და ბურთის კონტროლით ლამაზ ფეხბურთს ქადაგებდა. მე და გვარდიოლაც იგივეს ვაკეთებთ, საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ რაც შეიძლება ბევრი გულშემატკივარი გვყავდეს და ხალხმა ისიამოვნოს.

**— თქვენი და გვარდიოლას „ბარსა" რით განსხვავდება?**

— ცალკეული ფეხბურთელების კლასით. მე არ მყავდა მესი და ეტოო. პუიოლი, ხავი და ინიესტა კი გამოუცდელები იყვნენ. ვამაყობ, რომ ისინი კარგი ფეხბურთელები დადგნენ, რადგან მაშინ ჟურნალისტები წერდნენ, ვან გაალი ახალგაზრდებს არ აწინაურებსო.

**— გამოდის, რომ თაობა გვარდიოლასთვის გაგიზრდიათ...**

— სწორედ ასეა. ოთხი ჩემი გაზრდილი ახლა ძირითად შემადგენლობაშია.

მახსოვს, გვარდიოლა დაშავდა და მისი ადგილი ხავიმ დაიკავა. ახლა გვარდიოლა მწვრთნელია, ხავი კი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე, თუმცა მესი დღეს ყველას ჯობია.

**— შეიძლება ვთქვათ, რომ ამჟამინდელი გუნდის „მამა" თქვენ ხართ?**

— არა. ვგებ მე წვლილი მიმიძღვის ამ გუნდის შექმნაში, მაგრამ საკუთარი თავის ქებას ვერ დავიწყებ.

**— ახლა „ბარსას" მწვრთნელი რომ იყოთ, მესის რომელ პოზიციაზე ათამაშებდით?**

— მესი განსაკუთრებულია. პასიც შეუძლია, გოლიც და რაღაც ორიგინალურის მოფიქრებაც. მე მყავდა ფიგუ და რივალდო, მაგრამ ფიგუს ბევრი ვერ გაჰქონდა, რივალდო კი საგოლე პასებში მოიკოჭლებდა.

**— მესი მსოფლიოში საუკეთესოდ მიგაჩნიათ?**

— ძნელია რამის მტკიცება, რადგან ფეხბურთელებს სხვადასხვა ამპლუები აქვთ, მაგრამ გუნდისთვის სარგებლის მოტანაზე თუ ვისაუბრებთ, მაშინ მესი პირველია.

კიდევ იმიტომ მომწონს, რომ პოზიციების ცვლა შეუძლია. ჩემი ფილოსოფიით, ფეხბურთელებს მეტოქის დასაბნევად რამდენიმე პოზიციაზე კარგად თამაში უნდა ეხერხებოდეთ.

**— თქვენ რომ ყოფილიყავით „ბარსას" მწვრთნელი, რონალდინიოს „გაცოცხლებას" შეეცდებოდით თუ გაუშვებდით?**

— ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ვერაფერს ვიტყვი, რაკი არ ვიცი, რა მოხდა გუნდის სამზარეულოში. არსებობენ უმართავი ფეხბურთელები — ამას რონალდინიოზე არ ვამბობ — და თუ მწვრთნელი ვერ მოაჭკვიანებს, უნდა გაუშვან.

**— რომელიმე ჰოლანდიელ ფეხბურთელს ხომ არ ურჩევდით „ბარსას"?**

— როგორ გეკადრებათ! ამ საქმეში „ბარსელონა" ფულს არ მიხდის!

**— კლაას იან ჰუნტელაარი „რეალს" გამოადგება?**

— კარგი მეგოლეა, მაგრამ „რეალის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ძნელია. საამისოდ რაულს და იგუაინს უნდა აჯობოს.

**— რობენი? ზოგს მიაჩნია, რომ ის მესიზე ნაკლები სულაც არაა...**

— ამას უფრო „რეალის" გულშემატკივრები ამბობენ, რომ „რეალი" „ბარსას" ჩრდილში არ მოექცეს. სინამდვილეში რობენი მაღალი კლასის ფეხბურთელია, რომელმაც ბურთი ძალიან კარგად იცის.

**— რატომ იღებს ტრავმებს ხშირად?**

— იმიტომ, რომ მეტოქის ფეხებთან უყვარს ფინტაობა.

**— ესპანურ მედიაში თქვენ მკაცრ, ქედმაღალ კაცად გახასიათებდნენ...**

— სულაც არ მაინტერესებდა რას წერდნენ ან რას წერენ. როცა ჟურნალისტი არ ცდილობს იმ კაცის კარგად გაცნობას, რომელზეც წერს, ეს ჩემი პრობლემა არაა.

მე არც მკაცრი ვარ და არც ქედმაღალი. ჟურნალისტებმა ჰკითხონ იმ ფეხბურთელებს, ვისთანაც მიმუშავია და ჩემზე სრულიად საპირისპიროს მოისმენენ.

**— „ბარსელონაში" მუშაობის სურვილი ისევ ხომ არ გაქვთ?**

— ხუმრობთ? ორჯერ რომ ვიყავი, ესეც ზედმეტია და მესამედ რაღა მინდა?!

**— ესპანეთში იმუშავებდით?**

— სიამოვნებით. პრიმერადივიზიონი მსოფლიოში საუკეთესოდ მიმაჩნია. ტაქტიკა, ტექნიკა, ემოცია... ყველაფერი არის.

**— „რეალმა" თუ მიგიწვიათ მწვრთნელად, დათანხმდებით?**

— დიახ.

**— და ბარსელონური წარსული არ შეგაფერხებთ?**

— არა. „ბარსამ" ხომ გაათავისუფლა ვან გაალი?

— კი.

— ჰოდა, ეგ არის. მე გამიშვეს და ამიტომ „რეალში" მუშაობის მორალური უფლება მაქვს.

**— ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთის ტრიუმფზე რას იტყვით?**

— ჯერ კიდევ „ბარსელონაში" მუშაობისას ვამბობდი, რომ ესპანეთის ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს და აუცილებლად მოიგებს რომელიმე დიდ ტურნირს.

**— ადრე იმასაც ამბობდით, რომ ესპანეთის ნაკრებში სიამოვნებით იმუშავებდით...**

— არც ახლა ვიტყვი უარს. ძალიან მინდა, რომ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგო.

„ალკმაართან" კონტრაქტში მაქვს პუნქტი, სადაც წერია, რომ თუ არგენტინა, ესპანეთი, ჰოლანდია, ინგლისი ან გერმანია მწვრთნელად მიმიწვევს, კლუბი გამიშვებს.

**— იმ ფეხბურთელებიდან, რომლებიც გზაზე დაგიყენებიათ, რამდენს დაურეკია მადლობის გადასახდელად?**

— პუიოლი, ხავი და ინიესტა მახსენდება. ზოგჯერ ინტერვიუშიც წამიკითხავს, ჩემზე კარგს რომ ლაპარაკობენ.

**— კატალონიაში სახლიც გქონდათ...**

— კი, მაგრამ გავყიდე. ჰოლანდიაში დაბრუნების შემდეგ ხშირად ველარ ჩავდიოდით, თან წლის იმ დროს, როცა ჩასვლას ვახერხებდით, უმეტესად ცუდი ამინდი გვხვდებოდა. მგონი, კლიმატი იცვლება. კატალონია ადრინდელივით მზიანი აღარაა. გავყიდეთ და, პორტუგალიაში, ალგარვეში შევიძინეთ სახლი, სადაც უფრო მზიანი ამინდებია, ხალხი კი ისეთივე კარგია, როგორც კატალონიაში.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ალგარვეში დავსახლდები.

# დროგბამ დაიფიცა

## სად ჩვენ, სად სკოლარი

**დიდიე დროგბამ** ბურთი აავდო და თავი შეუშვირა — ლუიშ ფელიპე სკოლარის გაშვებაში ჩემი ხელი არ ურევიაო.

ბრაზილიელი მწვრთნელის წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზებას დროგბას, მიხაელ ბალაკს და პეტრ ჩეხს აბრალებენ. რომან აბრამოვიჩს სწორედ ამ სამეულთან ჭორაობის მერე გაუთავისუფლებია სკოლარი.

„სისულელეა — დაიფიცა დროგბამ — აბრამოვიჩმა მთელი კვირა კობჰემში, გუნდის ბაზაზე გაატარა და თითქმის ყველა ფეხბურთელს შეხვდა.

ტყუილია, როცა ამბობენ, თითქოს ბოსი მხოლოდ ჩვენ სამს გველაპარაკა. სკოლარის მოხსნა კლუბის შეფებმა გადაწყვიტეს და არა ჩვენ, ფეხბურთელებმა.

ჩვენ ყველას გაგვიკვირდა, როცა სკოლარი გაუშვეს, მაგრამ ისიც მართალია, რომ გუნდში რაღაც ვერ იყო წესრიგში. იანვარ-თებერვლის შედეგებს თუ გადახედავთ, აშკარაა, რომ ვითარება გამოსწორებას ითხოვდა."

„მანჩესტერთან" სტუმრად წაგების მერე სკოლარიმ დროგბა მოიძულა და თქვა, რომ კოტდივუარელელ ფორვარდს აღარ ენდობა. ფეხბურთელი კი ამტკიცებდა, რომ კარგ ფორმაშია: „თავდაჯერებულობა არასოდეს მაკლდა და ეს პრობლემა არც ამ გუნდში მქონია. სკოლარი თუ ჩემზე სხვანაირად ფიქრობდა, ეს მისი ნებაა, მაგრამ მეც ხომ მაქვს აზრის გამოთქმის უფლება?"

**ირაკლი ნინიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXVII ტური

# ბენიტესს ნოემბერი გაახსენენს

**მიდლსბრო 2:0 ლივერპული**

1:0 ხაბი ალონსო (32ს.კ.), 2:0 თუნჯაი (63)

მიდლსბრო: ჯონსი, ჰოიტი, ვიტერი, ჰუტი, პოგატეცი, ონილი, ბეიტსი, არკა (უოლკერი 88), დაუნინგი, თუნჯაი (ადამ ჯონსონი 79), ალიადირი (კინგი 68)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

ლივერპული: რეინა, კარაგერი (ბენაიუნი 71), შიიპია, შკრტელი, აურელიო, ხაბი ალონსო, მასკერანო, კუიტი, ჯერარდი (ლეივა 76), ბაბელი, ელ ჟარი (ნგოგი 68)

მწვრთნელი: რაფა ბენიტესი

გაფრთხილება: თუნჯაი, ბეიტსი

მსაჯი: სტაილსი

33 724 მაყურებელი

3 კარში დარტყმა 4
2 კარისკენ დარტყმა 19
2 გაფრთხილება 0
1 ჯარიმა 7
2 კუთხური 9
6 თამაშგარე 2
28 ბურთის ფლობა 72

**ჩელსი 2:1 უიგანი**

1:0 ტერი (25), 1:1 კაპო (82), 2:1 ლამპარდი (90)

ჩელსი: ჩეხი, მანსიენი (კვარეშმა 81), ალექსი, ტერი, ე. კოული, ბალაკი, მიკელი, ლამპარდი, კალუ (ბელეტი 75), ანელკა, დროგბა

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

უიგანი: კირკლენდი, მელხიოტი, ბოისი, ბრამბლი, ფიგეროა, კატერმოლი (როდალეგა 69), შ. ბრაუნი, შარნერი, ნზოგბია, კაპო, ზაქი (სიბირსკი 89)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ალექსი, მანსიენი, ტერი, კატერმოლი, ნზოგბია

მსაჯი: პრობერტი

40 714 მაყურებელი

8 კარში დარტყმა 4
9 კარისკენ დარტყმა 12
3 გაფრთხილება 2
15 ჯარიმა 15
12 კუთხური 8
2 თამაშგარე 2
60 ბურთის ფლობა 40

**ევერტონი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 კეჰილი (36), 2:0 საა (70)

გაფრთხილება: ველაინი (ევერტონი), გრინინგი (ვესტ ბრომვიჩი)

5 კარში დარტყმა 5
7 კარისკენ დარტყმა 16
1 გაფრთხილება 1
9 ჯარიმა 18
3 კუთხური 6
2 თამაშგარე 0
51 ბურთის ფლობა 49

**არსენალი 0:0 ფულემი**

4 კარში დარტყმა 1
15 კარისკენ დარტყმა 12
0 გაფრთხილება 0
6 ჯარიმა 14
11 კუთხური 6
1 თამაშგარე 1
47 ბურთის ფლობა 53

**ჰალი 1:2 ბლექბერნი**

0:1 უორნოკი (34), 0:2 ენდრიუსი (36), 1:2 ეშბი (80)

გაფრთხილება: ტარნერი, ე. დოუსონი (ჰალი), უორნოკი, პედერსენი, პედერსენი, დიუფი (ბლექბერნი)

გაძევება: მარნი (64, ჰალი), პედერსენი (70, ბლექბერნი)

3 კარში დარტყმა 4
7 კარისკენ დარტყმა 7
2 გაფრთხილება 2
14 ჯარიმა 21
6 კუთხური 4
6 თამაშგარე 5
52 ბურთის ფლობა 48

**ვესტ ჰემი 1:0 სიტი**

1:0 კოლისონი (71)

გაფრთხილება: პარკერი, კოვაჩი (ვესტ ჰემი), აირლენდი, კომპანი (სიტი)

6 კარში დარტყმა 1
6 კარისკენ დარტყმა 14
18 გაფრთხილება 21
18 ჯარიმა 21
4 კუთხური 7
3 თამაშგარე 0
44 ბურთის ფლობა 56

**ბოლტონი 1:0 ნიუკასლი**

1:0 გარდნერი (47)

გაფრთხილება: მ. ტეილორი, სმოლიარეკი (ბოლტონი), ბათი, ხონასი, რ. ტეილორი (ნიუკასლი)

4 კარში დარტყმა 6
6 კარისკენ დარტყმა 17
2 გაფრთხილება 3
15 ჯარიმა 10
1 კუთხური 10
3 თამაშგარე 4
45 ბურთის ფლობა 55

**ასტონ ვილა 2:2 სტოკი**

1:0 ს. პეტროვი (45), 2:0 კარეუ (79), 2:1 შოუკროსი (87), 2:2 ველანი (90)

გაფრთხილება: ე. იანგი (ასტონ ვილა), შოუკროსი (სტოკი)

3 კარში დარტყმა 2
8 კარისკენ დარტყმა 9
1 გაფრთხილება 1
7 ჯარიმა 12
6 კუთხური 6
1 თამაშგარე 3
64 ბურთის ფლობა 34

**2008 წლის** 1 ნოემბრის მერე არ წაეგო „ლივერპულს", „მიდლსბროს" კი 14 ტურის განმავლობაში არ მოეგო და ორივე სერია შეწყდა.

„საჩემპიონო შანსები კიდევ უფრო შეგვიმცირდა — თქვა რაფაელ ბენიტესმა — ახლა ბევრი რამ „მანჩესტერზეა" დამოკიდებული".

კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ხაბი ალონსოს ფეხზე მოხვდა და „ლივერპულის" კარში შეგორდა. „ბოროს" 526 წუთი არ ჰქონდა გოლი გატანილი.

მეორე თუნჯაიმ შეაგდო კონტრშეტევისას ათიოდ მეტრიდან და სტუმრებს ქულის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

ბენიტესის გუნდს ფეხი დაუცდა და „ჩელსი" ცხრილში თავზე წამოაჯდა. საამისოდ კი „უიგანთან" ლამპარდმა იზრუნა — ბოლო წამს თავით ჩასვა ბურთი კარში.

მანამდე ჯონ ტერიმ საჯარიმოს ხაზიდან მაკრატელა ამოჰკრა ბურთს, რომელიც მცველის თავიდან აღმოჩნდა სტუმართა კარში.

ახლო ძელთან გაცურებულმა ოლივიე კაპომ კი გაათანაბრა — ფლანგიდან ჩაწოდებული პასი შეირგო.

„ჩემპიონობაზე ვერაფერს ვიტყვი — თავი შორს დაიჭირა ჰიდინკმა — პირველ რიგში, ჩვენი თამაშების მოგებაზე უნდა ვიზრუნოთ და მერე ვნახოთ რას იზამს „მანჩესტერი". ერთი კი ცხადია — ვიბრძოლებთ ბოლომდე, როგორც დღევანდელ მატჩში".

„ევერტონის" ავსტრალიელი ტიმ კეჰილი ჰაერში ძალიან მაგარია. მასზე მეტი გოლი თავით პრემიერლიგაში არავის გაუტანია.

„ვესტ ბრომთანაც" უთავაზა ბურთს საგოლედ, ლუი საამ კი შორ კუთხეში ჩაახვია და „ევერტონის" წაუგებელი სერია ყველა შეჯიბრში ხუთამდე აიყვანა. გარდა ამისა, დევიდ მოიესის გუნდს შინ ზედიზედ სამ მატჩში გოლი არ გაუშვია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჩელსელი ეშლი კოული და უიგანელი ოლივერ კაპო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 26 | 19 | 5 | 2 | 46:11 | 62 |
| ჩელსი | 27 | 16 | 7 | 4 | 47:16 | 55 |
| ლივერპული | 27 | 15 | 10 | 2 | 43:20 | 55 |
| ასტონ ვილა | 27 | 15 | 7 | 5 | 42:27 | 52 |
| არსენალი | 27 | 12 | 10 | 5 | 38:25 | 46 |
| ევერტონი | 27 | 12 | 8 | 7 | 36:28 | 44 |
| ვესტ ჰემი | 27 | 10 | 6 | 11 | 33:34 | 36 |
| უიგანი | 27 | 9 | 8 | 10 | 27:26 | 35 |
| ფულემი | 26 | 8 | 10 | 8 | 24:22 | 34 |
| ბოლტონი | 27 | 10 | 3 | 14 | 30:38 | 33 |
| სიტი | 27 | 9 | 5 | 13 | 43:36 | 32 |
| სანდერლენდი | 26 | 8 | 7 | 11 | 27:33 | 31 |
| ჰალი | 27 | 7 | 8 | 12 | 33:50 | 29 |
| ტოტენჰემი | 26 | 7 | 7 | 12 | 28:32 | 28 |
| ნიუკასლი | 27 | 6 | 10 | 11 | 33:43 | 28 |
| პორტსმუთი | 26 | 7 | 7 | 12 | 29:43 | 28 |
| ბლექბერნი | 26 | 6 | 8 | 12 | 30:43 | 26 |
| მიდლსბრო | 27 | 6 | 8 | 13 | 20:36 | 26 |
| სტოკი | 27 | 6 | 8 | 13 | 25:44 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 6 | 4 | 17 | 24:51 | 22 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 15 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 12 |
| რობინიო (სიტი) | 11 |

**ჩემპიონატი. XXXV ტური**

ბრისტოლი — ბლექპული 0:0; დონკასტერი — დერბი 2:1; ბარნსლი — ქუინზ პარკი 2:1; ბარნლი — უენსდი 2:4; ნორვიჩი — ქოვენთრი 1:2; პრესტონი — იფსვიჩი 3:2; რედინგი — ნოტინგემი 0:1; საუთჰემპტონი — კარდიფი 1:0; სუონსი — ჩარლტონი 1:1; უოტფორდი — კრ. პალასი 2:0; ვულვზი — პლიმუთი 0:1; შეფილდი — ბირმინგემი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 35 | 19 | 7 | 9 | 66:46 | 64 |
| ბირმინგემი | 35 | 17 | 10 | 8 | 41:31 | 61 |
| რედინგი | 33 | 17 | 8 | 8 | 58:29 | 59 |
| პრესტონი | 35 | 16 | 8 | 11 | 48:44 | 56 |
| შეფილდი | 34 | 15 | 10 | 9 | 47:32 | 55 |
| ბრისტოლი | 34 | 14 | 12 | 8 | 44:36 | 54 |
| კარდიფი | 32 | 13 | 14 | 5 | 43:29 | 53 |
| სუონსი | 33 | 12 | 16 | 5 | 50:35 | 52 |
| ბარნლი | 34 | 14 | 9 | 11 | 48:49 | 51 |
| იფსვიჩი | 35 | 13 | 11 | 11 | 50:40 | 50 |
| ქუინზ პარკი | 34 | 12 | 12 | 10 | 35:34 | 48 |
| უენსდი | 34 | 13 | 9 | 12 | 40:46 | 48 |
| ქოვენთრი | 33 | 12 | 10 | 11 | 38:39 | 46 |
| კრ. პალასი | 32 | 11 | 8 | 13 | 39:38 | 41 |
| დერბი | 33 | 11 | 8 | 14 | 41:45 | 41 |
| დონკასტერი | 33 | 11 | 7 | 15 | 28:39 | 40 |
| პლიმუთი | 34 | 10 | 9 | 15 | 31:41 | 39 |
| ბლექპული | 35 | 9 | 12 | 14 | 34:48 | 39 |
| ნოტინგემი | 35 | 9 | 10 | 16 | 37:50 | 37 |
| უოტფორდი | 32 | 10 | 6 | 16 | 46:53 | 36 |
| ბარნსლი | 32 | 10 | 6 | 16 | 31:42 | 36 |
| საუთჰემპტონი | 34 | 8 | 10 | 16 | 33:51 | 34 |
| ნორვიჩი | 35 | 8 | 9 | 18 | 45:55 | 33 |
| ჩარლტონი | 34 | 6 | 9 | 19 | 35:56 | 27 |

**I ლიგა**

ბრაიტონი — ქრიუ 0:4; კარლაილი — ბრისტოლი 1:1; ჩელტენემი — ნორთჰემპტონი 0:1; კოლჩესტერი — ჰარტლპული 1:1; ჰერეფორდი — ლეიტონი 2:1; ლიდსი — სკანთორპი 3:2; მილუოლი — ოლდემი 2:3; მილტონი — ლესტერი 2:2; პიტერბრო — საუთენდი 1:2; სტოკპორტი — ჰადერსფილდი 1:1; ტრანმერი — სუინდონი 1:0; უოლსოლი — იოვილი 2:0

**II ლიგა**

ალდერშოტი — აკრინგტონი 3:1; ბრენტფორდი — ბარი 1:0; ჩესტერი — დაგენემი 2:2; ჩესტერფილდი — ბარნეტი 1:1; ექსეტერი — დარლინგტონი 2:0; ჯილინგემი — ბორნმუთი 1:0; ლინკოლნი — როტერჰემი 0:1; მაკლსფილდი — შრიუსბერი 3:0; მორეკომბი — უიკომბი 0:0; ნოთსი — ბრედფორდი 3:1; პორტ ვეილი — ლუთონი 1:3; როჩდეილი — გრიმსბი 2:0

**კონფერენსლიგა**

ალტრინჩემი — სტივენეიჯი 1:2; ბაროუ — ნორთვიჩი 0:0; კემბრიჯი — ქრიული 1:1; ფორესტ გრინი — გრეისი 1:1; კიდერმინსტერი — ისტბურნი 2:0; ლიუისი — ჰისტონი 0:3; რაშდენი — მანსფილდი 0:1; უოკინგი — ბარტონი 0:0; რექსამი — სალისბერი 1:1; იორკი — ვეიმუთი 2:0; ოქსფორდი — ტორკი 0:2

**სამხრეთ კონფერენსლიგა**

ბასინგსტოკი — ბათი 1:0; სტორტფორდი — ჩელმსფორდი 2:1; ბოგნორი — სტ. ალბანსი 0:5; ბრეინთრი — უელინგი 1:1; ისტლი — მეიდენჰედი 0:0; ფიშერი — ვესტონი 0:2; ჰავანთი — უიმბლდონი 0:0; ჰეიესი — ნიუპორტი 2:0; თიმ ბათი — დორჩესტერი 4:1; თაროკი — ბრომლი 1:1; ვორჩესტერი — ჰემპტონი 1:2

**ჩრდ. კონფერენსლიგა**

ალფრეტონი — ბლითი 1:1; ბარსკო — სტაფორდი 2:0; ფლიტვუდი — დროილსდენი 2:1; გეითსჰედი — ვოქსჰოლი 2:2; ჰეროგეითი — ჰინკლი 2:2; ჰაიდი — ტელფორდი 0:4; კინგს ლინი — ჰაკნალი 0:0; რედიჩი — სტალიბრიჯი 0:1; სოლიჰალი — თამვორთი 1:1; ვორკინგტონი — საუთპორტი 0:1

**კარლინგის თასი**

**მანჩესტერი 0:0 (4:1) ტოტენჰემი**



ვესტბრომვიჩელმა მარკ ფორჩუნმა „ევერტონის" კარი ვერ დალაშქრა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XXV ტური

# მრგვალი რეალი

### ესპანიოლი 0:2 რეალი

0:1 გუტი (67), 0:2 რაული (72)
ესპანიოლი: კამენი, ს. სანჩესი, ხარკე, პარეხა, დავიდ გარსია, მოიზესი (ლოლა 85), რომანი (კორო 74), ლუის გარსია, დე ლა პენია, ნენე, ივან ალონსო (ტამუდო 63)
მწვრთნელი: მაურიციო პოჩეტინიო
რეალი: კასილიასი, რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, ლ. დიარა, სნეიდერი (გუტი 59), რობენი (სავიოლა 75), იგუაინი (მარსელო 59), ჰუნტელაარი, რაული
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: პეპე, სნეიდერი, მოიზესი, დავიდ გარსია, რაული
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
33 930 მაყურებელი

2 კარში დარტყმა 3
7 კარისკენ დარტყმა 8
2 გაფრთხილება 3
12 ჯარიმა 17
3 კუთხური 2
5 თამაშგარე 2
48 ბურთის ფლობა 52

### ალმერია 2:1 ხეტაფე

0:1 გუერონი (8), 1:1, 2:1 ნეგრედო (18, 65)
გაფრთხილება: ორტისი, კრუსატი, ნეგრედო, ხუანიტო (ალმერია), კასკერო, პოლანსკი, მანუ, დიასი, სელესტინი (ხეტაფე)

5 კარში დარტყმა 5
6 კარისკენ დარტყმა 12
4 გაფრთხილება 5
19 ჯარიმა 14
8 კუთხური 2
4 თამაშგარე 1
41 ბურთის ფლობა 59

### მალაგა 0:2 უელვა

0:1 კამუნიასი (55), 0:2 ადრიანი (65)
გაფრთხილება: აპონო, დუდა (მალაგა), კასადო, ამოედო, რიესკო, ადრიანი, პარზერი (უელვა)
გაძევება: ლოლო (35, მალაგა)

4 კარში დარტყმა 5
12 კარისკენ დარტყმა 5
2 გაფრთხილება 5
17 ჯარიმა 23
12 კუთხური 4
6 თამაშგარე 3
40 ბურთის ფლობა 60

### ნუმანსია 0:1 დეპორტივო

0:1 ხუან როდრიგესი (75)
გაფრთხილება: პინო, ბრიტი (ნუმანსია), ვერდუ, დე გუსმანი (დეპორტივო)

3 კარში დარტყმა 5
8 კარისკენ დარტყმა 8
2 გაფრთხილება 2
18 ჯარიმა 10
3 კუთხური 4
1 თამაშგარე 0
39 ბურთის ფლობა 61

### რასინგი 1:1 ოსასუნა

1:0 სერანო (13), 1:1 პანდიანი (45)
გაფრთხილება: პინილოსი, მორალი (რასინგი), მასუდი, ასპილისუეტა (ოსასუნა)

5 კარში დარტყმა 4
3 კარისკენ დარტყმა 13
5 გაფრთხილება 2
12 ჯარიმა 15
4 კუთხური 5
0 თამაშგარე 2
61 ბურთის ფლობა 39

### ხიხონი 0:1 მალიორკა

0:1 არანგო (49)
გაფრთხილება: მატეო, რ. კამარა, ანდრიუ, დიასი (ხიხონი), ადურიცი, აიონსე, მარინი, სუარესი (მალიორკა)

2 კარში დარტყმა 7
10 კარისკენ დარტყმა 5
4 გაფრთხილება 4
15 ჯარიმა 13
4 კუთხური 1
0 თამაშგარე 2
55 ბურთის ფლობა 45

### ბილბაო 1:2 სევილია

1:0 გაბილონდო (26), 1:1, 1:2 კანუტი (40, 57)
გაფრთხილება: მუნიოსი, უსტარიცი, ამორებიეტა, გურპეგი, არმანდო (ბილბაო), აკოსტა, მოსკერა (სევილია)

5 კარში დარტყმა 4
3 კარისკენ დარტყმა 13
5 გაფრთხილება 2
18 ჯარიმა 10
3 კუთხური 4
1 თამაშგარე 0
39 ბურთის ფლობა 61

**„რეალმა"** „ბარსელონას" გზა გაიარა — ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო ჩემპიონატში და რიცხვი დაამრგვალა.

ასევე იყო „ბარსაც", რომელმაც თავის მხრივ, მიჯრით ათში იმარჯვა და მერელა შეჩერდა.

მომდევნო ტურში მადრიდული დერბია და ვნახავთ, შეძლებს თუ არა ხუანდე რამოსის გუნდი მეთერთმეტეს მოგებას.

შაბათს „რეალმა" „ესპანიოლს" სძლია, რომელმაც წინა ტურში „ბარსას" წაართვა სამი ქულა და ამით რეალელთა საქმე გააკეთა.

გუტიმ საჯარიმო დარტყმით ჩააბზრიალა ცხრიანში და ძელგოლი გაიტანა, რაულმა კი ცაციით შეაბზრიალა დაბალ კუთხეში.

ურიგო არ იქნება, თუ შევადარებთ იმ გუნდებს, რომელიც „რეალმა" და „ბარსამ" ზედიზედ დაამარცხეს.

„ბარსელონა" (29 ნოემბერი — 8 თებერვალი): „სევილია", „ვალენსია", „რეალი", „ვილირეალი", „მალიორკა", „ოსასუნა", „დეპორტივო", „ნუმანსია" „რასინგი", „სპორტინგი".

„რეალი" (20 დეკემბერი — 28 თებერვალი): „ვალენსია", „ვილიარეალი", „მალიორკა", „ოსასუნა", „დეპორტივო", „ნუმანსია", „რასინგი", „სპორტინგი", „ბეტისი", „ესპანიოლი".

საინტერესოა, რომ „რეალის" მოგებათა სერია 13 დეკემბერს „ბარსასთან" მარცხის მერე დაიწყო.

„ბილბაო" კი გაბილონდოს გოლით უგებდა „სევილიას", მაგრამ ფრედერიკ კანუტეს გოლმა ბასკებს ზედიზედ მეოთხე მოუგებელი მატჩი მიუთვალა.

თავის მხრივ „სევილიასთვის" ეს მიჯრით მესამე გამარჯვებაა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კლაას იან ჰუნტელაარი „ესპანიოლთან" მატჩში



„ატლეტიკოს" ერთი გოლი ლეო მესიმ გაუტანა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 71:20 | 60 |
| რეალი | 25 | 18 | 2 | 5 | 56:28 | 56 |
| სევილია | 25 | 14 | 5 | 6 | 34:22 | 47 |
| ვილიარეალი | 24 | 11 | 8 | 5 | 38:32 | 41 |
| ვალენსია | 24 | 11 | 6 | 7 | 44:35 | 39 |
| მალაგა | 25 | 11 | 6 | 8 | 41:37 | 39 |
| დეპორტივო | 25 | 11 | 6 | 8 | 29:30 | 39 |
| ატლეტიკო | 24 | 10 | 6 | 8 | 48:35 | 36 |
| ბილბაო | 25 | 8 | 7 | 10 | 35:39 | 31 |
| ალმერია | 25 | 8 | 7 | 10 | 32:39 | 31 |
| რასინგი | 25 | 7 | 9 | 9 | 26:29 | 30 |
| ვალიადოლიდი | 24 | 9 | 3 | 12 | 35:39 | 30 |
| უელვა | 25 | 7 | 8 | 10 | 23:34 | 29 |
| ხეტაფე | 25 | 6 | 10 | 9 | 35:38 | 28 |
| მალიორკა | 25 | 7 | 6 | 12 | 25:40 | 27 |
| ხიხონი | 25 | 9 | 0 | 16 | 30:54 | 27 |
| ბეტისი | 24 | 7 | 5 | 12 | 32:38 | 26 |
| ოსასუნა | 25 | 5 | 10 | 10 | 26:30 | 25 |
| ესპანიოლი | 25 | 4 | 9 | 12 | 22:40 | 21 |
| ნუმანსია | 25 | 6 | 2 | 17 | 26:49 | 20 |

ატლეტიკო — ბარსელონა, ვალენსია — ვალიადოლიდი და ბეტისი — ვილიარეალი წუხელ გვიან დასრულდა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 23 |
| ვილია (ვალენსია) | 19 |

### სეგუნდადივიზიონი XXVI ტური

ალავესი — სოსიედადი 2:1; ხირონა — კორდობა 1:1; ერკულესი — ლას პალმასი 4:2; უესკა — ელჩე 3:2; მურსია — სარაგოსა 1:4; ხერესი — რაიო ვალეკანო 1:1; კასტელიონი — სალამანკა 2:0; ეიბარი — ალიკანტე 1:2; სევილია B — ლევანტე 1:2; ტენერიფე — სელტა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 26 | 14 | 8 | 4 | 46:25 | 50 |
| ტენერიფე | 26 | 14 | 5 | 7 | 47:34 | 47 |
| ერკულესი | 26 | 12 | 9 | 5 | 42:25 | 45 |
| რაიო ვალეკანო | 26 | 11 | 11 | 4 | 32:24 | 44 |
| სარაგოსა | 26 | 12 | 7 | 7 | 44:29 | 43 |
| კასტელიონი | 26 | 11 | 10 | 5 | 37:26 | 43 |
| სალამანკა | 26 | 10 | 8 | 8 | 38:30 | 38 |
| ლევანტე | 26 | 11 | 5 | 10 | 37:39 | 38 |
| უესკა | 26 | 9 | 10 | 7 | 35:32 | 37 |
| სოსიედადი | 26 | 8 | 12 | 6 | 25:22 | 36 |
| ხირონა | 26 | 8 | 12 | 6 | 30:30 | 36 |
| ხიმნასტიკი | 25 | 8 | 10 | 7 | 39:31 | 34 |
| მურსია | 26 | 10 | 4 | 12 | 27:34 | 34 |
| ელჩე | 26 | 8 | 9 | 9 | 33:31 | 33 |
| სელტა | 26 | 8 | 9 | 9 | 28:31 | 33 |
| ალბასეტე | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | 32 |
| ალავესი | 26 | 8 | 6 | 12 | 28:43 | 30 |
| ლას პალმასი | 26 | 6 | 10 | 10 | 30:31 | 28 |
| კორდობა | 26 | 7 | 7 | 12 | 25:31 | 28 |
| ეიბარი | 26 | 7 | 6 | 13 | 20:35 | 27 |
| ალიკანტე | 26 | 4 | 7 | 15 | 21:44 | 19 |
| სევილია B | 26 | 1 | 7 | 18 | 15:47 | 10 |

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XXII ტური

# მეკარე მალაზიაში

**ვერდერი 0:0 ბაიერნი**

ვერდერი: ფანდერი, ფრიცი, მერტე-საკერი, პასანენი, ნალდო, ციოლისი (იენსენი 70), იოზილი, დიეგო, პიზარო (როზენბერგი 89), უგო ალმეიდა (ბენიში 17)

მწვრთნელი: თომას შააფი

ბაიერნი: რენსინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ზე რობერტო, ვან ბომელი, ბოროვსკი (ოტლი 78), შამით ალტინთოფი (დონოვანი 76), შვაინშტაიგერი (პოდოლსკი 46), კლოზე, რიბერი

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

გაფრთხილება: პასანენი, ვან ბომელი

გაძევება: ნალდო (15)

მსაჯი: გრაფე

42 100 მაყურებელი

3 კარში დარტყმა 4
8 კარისკენ დარტყმა 8
1 გაფრთხილება 1
11 ჯარიმა 27
4 კუთხური 5
5 თამაშგარე 8
42 ბურთის ფლობა 58

**დორტმუნდი 0:0 ჰოფენჰაიმი**

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ოვომოიელა, სუბოტიჩი, სანტანა, შმელცერი, კელი, ტინგა, საჰინი, ჰაინალი (კრინგე 79), ვალდესი (ფრაი 68), ზიდანი (კულმანი 86)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

ჰოფენჰაიმი: ჰაასი, ბეკი, გეისი, ვორმსა, იბერცბერგერი, ლუის გუსტავო, ტებერი (ვაისი 46), ედუარდო, სალიჰოვიჩი, ბა (ველინგტონი 88), სანოგო (ობასი 64)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ტინგა, ვორმსა, ტებერი, ლუის გუსტავო, ბეკი

გაძევება: კელი (77), ვაისი (77)

მსაჯი: ფანდელი

78 800 მაყურებელი

